



რა საბრალოა გავსილი მთვარე ჩანთქმული გველისა



შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი

მოთხრობილი ლევან გველესიანის მიერ
თანამედროვე ენით კომენტარებითა და შენიშვნებით

UDK (უაკ) 821.353.1-13+821.353.1.09

ჩ-554

ავტორის თხოვნით ტექსტი იბეჭდება უცვლელად

პროექტის ხელმძღვანელი	შაველე შავერდაშვილი
რედაქტორი	მანანა კარტოზია
დამკაბადონებელი	მაკა ცომია
სტილისტ-კორექტორი	თამუნა ღონლაძე
დიზაინერი	გიორგი ბოხუა

გამომცემელი

GEOEX
PUBLISHING

ლიბერთა შპს „სეზანეში“
CEZANNE
საბჭოთაო გამომცემლობა

2008 წელი

ISBN 978-9941-0-0395-0



სურათები „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე
შესრულებულია მამუკა ცეცხლაძის მიერ
2006 წელს

მთხრობელის სამი პინიშვნა:

თუ თავიდანვე ვერ კითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“,
ჯერ ეს წაიკითხეთ და მერე აუცილებლად წაიკითხეთ ორიგინალი.

თუ ორიგინალმა სიამოვნება არ მოგანიჭათ, ვიზიარებ თქვენს
მწუხარებას, თქვენ აღარაფერი გეშველებათ.

თუ ორიგინალი გაიგეთ და მაინც ფიქრობთ, რომ ეს პოემა
რომელიმე ნაწარმოებს ჩამოუვარდება მსოფლიო ლიტერატურაში,
ერვინეთ ფსიქიატრს.

ვუძღვნი ბებიაჩემის, ქართული ენისა და
ლიტერატურის მასწავლებლის ნინო გორგოშიძის
ხსოვნას, რომელმაც ზეპირად იცოდა თითქმის
მთელი პოემა და პატარაობისას სასთუმალთან
მიმღეროდა რუსთაველის სტრიქონებს.

მთხრობელის წინასიტყვა

კრიტიკა მომელის, ვიცი. ჯერ რუსთველოლოგების იმ არმიისაგან, რომელთაც დისერტაციები და აკადემიკოსობები უპყრიათ. მერე მოყვარულთაგან, რომელნიც „ვეფხისტყაოსანს“ მკრეხელობისგან იცავენ, გახევებულ რამედ მიიჩნევენ და თავს დაჰფოფინებენ. რუსთველოლოგების წინაშე ჩემს გარჯას ასე ავხსნი: რვაასზე მეტი წელია, რაც ეს პოემა არსებობს. მან, სხვა ჩვენს მონდომებებთან ერთად, შექმნა ჩვენი ქართველობა და ერთიანი თვითგანცდა. ახლა, როცა დასავლური ცივილიზაციის ურიცხვ მორევში გადავეშვით, რუსთაველს ცოტა ვინმე თუ კითხულობს. ენის გამო, რომელიც სასაუბროდ აღარ იხმარება, ახალგაზრდა ქართველი არც კი ჩაუყინდება „ვეფხისტყაოსანს“. სკოლაში კი სწავლობენ, მაგრამ, ხშირად, „ვეფხისტყაოსანი“ ეფემერული სილამაზეა და არა ყოველდღიურად საჭირო, მოსახმარისი რამ. ჩემი მარტივი ინტერპრეტაციით მინდა ახალგაზრდა ქართველებს ვუთხრა, რომ რუსთაველის პოემა უაღრესად თანამედროვეა, რომ მასში ჩამოჩუქურთმებული მოძღვრება ეკუთვნის არა მეთორმეტე, არამედ ყველა მომდევნო საუკუნესაც. ჩვენსაც. ამ თხრობის მიზანია, რომ მკითხველს სტიმული მივცე, რათა პოემა ორიგინალში წაიკითხოს, ისიამოვნოს, იამაყოს და შოთა რუსთაველის აზრთა სიმდიდრე ყოველდღიურ ინსტრუქციად გაიხადოს.

ამიტომაც, პროფესიონალებს ვთხოვ, საქმიანი კრიტიკა გამოთქვან და თავი შეუტანდნენ იგრძნონ; რუსთაველი ისევეა ჩემი, როგორც ნებისმიერი ქართველისა. თუ ვინმე სიტყვას შემაშველებს, მადლობელი დავრჩები და თუ თავს დამცირებულად იგრძნობს, გულახდილად მითხრას.

კიდევ რამდენიმე სიტყვა რუსთველოლოგთა შესახებ.

რუსთველოლოგია, როგორც მეცნიერება, ძირითადად საბჭოთა ხანაში ჩამოყალიბდა, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე მცდელობას ოქტომბრის რევოლუციამდელ პერიოდში (ნიკო მარი, ჩუბინაშვილი და სხვ.). ამიტომაც, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერ „საბჭოთა“ მეცნიერებას, მასაც პროლეტარული და კლასობრივი დალი აზის. თვით ყველაზე კომპეტენტური და აღიარებული მეცნიერებიც კი, როგორც, ვთქვათ პავლე ინგოროყვა, კორნელი კეკელიძე, სარგის კაკაბაძე ან აკაკი შანიძეა, ისინიც კი, ცდილობენ დარჩნენ თავიანთი დროის იდეოლოგიური კლიშეების ფარგლებში. მე მათ ვერ დავწამებ, რომ ეს გულწრფელად სურდათ; ამას უფრო მათ კონფორმიზმს დავაბრალებდი. მაგალითი მრავალია და აქ მკითხველს თავს არ შევანყენ ციტატებით.

გარდა ამისა, მე კლასიკურ რუსთველოლოგიას ვადანაშაულებ, რომ მას რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ „ხელში შემოაკვდა“. ამით ვგულისხმობ, რომ, მართალია, სიტყვით ყველა ქართველი ლოიალურია ამ პოემისადმი და გულზე მჯილით მის გენიალურობას ქადაგებს, სკოლებშიაც ასწავლიან იძულებით, მაგრამ ცოტას თუ აქვს პოემა მართლაც ნაკითხული. ერთი პოეტისა არ იყოს, „რუსთაველი მკვდარია“. მკვდარია არა მარტო ფიზიკურად, არამედ სულიერადაც. იგი ძეგლადაა გადაქცეული. გახევებული და უმოძრაოა. დგას პიედესტალზე და ნაღვლობს, რომ დაივიწყეს. მარტივ შეკითხვას დავსვამ: რომელი ჩვენგანი იყენებს რუსთაველს თავის ყოველდღიურობაში? პასუხი ერთია: თითქმის არავინ! ამ დროს რუსთაველი ჩვენი სულიერებისა და სიბრძნის ისეთი უძირო საუნჯეა, რომ ცოტაოდენი სხვა ერი თუ დაიკვებნის მისდაგვართ. ჩვენ ამ სიბრძნის სკივრს გვერდით ვუსხედვართ აკადემიური პოლემიკის მორევებში ჩაძირულნი და თვით საუნჯეს ვერ ვეკარებთ. განა ეს საქმეა?!

გადამეტებულმა აკადემიურობამ სწორედ ეს შედეგი მოგვცა; აღარავინ კითხულობს „ვეფხისტყაოსანს“. აღარავინ იყენებს მას და მის სიბრძნეს. რუსთველოლოგებმა, იმის მაგივრად, რომ მკითხველისათვის გაეადვილებინათ შოთა რუსთაველის საკმაოდ რთული და, ასე თუ ისე, მოძველებული ენით დაწერილი პოემის აღქმა, კიდევ უფრო გაართულეს მისი გაგება ფართო საზოგადოებისათვის. აქ, თითქმის მთელ რუსთველოლოგიას ვგულისხმობ, დაწყებული პავლე ინგოროყვას სტატიიდან რუსთაველის 750 წლის საიუბილეო კრებულში, დამთავრებული ვიქტორ ნოზაძისა და ზვიად გამსახურდიას „ვეფხისტყაოსნის“ მზისმეტყველებით ანდა სახისმეტყველებით.

კიდევ ერთს ვიტყვი და ჩემი წინათქმის ამ ბრაზიან ნაწილს ამით დავასრულებ. ერთი-ორი რუსთველოლოგი შემომედავა, იმის მცდელობა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ მოეთხროთ, ადრეც იყო და არ დასრულდა წარმატებით, შენ სულ ტყუილად ირჯებიო. ამ არგუმენტს ვერ მივიღებ მარტივი მიზეზის გამო: ეს იგივეა, რაინჰოლდ მესნერისათვის 1980 წლის გაზაფხულზე რომ ეთქვათ, აქამდე ევერესტის დაპყრობა უნიღბოდ ბევრმა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათო. ყველას გეცოდინებათ, რომ მესნერი იმ წელს პირველი ავიდა ევერესტზე უნიღბოდ. მე მესნერობაზე თავს არ ვდებ, მაგრამ, ის, რაც ერთს არ გამოუვიდა, შეიძლება მეორეს გამოუვიდეს. მით უმეტეს, რომ მე, ამჟამად ბევრად მეტი ინფორმაცია მაქვს, ვიდრე მთელ ქართულ მეცნიერებათა აკადემიას 50-60-70-იან წლებში. ჩემი მიზანი არ არის რუსთაველის პოემის აკადემიურად გაშუქება. დაე, მათ აკეთონ ეს, ვინც ამისათვის გასამრჯელოს იღებს. მე მხოლოდ ის მინდა, რომ ქართველებმა ისევ შეისისხლხორცონ თავიანთი იდეოლოგია; გაიგონ და ისწავლონ რუსთაველი.

თველი, რომ დადგა ის დრო, როცა „ვეფხისტყაოსანი“ მართლაც ყველასი უნდა გახდეს, რომ ყველა ქართველმა შეძლოს მოიხმაროს მასში ჩადებული სიბრძნე.

ახლა თვით თხრობაზე.

თავიდან ჩემს კრედოზე ვიტყვი ორიოდ სიტყვას.

ღმერთმა მარგუნა, რომ ინგლისურად, გერმანულად და რუსულად ყველა მნიშვნელოვანი ავტორის ყველა მნიშვნელოვანი ნაწარმოები წამეკითხა. ქადილად არ ჩამომართვათ და ცოტა ფრანგულს, პოლონურს, ესპანურსა და იტალიურსაც შევწვდი. ღმერთის წინაშე ვფიცავ, რომ „ვეფხისტყაოსნის“ შესადარი რამ ვერსად აღმოვაჩინე. შექსპირიც გადასარევია, დანტეც, სერვანტესიც, გოეთეც და ჩემი საყვარელი პუშკინიც, მაგრამ ის, რაც რუსთაველმა დაწერა 850 წლის წინ, – შეუდარებელია. დასანანია, რომ ქართული, მსოფ-

ლიო ენა არ არის. ერთი თანამედროვე მწერლის პერიფრაზირებას გავაკეთებ და ვიტყვი, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალში ნაკითხვის სიამოვნება მხოლოდ ცოტას გვერგო.

რატომ არის ეს ნაწარმოები ასეთი კარგი?

პირველი და უმნიშვნელოვანესი ის არის, რომ მთელი ამბავი გალექსილია. რუსთაველი, თხრობის გამო, თითქმის არ ამახინჯებს ქართულ ენას, როგორც ამას ბევრი გვიანდელი პოეტი სჩადის. მას არსად აკლია მარცვალი, და თუ აკლია, ამ ცარიელ ადგილს ისე ავსებს, რომ ვერავინ ვერაფერს იგრძნობს. „ვეფხისტყაოსანი“ არის ქართული პოეტიკის მწვერვალი. ამ მხრივ, მხოლოდ გალაკტიონს თუ შეუძლია ოდნავ მაინც მიუახლოვდეს მას.

მეორე ელემენტიც პოეტურია. ეს არის „ვეფხისტყაოსნის“ მელოდია. თექვსმეტმარცვლიანი ლექსი, სადაც სტროფების ორი რითმი ცვლის ერთმანეთს და ყველა სტრიქონის ბოლო სამი მარცვალი წინასთან გართიმულია, უნიკალურ მუსიკალურ გარემოს ქმნის. სამწუხაროდ, სპარსული და არაბული არ ვიცი და ვერ ვიმსჯელებ იქაური ლექსის მელოდიურობაზე, მაგრამ ევროპული ლექსი ამგვარ მელოდიას ვერ ფლობს. რუსთაველთან ქართულ ენაში, ალბათ, შეერთდა აღმოსავლური ლექსის მელოდიურობა და დასავლური ლექსის სიზუსტე. „ვეფხისტყაოსნის“ მუსიკა და მის მელოდიაში აზრის ჩაქსოვა უნიკალურია. აქ უკვე გალაკტიონიც ვერ მივა.

მესამე ელემენტი თხრობითია. „ვეფხისტყაოსანი“ კაცმა შეიძლება, ფილმად გადაიღო. მთელი სიუჟეტი დაძაბული და ჩახლართულია, როგორც ჰოლივუდის ან ბოლივუდის საღაროთა მბრძანებელი ფილმების ფაბულა. არაფერი არ არის „ვეფხისტყაოსანში“ ბრტყელი და პირდაპირი. ყველა გმირი და ამ გმირთა ყველა ქმედება, თხრობის თვალსაზრისით, მოულოდნელი და წინასწარ განუსაზღვრელია. ამავე დროს, რუსთაველის არცერთი გმირი არ არის ყალბი, მისი გმირები, პირველ რიგში, ადამიანები არიან, ყველა ადამიანური სისუსტიტა და ღირსებით. რუსთაველი არცერთ თავის პერსონაჟს არ ხატავს აბსოლუტურ იდეალად; ტარიელი – მტირალა, წუნუნა და შმაგია. ნესტან-დარეჯანი – წამქეზებელი და პატივმოყვარე. ავთანდილი – მიზანსწრაფული, არ თაკილობს სხვა ქალთან პატარა სასიყვარულო თავგადასავალს, რომ მიზანს მიაღწიოს. ფრიდონი, არჯუნასი არ იყოს, თავის ბიძაშვილებს ებრძვის. ასეთ „რეალურ“ პერსონაჟებს იშვიათად თუ შეხვდები კაცი ლიტერატურაში. რუსთაველი არ აიდევლებს თავის გმირებს, არ ქმნის ჰიპერბოლურ ხასიათებს.

რომანი „ვეფხისტყაოსანი“ ინტერნაციონალურია და, ამავე დროს, მეტად ნაციონალური. რუსთაველს, აქა-იქ (ალბათ განზრახ) გაეპარება, რომ გმირები ქართველები არიან, თუმცა, ხან არაბეთის, ხან ინდოეთის და ხანაც ჩინეთის მკვიდრებად გვევლინებიან. პოემაში მათი მოქმედების არე მაშინდელი მსოფლიოა. მთელი პოემა აღსავსეა დრამატიზმით, ვნებებით, ნდომით. ერთი სტრიქონიც კი არ არის ნაწარმოებში, რომ უმნიშვნელო იყოს და მისი ამოგდება შეიძლებოდეს. ეს არის უაღრესად კომპაქტური, სიუჟეტურად შეკრული და სრული ნაწარმოები.

მეოთხე ელემენტი არის ავტორის მიერ იმ დროისათვის არსებული სიბრძნის ინკრუსტაცია ნაწარმოებში. დიახაც, ინკრუსტაცია; უდიდესი სოციალური, ფსიქოლოგიური და ფილოსოფიური ცოდნაა ჩაქსოვილი, ინკრუსტირებულია გმირების დიალოგებში. გარდა ამისა, ხანდახან ავტორი საკუთარ თავსაც აჩენს, როცა ამა თუ იმ პერსონაჟს ან სიტუაციის ანალიზისას, თავისას გვეუბნება. მე თხრობაში მომყავს ამის მაგალით-მარგალიტები. პოემა წარმოადგენს რუსთაველის ეპოქის ელიტარული ცოდნის ენციკლოპედიას. ეს ცოდნა ჩვენი ეპოქისათვისაც აქტუალურია. მე კრიტიკულად მივუდგებოდი რამდენიმე ელემ-

მენტს, მაგრამ, მთლიანობაში, განცვიფრებას ვერ ვმაღავ, რომ ამ ერთმა კაცმა იმ დროს ამდენი რამ იცოდა. ეჭვი მაქვს, რომ აქ მხოლოდ მინიერ ფენომენტთან არა გვაქვს საქმე.

აქედან გამოსული, ბარემ მეხუთე ელემენტზეც შეეჩერდები. ეს არის რუსთაველის რელიგიურობა და ღვთისმოსაობა. ვერავინ მეტყვის, პოემიდან გამომდინარე, თუ რომელი ღმერთი სწამს ავტორს. ქართული მართლმადიდებლობა ვერ დაიკვეხნის, რომ რუსთაველი შეგნებთა და რწმენით მართლმადიდებელი იყო. მას ვერც სხვა რელიგიას მივაკუთვნებ. რუსთაველი არ არის ისლამური; მისი რომანის ბანოვნები ისე იქცევიან, რომ ისლამში მათ კარგა ხანია თავებს დააჭრიდნენ. არც ბუდიზმ-ინდუიზმისა ჩანს რაიმე მნიშვნელოვანი პოემაში. არის ელემენტები, რომელიც საზოგადო და ყველა რელიგიისათვის მისაღები, მაგრამ, უამრავია მკრეხელობაც. და ეს მკრეხელობა არა მარტო ქრისტიანული, არამედ ისლამურიც და ბუდისტურ-ჰინდუისტურიცაა. ყველაზე ახლოს, რუსთაველი სუფისტ მისტიკოსებთან და მოგვიანებით წარმოქმნილ ქრისტიანულ მისტიციზმთან დგას. იგი ეძებს არა ეკლესიას, არამედ ღმერთს. მკრეხელად მეც რომ ჩამთვალონ, მაინც ვიტყვი, რომ რუსთაველი რელიგიებზე მაღლა დგას და ზოგადსაკაცობრიო აზრს ამკვიდრებს. „ვეფხისტყაოსანი“ მსოფლიო მნიშვნელობის ნაწარმოებია. იგი ღვთისმოსავისთვისა და მორწმუნესათვისაც ისეთივე შესარგებია, როგორც ათეისტისათვის.


რამდენიმე სიტყვას ამ ნაწარმოების იდეათა თანამედროვეობაზეც ვიტყვი. თითქმის ყველაფერი, რასაც რუსთაველი სოციოლოგიურ ასპექტში გვთავაზობს, ისევე აქტუალურია დღეს, როგორც მის ხანაში. არის მასთან იდეები, რომელთა რეალიზაციაც მხოლოდ მოგვიანებით, ევროპულ რენესანსში დაიწყო და დღესაც არ დამთავრებულა. რად ღირს, თუნდაც ქალისა და კაცის თანასწორობის დეკლარაცია?! მეთორმეტე საუკუნეში ამის განმცხადებელს სერიოზულად არავინ მიიღებდა. ანდა, მეორე თემა, სიყვარულისა და მეგობრობის პრიორიტეტი ავიღოთ. აქ, რუსთაველი ქვას ქვაზე არ ტოვებს მომხვეჭელური და თავკერძა იდეოლოგიისაგან. ყველა მისი სტრიქონი გამსჭვალულია მარადი ღირებულებების, – სიყვარულის, მეგობრობის, თანადგომის, ურთიერთგაგების სულისკვეთებით. გაცემა და გაჩუქება რუსთაველისათვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მოხვეჭა და დაგროვება. ნეტავ, ჩვენში, დღეს გაიხადოს ზოგიერთმა, ეს ლაღადი, საკუთარ დევიზად. „ვეფხისტყაოსანი“ აბსოლუტურად თანამედროვე ნაწარმოებია. ვერავინ იტყვის, რომ მასში ადამიანთა შორის იმგვარი ურთიერთობების პროპაგანდა ხდება, რომელიც დღეს მოძველებულია. ისიც კი, რაც რუსთაველთან მისი გმირების უარყოფით საქციელად შეიძლება შეფასდეს (მაგალითად ნესტანის მიერ ტარიელის ნაქეზებას ავიღებდი), ესეც კი თანამედროვედ ჟღერს. რუსთაველის გმირები, ხანდახან ზედმეტად რომ არ ტიროდნენ და ცრემლს არ ღვრიდნენ, შეგვეძლო ჩვენს თანამედროვეებად მიგვეჩნია.

გარდა ამისა, ესეც მინდა შევნიშნო, რომ მთელ ნაწარმოებში დედები თითქმის არ ჩანან. ერთი-ორჯერ თუ გაიღვებ ნესტან-დარეჯანის დედა, ფარსადანის მეუღლე, თორემ სხვამხრივ, დედის ის კულტი, რომელზეც ქართველები თავს ვდებთ, რუსთაველთან არ გვხვდება. აქ მოქმედებენ ემოციური, ძლიერი ახალგაზრდა ქალები და მამაკაცები, რომლებიც სიბრძნით, ნიჭით, ცბიერებით, მონდომებით, სიბეჯითით, ერთგულებით და ძალღონით აღწევენ მიზანს.

ამდენი ქება-დიდებათ მკითხველს, ალბათ, ინტერესიც აღეძრა პოემისადმი და მოდით, ბარემ დავინყოთ.



ტარიელის სმლის ვადა, 35X25 სმ, მუყაო, გუაში,
მხატვრის ოჯახის კოლექცია



ავთანდილის პირველი თავგადასავალი



როსტევანის პორტრეტი, 30X33 სმ,
ტილო, ზეთი, დათო შენგელიას კოლექცია,
თბილისი

როსტევანი და თინათინი, 29X22 სმ,
მუყაო, გუაში, პასტელი,
მხატვრის ოჯახის კოლექცია

როსტევანი არაბეთის ხელმწიფე იყო. მრავალწლიანი მეფობის განმავლობაში სახელიც კარგი მოეხვეჭა და ქონებაც უზვად დაეგროვებინა. ყველა აქებდა და, სავარაუდოა, რომ ქვეყნის მცხოვრებთა უმეტესობას იგი უყვარდა კიდევ.

მას რუსთაველი შთამბეჭდავი ეპითეტებით ამკობს, თუმცა არც როსტევანს და არც პოემის სხვა გმირებს, არაბულისა არაფერი სცხნიათ (მიხეილ ქვლივიძისა არ იყოს, „იყო არაბეთს. . .“ არაბეთს არა ყოფილა არავინ. . .). რუსთაველის დროისათვის არაბულ სახელმწიფოებში უკვე რამდენიმე ასეული წელია, რაც ისლამს ჰქონდა ფეხი მოკიდებული და წესით, როსტევანსაც და სხვებსაც, რუსთაველის ეპოქაში რომ ეცხოვრათ, დღეში ხუთჯერ უნდა ელოცათ პირით მექისაკენ და წვეთი სასმელი არ უნდა დაელიათ. პოემაში იშვიათად ლოცულობენ და სასმელსაც ბევრსა სვამენ. არის პოემაში ბევრი სხვა ელემენტიც, რომელიც ამ არაბულ ფონს აფერმკრთალებს. ასე რომ, არაბეთი მხოლოდ პირობითობაა. სინამდვილეში ავტორს საკუთარი სამშობლო და აქაური მოვლენები აქვს მხედველობაში. როსტევანის ფიგურის პროტოტიპი, ალბათ, გიორგი მეფეა, თინათინისა კი, რასაკვირველია, თამარი, დავით აღმაშენებლის შვილის შვილიშვილი.

გაკვრით შევნიშნავ, რომ ჩვენში მეფე-ქალებს რატომღაც დედოფალს უწოდებენ (მაგალითად დიდი ბრიტანეთის ელისაბედს ან რუსეთის ეკატერინეს მოვიყვან), რაც არასწორია. დედოფალი მეფის მეუღლეა, ხოლო მეფე მეფეა, გინდ ქალი იყოს და გინდ მამაკაცი.

სწორი იქნებოდა ელისაბედ მეფე ან მეფე ეკატერინე, ისევე, როგორც თამარს ჩვენში მეფეს ეტყვიან.

მოკლედ, როსტევანი მძლე და ბრძენი ხელმწიფე იყო. მის დახასიათებას რუსთაველი ეპითეტ „მაღლით“ იწყებს. სიტყვა „მაღალი“ სანსკრიტული წარმოშობისაა („მახა“ ან „მაჰა“, ისე, როგორც „მაჰა-იანა“, „მაჰა-რაჯა“ ან „მახა-მხარატა“) და „დიდს, დიადს“ ნიშნავს. როდესაც რუსთაველი როსტევანის სიმაღლეზე საუბრობს, მისი სიდიადე აქვს მხედველობაში.

ეს დიადი მეფე, რომელიც თავმდაბალიც იყო ქვეშევრდომებისათვის, სამართლიანიცა და გულუხვიც, მოხუცებულობის ჟამს, თავისი ქალიშვილის, თინათინისათვის ტახტის დათმობას დააპირებს. მიუხედავად იმისა, რომ თინათინი ჯერ ახალგაზრდაა, მეფე მიიჩნევს, რომ ქალიშვილი მეფობის რთულ საქმეს თავს კარგად გაართმევს. როსტევანს უნდა, რომ, ვიდრე ცოცხალია, მან და თინათინმა ერთად იმეფონ. გარდა ამისა, თინათინი შესახედავადც მშვენიერი ქალია. ბრძენი როსტევანი ამ საკითხის ერთპიროვნულად გადაწყვეტას მაინც არ იღებს საკუთარ თავზე და ვეზირებს შეჰკრებს სათათბიროდ.

ვეზირები ჯერ გაუძალიანდებიან მეფეს, როცა შეიტყობენ, რომ მას ასაკის გამო უნდა ტახტის დათმობა, მაგრამ მერე, როცა მეფის არგუმენტებს მოისმენენ, დათანხმდებიან ახალგაზრდა ქალის გამეფებას.

სწორედ ამ თათბირზე გამოთქვამს ერთ-ერთი ვეზირი ფრაზას, რომელიც შუა საუკუნეების იდეოლოგიისათვის აბსოლუტური მკრეხელობაა, თუმცა, თვით ამ ფრაზაში ჩადებული აზრი ქართული სულიერი კულტურის ქვაკუთხედად გვევლინება. რუსთაველი ამ აზრის ფორმულირებას შემდეგნაირად გვთავაზობს:

ლეკვი ლომისა სწოწია, ძუ იყოს, თუნდა ხვაღია.

მე შორსა ვარ ამ ფრაზის ისეთი შეზღუდული ინტერპრეტაციისაგან, თითქოს მხოლოდ ლომის ბოკვერებს, ანუ მეფის მემკვიდრეებს მიიჩნევს რუსთაველი თანაბრად, პოეტის დიაპაზონი გვიბიძგებს ვიფიქროთ, აქ სწორედ იმას გვეუბნება რუსთაველი, რომ ბუნება მდებარე და მამრ არსებას ტოლად ბადებს და რომ ადამიანთა თანასწორუფლებიანობა საზოგადოების მოწყობის უმნიშვნელოვანესი პრინციპია. დასავლურ აზროვნებაში ამ იდეამ მხოლოდ უკანასკნელი 200 წლის განმავლობაში მოიკიდა ფეხი. ბევრ მოწინავე დასავლურ ქვეყანაში მხოლოდ მეოცე საუკუნეში გატარდა ცხოვრებაში სქესთა თანასწორობის პრინციპი. არაფერს ვიტყვი იმავე არაბეთზე, სადაც მეტწილად ქალი, არამცთუ მეფობაზე, არამედ საარჩევნო უფლებაზეც ვერ იოცნებებს.

კიდევ ერთი რამ არის აქ აღსანიშნავი. რუსთაველი ქართველია და მისი სამყარო ქართულენოვანია. ამ სამყაროში არ არსებობს გამოხატული სქესი: ქართული ენა, ფორმალურად მაინც, არ ასხვავებს მდებრობითა თუ მამრობითი არსება და საგანს. ამგვარი რამ, სხვა ენაში არ შემხვედრია და არც გამიგონია. ქართველმა ამ ფაქტით უნდა იამაყოს. თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ყველა ენის სტრუქტურისა და გრამატიკის ცოდნას ვერ დავიჩემებ.

დავუბრუნდეთ პოემას. დისკუსიის შედეგად, სათათბირო მეფის წინადადებას მიიღებს და გადაწყდება სათანადო ინაუგურაციის მოწყობა. ამ თათბირის მონაწილე ვეზირთა შორის ერთი ახალგაზრდა დიდებულიც ერია: მთავარსარდლის ვაჟი ავთანდილი – როსტევან მეფის აღზრდილი და სახელმწიფო კარს განსაკუთრებულად დაახლოებული პირი. ავთანდილიც სამხედრო საქმით იყო დაკავებული და სპასპეტის ჩინი ჰქონდა, ანუ ჯვარის რამდენიმე ათასეული ებარა. გარეგნულად სიმპათიური იყო, ყველა საქმე ხელეწიფებოდა, რასაც შეუდგებოდა და, რაც მთავარია, გაგიჟებამდე უყვარდა თინათინი. რასაკვირველია, იგი ამ სიყვარულს მალავდა, რადგან მამინ მოდაში არ იყო გრძნობების უცებ გამჟღავნება. როცა კრების გადაწყვეტილება მოისმინა, გაიხარა – ჩემს შეყვარებულს უფრო ხშირად ვნახავო.

პოემაში არ ჩანს როსტევანის თათბირი თავის ქალიშვილთან, მან ჯერ ბრძანება გასცა, რომ ეს სიახლე მთელი არაბეთისათვის შეეტყობინებინათ. მოიწვია ყველა, ვისაც კი რაიმე ეკითხებოდა ქვეყანაში და მათ წინაშე წარადგინა თინათინი. თავისივე ხელით დაადგა სამეფო გვირგვინი, გადაულოცა სკიპტრა და მოახურა სამეფო მოსასხამი. მართალია, თინათინი ცოტა დაიბნა, მაგრამ არაფერი შეიმჩნია. ჯერ მშვიდად და ღირსებით მიიღო მილოცვები, მაგრამ მოგვიანებით, როცა ზემი გაჩაღდა და დრო იხელთა, ატირდა. მერე როსტევანს შესჩივლა, – მე მეფობის ღირსი არ ვიყავიო. როსტევანმა დამშვიდება დაუწყო: – ახლა უკვე არაბეთის მეფე ხარ და უნდა ჩემთან ერთად იმეფო კიდევცო. მთავარია, სიმშვიდე და საქმიანი მიდგომაო. ერთი იცოდე, ყველა ადამიანი შენი ქვეშევრდომია და მდიდარსაც და ღარიბსაც შენს ყურადღებას ნუ მოაკლებო; მზეც ხომ ყველას ერთნაირად უნათებსო. ძუნწი არ იყო და უხვად გაეცი, რისი გაცემაც შეგიძლია. შენახვა-დაგროვებას აზრი არა აქვსო.

ამ დარიგებისას როსტევანი ერთ უმნიშვნელოვანეს მოსაზრებას უზიარებს ქალიშვილს, რომელიც რუსთაველის ფილოსოფიური და სოციალური აზროვნების ერთ-ერთ მწვერვალად შეგვიძლია მივიჩნიოთ. აი, რას ეტყვის თინათინს მამამისი დარიგების დასასრულს:

რასაცა გასცემ, შენია, რასც არა, — დაკარგულია!

ამ გენიალურ ფრაზაში ისმის როგორც სოკრატესეული აზროვნების, ისევე სუფიზმის გამოძახილი, რაც რუსთაველის უაღრეს ერუდიციასა და სოციალურ გამოცდილებაზე მეტყველებს.



ავთანდილი ნადირობისას, 28X26 სმ, მუყაო, გუაში,
პასტელი, კერძო კოლექცია, პარიზი

ახალგამეფებულმა ქალიშვილმა ყურადღებით მოისმინა მამის რჩევა-დარიგება, როსტე-
ვანმა კი ქეიფი გააგრძელა. მერე თინათინმა გადაწყვიტა მამის დარიგება დაუყოვნებლივ
აღესრულებინა, მოიხმო თავისი გამზრდელი და უბრძანა, გაეცა ხალხისათვის მთელი
ძვირფასეულობა, რაც თინათინს დაგროვილი ჰქონდა წლების მანძილზე. შემდეგ ამილახ-
ვარის ჯერი მოვიდა, რომელსაც ახალმა მეფე-ქალმა ხაზინიდან ნაალაფევისა და საჯინი-
ბოდან ცხენების, ხოლო საძოვრიდან პირუტყვის გაცემა-გაჩუქება დაავალა. ხალხში ამან
დიდი კმაყოფილება და ზარ-ზეიმი გამოიწვია. ყველა მხიარულობდა. დიდებულები აღმა-
ცერად იცქირებოდნენ, მაგრამ ქეიფობდნენ.

ლხინის მეორე დღეს როსტეევანმა რატომღაც მოიწყინა. იჯდა თავისთვის სუფრასთან და
პირ-სახე ჩამოსტიროდა. ვეზირთმთავარმა სოგრატმა და ავთანდილმა ეს შენიშნეს და გა-
დაწყვიტეს ეკითხათ როსტეევანისთვის დალონების მიზეზი. ჭიქები შეავსეს, მეფეს მიუს-
ხდნენ. სოგრატმა ნახევრად ხუმრობით უთხრა: – რას მოიწყინე მეფევ, ის განერვიულებს,
რომ ქალიშვილმა შენი წლობით ნაგროვები ქონება ერთ დღეში გაანიავაო? როსტეევანმა
იწყინა ნათქვამი, მაგრამ გაბრაზება არ შეიმჩნია – ეგ რა სალაპარაკოა, ჩემი სიძუნწე
ვის გაუგონიაო? მე სულ სხვა რამ მადარდებს და მაწუხებსო. ქალი მანც ქალია და ვინმე
ვაჟკაცი რომ გამოჩენილიყო ჩემს გვერდით, ჩემთვის მშვილდოსნობაში, ბურთში ან სხვა
კაცურ საქმეში ეჯობნა, ბედნიერი ვიქნებოდით. ერთი, ეს, ჩემი გამოზრდილი ავთანდილი
მეიმედება, სხვა არავინო. მოკლედ, როსტეევან მეფეს წუწუნის შეეპარა სიტყვაში.

ავთანდილი ყველაფერ ამას ღიმილით ისმენდა და მერე როსტეევანს მიუგო: – თუ არ მიწ-
ყენ, ერთ რალაცას გეტყვიო, როსტეევანმა – მითხარიო. ავთანდილმა ისევ გაუღიმა: – პი-
რობა მომეცი, რომ არ გეწყინებაო. ამაზე როსტეევანმა უპასუხა, – როდის იყო, შენგან
რამე მწყენოდეს, თუ გინდა, თინათინს დავიფიცებო. მხოლოდ ფიცის შემდეგ გაანდო ავ-
თანდილმა როსტეევანს თავისი სათქმელი: – ახლა, რაც ქალიშვილი გაამეფე, მეტი თავისუ-
ფალი დრო გაქვს და მოდი, ნიძლავი დავდოთ; შემეჯიბრე მშვილდშიაც და ბურთშიაც და,
ვინც ჩვენ ორში წააგოს, იმან სამი დღე უქუდოდ იაროსო.

როსტეევანმა ნიძლავი სიამოვნებით მიიღო და მოწმედ და თანაშემწედ თორმეტი კარის-
კაცი მიიწვია. მათი უფროსობა შერმადინს დაევალა. მათ ზუსტად უნდა აღერიცხათ, ავ-
თანდილი მეტს მონინადირებდა, თუ როსტეევანი. ბოლოს, მარეკები დაგზავნეს ველად და
სამხედრო შენაერთები გააყოლეს საველე ბანაკის მოსამზადებლად. ქეიფიც დაამთავრეს
და შეჯიბრისათვის მზადებას შეუდგნენ.

მეორე დღით ექვს საათზე ავთანდილი როსტეევანს ეახლა. თეთრ ტაიჭზე იჯდა, სანადირო
ტანსაცმელი ჩაცევა და უზარმაზარი ხმალი დაეკიდა. როსტეევანიც მზად იყო. ისიც მხნედ
მოახტა თავის ცხენს, ისე, რომ არავინ დახმარებია და გზას გაუყვნენ. წინ სამეფო დაცვის
ორი მხედარი მიუძღოდათ ზანზალაკებიანი ცხენებით, რომ მგზავრისათვის შეეტყობი-



როსტევაწი ნადირობისას, 27X26 სმ, მუყაო,
გუაში, პასტელი, კერძო კოლექცია, პარიზი

ნებინათ, მეფის ამაღლა მოდისო. მერე ათიოდე მეტრის დაშორებით როსტევანს მოჰყავდა თავისი ცხენი ჩორთით და ავთანდილიც იქვე იყო; ცხენის ერთ კამარაზე ჩამორჩებოდა როსტევანს და, როცა ამ უკანასკნელს რაიმე სათქმელი ჰქონდა, ავთანდილი წამოეწეოდა ხოლმე ყურის დასაგდებად.

მათ შერმადინის ასეული მოჰყვებოდა, ყოველი მათგანი ბრძოლაში გამობრძმედილი და მეფისა და სახელმწიფოს ერთგული მეომარი. ამათ მოსდევდა სამეფო გვარდიის ასეული. კიდევ უფრო უკან მოდიოდა ალალი ათიოდე დატვირთული აქლემითა და სახედრით. მერე მოდიოდნენ მსახურნი და საჭურისნი. მათი უმეტესობა ურმებზე იჯდა, მაგრამ იყო ისეთიც, ვისაც ქონება შეეძინა და საკუთარი ცხენით მისდევდა ამაღას. შერმადინი გზიდან გადადიოდა, ხან წინ, ხან უკან აგელვებდა ცხენს, რომ ამაღაში წესრიგი დაეცვათ. როსტევანი და ავთანდილი მშვიდად საუბრობდნენ.

მარეკები და გამძლოლები, მაძებარი ძალებით, უკვე წინა დღეს იყვნენ დაგზავნილები და ახლა მონადირეებს ელოდნენ. ალალი სამხრის ხანს მიადგა ტყეს, მეომრებმა და მსახურებმა ტყის პირას დასცეს ბანაკი. ცენტრში როსტევანის სამეფო კარავი გაშალეს. მას გარშემო ოთხი საგუმავო კარავი მიუდგეს, ოდნავ მოშორებით ავთანდილი და შერმადინი დაბანაკდნენ. გარე წრეზე ჯარისკაცებს დაუდეს ბინა. ცხენები დაანაყრეს, მდინარესთან ჩაიყვანეს დასარწყულებლად და სახელდახელოდ მოწყობილ თავლაში დააბინავეს.

როსტევანმა და ავთანდილმა იმავე საღამოს იხმეს ის თორმეტი კაცი, რომელთაც, შერმადინთან ერთად, ნიძლავი უნდა გადაეწვიტათ. ინსტრუქტაჟი ჩაუტარეს და დავალებები მისცეს. მოპაექრეებს ორ-ორი მსახური უნდა ხლებოდა ისრის მისაწოდებლად. კიდევ ორ-ორს ნანადირევი უნდა შეეგროვებინა და აღენუსხა, თუ რომლის მოკლული იყო ეს ცხოველი და ბოლო წყვილს ფუჭად ნასროლი ისრები უნდა ეგროვებინა. შერმადინს ამ თორმეტი მსახურის ზედამხედველობა ეკისრებოდა, რათა საბოლოო შედეგები გამოეცხადებინა.

იმ საღამოს ამით დაამთავრეს. ღამით როსტევანს ქურციკები და ირმები ესიზმრებოდა, ავთანდილს – თავისი შეყვარებული, შერმადინს – ათასისთავობა, ჯარისკაცებს კი ომი და გამარჯვება.

მეორე დილას, გარიჟრაჟზე, როცა მზე ჯერ კიდევ აპირებდა ამოწვერას, როსტევანმა ავთანდილის კარავი შეხსნა და უკვე საპაექროდ მომზადებული ყმაწვილი გამოიხმო. მარეკებს აცნობეს, რომ ნადირობა იწყებოდა. მოპაექრენი ამხედრდნენ და ტყისკენ გააჭენეს ბედაურები. ისეთი სისწრაფით გაჰქუსლეს, რომ ორ-ორი ისრის მიმწოდებელი ძლივს მისდევდა. გაჩაღდა ნადირობა. ერთიც და მეორეც, ხან ერთმანეთს შორდებოდა, ხან უახლოვდებოდა. ხან როსტევანი შეაჭენებდა ტყეში ცხენს და ხან ავთანდილი. შიგა და შიგ ერთმანეთს გასძახებდნენ ხოლმე. ისრებისა და ნანადირევის შემგროვებელთ ქანცი გაძვრათ. შერმადინი

ხან აქ იყო, ხან იქ. გამრეკებითა და ძაღლებით დამფრთხალი ცხოველი ტყის აქეთ პირს მოაწყდა. კურდღელსა და მელას არ ესროდნენ, ქურციკი და ირემი გაიხადეს სამიზნედ. მე არ მინდა, რუსთაველს ეკოლოგიური უმეცრება დავწამო, მაგრამ, მოისმინეთ:

დახოცეს და ამოწყვიდეს, ცათა ღმერთი შეაჩისხეს.

რასაკვირველია, შერისნდება ღმერთი, როცა ორი სნობი, სანაძლეოს გამო, ათასობით ცხოველს გაწყვეტს. არც ავთანდილს, არც როსტევანს, ამ ცხოველების განადგურება არ ჭირდება. ერთიც და მეორეც ამას საკუთარი ვაჟკაცობის დასამტკიცებლად აკეთებს. არ ჯობდა, უბრალოდ სამიზნეში ესროლათ?

ბოლოს, როცა მთელი ნადირ-ცხოველი გაჟლიტეს და მხოლოდ ცოტა მათგანმა თუ მოასწრო კლდეებს შეფარებოდა, დაღლილი მონადირენი ბანაკს დაუბრუნდნენ. როსტევანი მხოლოდ შერმადინს არ ენდო და ყველა, თორმეტივე მსახური მოიხმო, რომ შეეტყო ნადირობის შედეგი. მსახურთ ბევრჯერ გადათვალეს, ვინ რა მონადირა და მხოლოდ მას შემდეგ შეჰბედეს როსტევანს. აღმოჩნდა, რომ ორივეს ერთად ორი ათასი ნადირი მოეკლა. აქედან, ავთანდილს ათას ათი, ხოლო როსტევანს, ოცით ნაკლები, ანუ ცხრაას ოთხმოცდაათი. თანაც, ისიც აღინიშნა, რომ ავთანდილს ერთი ისარიც არ აუცილებია მიზნისთვის. როსტევანს კი რამდენიმე აუცილებინა.

როსტევანი რომ თავკერძა და ძალაუფლებისაგან გამამართავნებული მმართველი ყოფილიყო, ეს ამბავი შეაწუხებდა და, შეიძლება, წყენოდა კიდეც. ამგვარი ქცევა ლოგიკურიც იქნებოდა „უბრალო“ ადამიანთა შორის. ეს ხომ პატივმოყვარეობის შელახვაა? მაგრამ რუსთაველი, დიდებული რუსთაველი, აქ სულ სხვა სურათს გვიჩვენებს. როსტევანი სიხარულს ვერ მალავს! იპოვა! კაცი იპოვა, რომელიც სამეფოში უპირველესი იქნება, ჯარს წარუძღვება, ნადირობასაც შესძლებს, ბურთაობასაც, სხვა საქმესაც და შეიძლება თინათინსაც დაუდგეს გვერდით. თანაც, ეს კაცი მისი, როსტევანის გაზრდილია! როსტევანი ბედნიერია: მან იპოვა, ვისაც ეძებდა!

ავთანდილზე აქ არაფერს ვიტყვი. მასზე ბევრი კარგი მაქვს ქვემოთ სათქმელი. ეს ნადირობა მისთვის უმნიშვნელოვანესი თუ არა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ცხოვრებაში. მას ჯერ კიდევ ბევრი რამ მოეღის და, რუსთაველის მსგავსად, ნადირობის ამბავი აქ დავამთავროთ. მეტი არაფერი მომხდარა. მოხუცმა მეფემ რამდენიმე კაცი ახლო-მახლო ტერიტორიის დასაზვერად გააგზავნა და ბედნიერმა თავის კარავს მიაშურა.

როცა როსტევანისა და ავთანდილის მსახურნი ტერიტორიას ზვერაგდნენ, მდინარის პირას, ლოდზე მჯდარი ახალგაზრდა დამწუხრებული კაცი შენიშნეს. მიუახლოვდნენ უცნობს ხელში მსხვილი მათრახი ეჭირა, ტანზე ვეფხვის ტყავი ემოსა და ქუდიც ვეფხვის ტყავ-



უცხო მოყმე, 28X26 სმ, მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი

ვისა ეხურა, დაღონებული წყალს ჩასცქეროდა. თავ-პირი ჩამოსტიროდა, თუმცა სისუსტისა არაფერი ეტყობოდა; მხარბეჭიანი იყო და ნავარჯიშევი კუნთები ებურცებოდა მკლავებზე. იქვე შავი ბედაური ბალახობდა, ზედ ძვირფასი ქვებით გაწყობილი უნაგირი ედგა და სადავე ძირს მოსთრევდა. ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდნენ ცხენიც და კაციც, თითქოს გარშემო ვერაფერს ამჩნევდნენ.

ერთ-ერთი მსახური ვეფხისტყაოსან ახალგაზრდას მიუახლოვდა და მასთან გასაუბრებას შეეცადა. უცნობს რეაქცია არ ჰქონია, თითქოს მსახური ვერც შენიშნაო, ისევ ტუროდა თავჩაქინდრული. მსახურმა, შეკითხვებზე პასუხი რომ ვერ მიიღო, როსტევეანის ავტორიტეტი მოიხმარა და უცნობს უთხრა, მეფე გიბარებსო. არც ამაზე გასცა პასუხი ვეფხისტყაოსანმა. მსახური როსტევეანთან დაბრუნდა და დაიჩვილა, – ისე ტირის და მოთქვამს ეს უცნობი, რომ არც ვინმეს დანახვა უნდა და არც სხვასთან საუბარიო. როსტევეანს ეს არ ეპიტნავა, გაბრაზდა და თორმეტი კაცი გაგზავნა უცხოს შესაპყრობად.

ამათ დანახვაზე, მტირალი ახალგაზრდა წამოხტა, თავის შავ ცხენს მოახტა, მიგზავნილი მსახურები მიფანტ-მოფანტა, ზოგს მათრახი გადააწნა და თავი გაუტეხა, ზოგს მუშტი ჩაჰკრა და გააბრუა, მერე – ვაჰ მეო! – დაიძახა და ცხენი ბანაკის საპირისპირო მიმართულებით გააჭენა. ამის შემხედვარე როსტევეანმა უცნობს ჯარი მიადევნა. ვეფხისტყაოსანი არც მათ შეეპუა; ვინც მიუახლოვდა, ყველა ჩამოყარა ცხენიდან. ზოგი დაასისხლიანა, ზოგს თავი გადაუფხრიწა და ზოგიც მოკლა. მერე, მეფეს რომ მოჰკრა თვალი, ცხენს მათრახი გადაუჭირა და ისე სწრაფად გაუჩინარდა, ვერავინ გაიგო, ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ. კვალიც კი ვერ აღმოაჩინეს. ამის შემსწრე ზოგიერთი მსახური, იმასაც ფიქრობდა, ეტყობა ავი სული ან დევიაო.

როსტევეანი ამ ამბავმა ძალიან შეაშფოთა. გაბრაზებულიც იყო, ნაწყენიცა და შეურაცხყოფილიც. მსგავსი არაფერი ენახა და არც გაეგონა. დაიბოლმა. ლაშქარს აყრა, დაჭრილებისა და დახოცილების მოვლა უბრძანა, მსახურნი გაიყოლია, სასახლეში დაბრუნდა და კრინტს არ იღებდა. აქ, ავთანდილთან ერთად, თავის კაბინეტში ჩაიკეტა; აღარავის დანახვა არ უნდოდა.

მამის დაბრუნება რომ შეიტყო, თინათინმა სასახლის მოლარეს დაუძახა და ჰკითხა, რა ხასიათზეაო როსტევეანი. იმან უპასუხა, ისეა ნაწყენი და შეურაცხყოფილი, არავის იკარებს და აჯობებს, შენც არ მიხვიდე, თვითონ დაგიძახებსო. და მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ, როსტევეანს ქალიშვილი

ავთანდილი, 30X33 სმ, ტილო, ზეთი, მამუკა დოლიძის კოლექცია, თბილისი





თინათინი, 30X33 სმ, ტილო, ზეთი, მამუკა დოლიძის
კოლექცია, თბილისი

გაახსენდა და თავისთან მიიხმო; ეგებ მისმა ნახვამ მიშველოს და დარდი გამიქარვოსო.

ეახლა თინათინ მეფე ნაწყენ მამას. გვერდით მიუჯდა, დაუყვავა, მიეფერა და ყველაფერი გამოჰკითხა. ამანაც დაწვრილებით უამბო, რაც შეემთხვათ. თინათინი დაფიქრდა და მამას ურჩია, მსახურნი დაეგზავნა უცნობი მხედრის საპოვნად და არ ენაღვლა; თუ ამ უცნობს იპოვიდნენ, ხომ კარგი, და თუ ვერ იპოვიდნენ, ნამდვილად მოჩვენებად ან ავსულად უნდა ჩაეთვალათ. მართლაც, როსტევეანს ჭკუაში დაუჯდა თინათინის რჩევა და ვეფხისტყაოსნის საძებრად ოთხივ მხარეს დააგზავნა მსახურნი. ამან დაამშვიდა მეფე. სასახლე თავის ყოველდღიურობას დაუბრუნდა. თინათინი მეფობდა, როსტევეანი მრჩეველობდა, ავთანდილი ცდილობდა, ხშირად შეჰყროდა თავის შეყვარებულს და სოგრატი ხელმძღვანელობის ახალ სტილს, ორმეფიანობას ერგეოდა.

ვეფხისტყაოსნის საძებნად დაგზავნილი ხალხი ერთი წელი ეძებდა უცნობს და ხელცარიელი დაბრუნდა – ვერც ასავალი ვნახეთ ამ ვეფხისტყაოსნის, ვერც – დასავალიო. ახლა მართლა დაიჯერა როსტევეანმა, რომ იმ ინციდენტში ავი სული ერია. მეტი აღარ უნაღვლია, გაერთო და დაისვენა. ასე გადიოდა დრო.

ერთ საღამოს, ამ მოვლენების მერე, ავთანდილი მარტო იყო თავის საძინებელ ოთახში. საწოლზე იჯდა, მხოლოდ პერანგი ეცვა და ჩანგზე რაღაც სიმღერის აწყობას ცდილობდა. ამ საქმეში იყო, როცა თინათინის მსახური დაადგა თავს და მეფე-ქალთან მიიწვია: – საქმე აქვს შენთანო. ავთანდილსაც მეტი ხომ არაფერი უნდოდა, ჩანგი გვერდზე გადადო, წამოხტა, გამოიკაზმა და თინათინის საძინებელს მიაშურა.

აქ ერთ თემას მინდა შევეხო, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ ბევრი მკვლევარი გვერდს უფლის. ლაპარაკია პომის ეროტიულ მხარეზე. მართალია, სიყვარული, როგორც ასეთი, ძირითადი თემაა ამ ნაწარმოებისა, მის ეროტიულ და სექსუალურ ასპექტზე ცოტა ვინმე თუ ამახვილებს ყურადღებას. ამ დროს, სიყვარული, არა მარტო პლატონური გრძნობა, არამედ ეროსიც არის. როდესაც ავთანდილი თინათინთან შევა, მას აქ საოცარი სურათი დახვდება. რუსთაველი უნდა მოვიხმო საშველად. აი, როგორ არის ტექსტში:

გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი, ფასისა თქმად საჭირონი,
ჰშვენოდეს შავნი წამწამნი, გულისა გასაგმირონი,
მას თეთრსა ყელსა ეკიდნეს გრძლად თმანი არუხშირონი.

ეს რომ თანამედროვე ენაზე ვთარგმნოთ, შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: ზის თინათინი, მოხურული აქვს ჩახსნილი ყარყუმის ბეწვი და გადახსნილი ძვირფასი თავსაფარი, მოუჩანს შავი წამწამები და ხშირი შავი თმა ჩამოჰყრია მოღერებულ

თეთრ კისერზე. ადვილი მისახვედრია, რომ ავთანდილი ამის დანახვამ გააოგნა. ამ სურათს იმხელა ეროტიული გამოსხივება აქვს, რომ გასაგები ხდება, რატომ წვავდა კოცონზე ეკლესია რუსთაველის უკვდავ ნაწარმოებს. თუმცა, ერთი რუსი მწერლის ნათქვამს გავიხსენებ: ხელნაწერები არ იწვიან! არ დამწვარა „ვეფხისტყაოსანიც“. აქ ჩანს პოემის მრავალსახიანობა, მისი საკაცობრიო მნიშვნელობა. რუსთაველი ადამიანებზე მოგვიტხოვრებს და არა „გმირებზე“. მის პერსონაჟებს ყველაფერი ახასიათებთ, რაც ადამიანურია: სიყვარულიც, მეგობრობაც, მტრობაც, შუღლიც, შურიც, შეცდომაცა და სექსუალური ნდომაც. რუსთაველს ნატამალიც კი არა აქვს იმისა, რაც ჩვენში, რუსულიდან, როგორც „ხანაჟა“ შემოვიდა, სინამდვილეში კი თურქული ძირიდან მოდის და მოჩვენებით ღვთისმოსაობას ნიშნავს.

ავთანდილს წნული სავარძელი მოართვეს და ისიც თინათინის პირისპირ ჩამოჯდა. მეფე-ქალი პირდაპირ საქმეზე გადავიდა და ავთანდილს გაახსენა ვეფხისტყაოსან უცნობთან შეხვედრა. უთხრა, – იმ უცნობის ამბავი დღესაც არ მასვენებსო. უნდა შევიტყო, ვინ იყო და რა უნდოდაო. მერე, ავთანდილისათვის უფრო საინტერესო თემას შეეხო. გავიგე გიყვარვარო. მეც არა ვარ გულგრილი შენს მიმართ და გარდა ამისა, მეფე ვარ შენით. მოდი, შენ დაგავალე იმ კაცის პოვნას და არ მიმტყუნო. მე კი ჩემი მხრივ გპირდები, რომ სამი წელი დაგელოდები, სხვა მამაკაცს ზედაც არ შევხვდავ და ფიცით ვიქნები შენთან შეკრულიო.

ავთანდილი ცას ეწია სიხარულით: თინათინს შეჰფიცა, – რასაც შევძლებ, მოვიმოქმედებ და დაგიბრუნდებიო. მერე ერთხანს ისაუბრეს, იარაღი, ილაღეს, სიტყვით მოეფერენ ერთმანეთს და ავთანდილი თავის დარბაზებს დაუბრუნდა. ისე იყო აღელვებული, რომ კარგა ხანს არ დაძინებია. მომხდარს ანალიზებდა. ხან სიხარულით ტიროდა, ხანაც ალტკინებით წამოხტებოდა. შეყვარებულის საპასუხო გრძნობა ახარებდა, მაგრამ განშორებაც ეძნელებოდა. მერე დაეძინა და მთელი ღამე ისევ თინათინი ეზმანებოდა.

დილით ცხენი შეაკაზმვინა და როსტევანს ეახლა. ჯერ მსახურის პირით შეუთვალა, – მეფე თინათინის დავალებით მივდივარ მივლინებაშიო. როსტევანმა თავისთან მოიხმო, მოუსმინა, შეაქო, მოეფერა და გზა დაულოცა. სიყვარულით დაშორდნენ ერთმანეთს, ისე, როგორც კარგი აღმზრდელისა და საქმეობრივი აღზრდილის წესია. დამშვიდობების შემდეგ, ავთანდილი თავისი ქალაქგარე რეზიდენციისაკენ გაემგზავრა. აქ შერმადინი და სხვა დიდებულები მოიწვია და თავისი ამბები ამცნო. მის არყოფნაში, შერმადინს გადაავალა მოადგილეობა და დაარიგა, რომ, თუ სამი წლის განმავლობაში არ დაბრუნდებოდა, დალუპულად ჩაეთვალათ. შერმადინს, ჯერ ავთანდილთან ერთად უნდოდა ვეფხისტყაოსნის საძებრად წასვლა, მაგრამ ბოლოს გატყდა, საქმეები გადაიბარა და ერთგულემა შეჰფიცა მიმავალს. ავთანდილმა დაამშვიდა, – თუ სასიკვდილო ვარ, სულერთია, მარტო ვიქნები, თუ თანმხლებთან ერთად, ყველაფერი ზეცაში წყდებაო. თუ არ დავბრუნდი, შენ მოუარე აქაურობას, შენზე უკეთესს ვის გადავაბარებ ადგილ-მამულსა და საქმესო.

შერმადინთან საქმეების გარკვევის შემდეგ, ავთანდილი კაბინეტში ჩაიკეტა, საწერ მაგიდას მიუჯდა, ქალღი აიღო, სამელნეს თავი მოხადა და შიგ ბატის ფრთის თეთრი კალაში ჩააწო. დაფიქრდა. არ იცოდა, როგორ დაეწყო. მერე გადაწყვიტა, ანდერძის სტილში მიეწერა თავისი მეგობრების, მსახურებისა და ყმებისათვის. თავიდან, ყველას აცნობებდა, რომ მეფის დავალებით სერიოზულ მივლინებაში მიდიოდა კარგა ხნით. ყველას თხოვდა, ქვეყნისათვის მოეფლოთ და საქმე ისევე წარემართათ, როგორც აქამდე. ბოლოს, შერმადინისათვის მოადგილეობის გადაცემას აცნობებდა და დასძენდა, ისევე დაემორჩილეთ, როგორც მე მმორჩილებდითო. რასაკვირველია, არ დაუკლია არც შერმადინისთვის და არც სხვებისათვის მოფერება, ქება და ხოტბა.

დასასრულ, წერილს მელანი შეაშრო და მსახურს გადასცა შერმადინისათვის მისატანად. ანდერძის წერაში თავზე დასთენებოდა. წამოდგა, მოწესრიგდა, დაიბანა. მერე ღარიბულად შეიმოსა და ოქროებჩაკერებული ქამარი შემოირტყა, – ვინ იცის, რაში დამჭირდებაო. ასეული დაიბარა, – თან გამომყვინო. ცხენი მოაყვანინა, ზედ შემოახტა და ეზოში შეკრებილ სამხედრო ნაწილთან ერთად ქალაქკარე ველისაკენ გასწია. აქ, ლაშქარი სანადიროდ გაუშვა და თვითონ საპირისპირო მიმართულებით დაიძრა. როდესაც შესალამოვდა, დაცვამ და ჯარისკაცებმა მოისაკლისეს, ძებნა დაუწყეს ავთანდილს, მაგრამ ვერსად აღმოაჩინეს. იგი უკვე შორს იყო.

თავისი პატრონის უშედეგო ძებნის შემდეგ ლაშქარი ხელცარიელი დაბრუნდა სასახლეში. აქ, უკვე შერმადინმა შეკრიბა ყველა, ვისაც ავთანდილის წასვლა ეხებოდა და წარუდგინა მათ მისი წერილი. მსახურთა და მეთაურთა უმეტესობამ სინანული გამოთქვა ავთანდილის მოულოდნელი წასვლის გამო, მაგრამ ბოლოს ყველამ შეჰფიცა შერმადინს ერთგულება და მიიღო იგი, როგორც სპასპეტის ნების აღმსრულებელი.

ავთანდილი ოთხ დღეში გასცდა არაბეთის საზღვრებს. თითქმის შეუსვენებელივ მიაჭენებდა ტაიჭს; თვითონაც მოიქანცა და ცხენიც დაღალა. გზადაგზა, გამვლელ-გამომვლელს ვეფხისტყაოსნის ამბავს ეკითხებოდა, მაგრამ ვერაფერი შეიტყო. საღამოობით, სადმე ტყის პირას ან მდინარესთან დაბანაკდებოდა და იქ ათევდა ღამეს. ცოტა გაუჭირდა მარტოობა. დღეებს ითვლიდა. აგონდებოდა თავისი თინათინი, მისი სინატიფე, მისი საუბარი, სასახლეში ცხოვრება, გართობა და ქეიფი. ახლა მიხვდა, თუ რაოდენი ღვთის საჩუქარია, როცა ძვირფასი ადამიანები გახვევია გარს და საყვარელ საქმეს აკეთებ. მთელი გზა ეჭვი ღრღნიდა, კარგი ვქენი თუ არა, ასე რომ წამოვედიო. ბოლოს მაინც გრძნობამ გადასძალა – ჩემს შეყვარებულს ასე სურდაო და თავი დაიმშვიდა, – რაც მოსახდენია, მოხდება, მე ჩემსას გავაკეთებო.

ასე იხეტიალა ავთანდილმა თითქმის სამი წელიწადი. სამი თველა იყო დარჩენილი თინათინისთვის დათქმულ ვადამდე და ვეფხისტყაოსნის კვალი ჯერ არსად ჩანდა. ავთანდილს, ვერც



დიდებულნი ხატაეთიდან, 25X19 სმ, მუყაო,
გუაში, პასტელი, კერძო კოლექცია,
პარიზი



მნახველი და ვერც მისი ამბის გამგონე ეპოვნა ვინმე. სამშობლოდან შორს იყო და ისეთ ადგილებში უწევდა სიარული, რომ თვეობით ვერავის ხედებოდა სულიერს. ერთხელაც, დიდ მთაგრეხილს მიადგა. ულელტეხილზე ავიდა და ზემოდან გადმოიხედა. ქვემოთ, ტაფობზე, უზარმაზარი, დაახლოებით შვიდი დღის სავალი ველი იყო გადაჭიმული. მთის ძირას წყალი ჩამოდიოდა. წყალზე ხიდი არ იყო და ორივე ნაპირი დაბურულ ტყეს დაეფარა.

ჩავიდა, მდინარე გადალახა, ჩამოქვეითდა და კიდევ ერთხელ აწონ-დაწონა ყველაფერი. მართალია, ვეფხისტყაოსანი ვერ ეპოვნა, მაგრამ უკვე უკან დაბრუნების დრო დგებოდა და იფიქრა, ძებნის გაგრძელებას აზრი არა აქვსო. რომ არ დავბრუნდე მკვდრად ჩამთვლიან. შერმადინიც იტყვის, – აწი აღარ დაგვიბრუნდებაო. თინათინს და როსტევანსაც მოახსენებენ, – ავთანდილი დაიღუპაო. წარმოდგინა თინათინის რეაქცია: – ნეტავ როგორ დამიტირებსო? როსტევანსაც ძალიან ეწყინებო – გაიფიქრა. მეორე მხრივ, როგორ დავბრუნდე დავალების შეუსრულებლად, რას იტყვიანო? ამ ფიქრებით იკვლევდა გზას მდინარის პირას შამში. სასო წარეკვთა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ბოლოს მოშივდა. ინადირა, ცეცხლი დაანთო, ცხენი დასარწყულებლად და საძოვრად გაუშვა, კოცონის პირას ჩამოჯდა და მუგუზალზე შამფური დაატრიალა.

უცებ, ცხენების ფლოქვის ხმა გაიგონა და გაუკვირდა, – აქ ძებორციელი არ ჭაჭანებს და ნეტავ ვინ არიანო? ყოველი შემთხვევისათვის, ხმალი მოამზადა და კაპარჭიდან ისარი ამოაცურა; – ალბათ, მძარცველები იქნებიან, წესიერ კაცს ამ მიდამოებში რა უნდაო. ბუჩქიდან გახედა. ექვსი ცხენოსანი მოდიოდა ჩორთით მდინარის ნაპირისაკენ. უტყობოდა, სამი დიდებული იყო და სამიც მათი მსახური. ამ დიდებულთაგან ერთს, უწვერულვაშოს, თავი ჰქონდა გადახეთქილი და სისხლი სდიოდა, საცოდავად კვნესოდა. ორ უფროს კაცს ეს დაჭრილი მოჰყავდა და მათაც ცრემლი ჩამოსდიოდათ წვერ-ულვაშზე. ავთანდილი სამალავიდან გამოვიდა ცხენოსნების შესაგებებლად. შეატყო, რომ არც მეკობრეები იყვნენ და არც მძარცველები, მაგრამ მინც ჰკითხა, მეკობრეები ხომ არა ხართ? ორმა, რომელთაც დაჭრილი მოჰყავდათ, თითქმის ერთხმად უპასუხა: – მეკობრეები კი არა, შევლა გვჭირდება და თუ რამე შეგიძლია, დაგვეხმარეო. ავთანდილი მართლაც მოეხმარა მათ, დაჭრილისთვის იარა შეახვევინა, კოცონთან დასხა მომსვლელნი და ამბავი გამოკითხა.

მათაც მოუთხრეს, რომ სამი ძმა ვართო, დიდებულნი ხატაეთიდან. შევიტყვეთ, აქეთ კარგი სანადირო ადგილები ყოფილა და წამოვედითო. მთელი თვე ვინადირეთ ამალით. მერე ვერ მოვრიგდით, ჩვენს შორის ვინ უკეთესად ხმარობს



მშვილდ-ისარს, ამაღას ნანადირევი ავკიდეთ, დავითხოვეთ და ჩვენ სამი მეაბ-
ჯრით აქვე დავრჩით და ნიძლავზე დავიწყეთ ნადირობა. გაფულიტეთ, რაც შეე-
ძელითო. ამ ნადირობაში, ერთი ვიღაც უცნობი შემოგვეყარა, ვეფხვის ტყავის
ტანისამოსითა და შავზე უშავესი ცხენითო. კარგი ვაჟკაცი კი ჩანდა, მაგრამ
სახე ჩამოსტიროდა და ეტყობოდა, რაღაც დარდი ჰქონდა. დავაპირეთ, შეგვეუ-
ყრო და ეს აღმოჩნდა ჩვენი საბედისწერო შეცდომა; ჯერ ხმა არ გაგვცა, მერე
კი მათრახი დაგვცხო, ამ ჩვენ უმცროს ძმას თავი გაუტეხა და ისევე მშვიდად
გააგრძელა თავისი გზა, როგორც მოდიოდაო.

სალამო, 130X110 სმ, ტილო, ზეთი, კერძო
კოლექცია, პარიზი

ეს რომ მოისმინა, ავთანდილი სიხარულით ცას ეწია. – როგორც იქნა ვი-
პოვე, ვისაც ვეძებდიო. ხატაელებს მწვადიც დაუტოვა და თავისი სადგო-



ასმათი, 30X33 სმ, ტილო, ზეთი,
მხატვრის ოჯახის კოლექცია

მიც, მშვიდობა და თავგატეხილი ძმის გამოჯანმრთელება უსურვა, ნაჩქარევად მოახტა ცხენს და იმ მიმართულებით გაეშურა, საიდანაც ეს ექესი მხედარი მოვიდა. ერთხანს დიდი სისწრაფით მიაგელვებდა ცხენს და მალე, შავი მხედარი დალანდა. თავიდან, უნდოდა დაწოდა და გამოცნაურებოდა, მაგრამ მერე დაფიქრდა. პირდაპირ რომ გამოველაპარაკო, შეიძლება ფათერაკს გადავეკიდო, ისეთი შმაგი ჩანს, ან ის მომკლავს, ან მე შემომაკვდებო. ადევნება გადაწყვიტა. ორი დღე და ღამე მიჰყვებოდა შეუმჩნეველად მხედარს და ბოლოს ერთ უზარმაზარ კლდეს მიადგენ. კლდის ძირას რუ ჩამოდიოდა და მაღალი ხეები იდგა. შავცხენიანმა მხედარმა წყალი გადალახა და კლდეში გამოკვეთილ გამოქვაბულს მიაშურა. ავთანდილი ჩამოქვეითდა, ცხენი დააბა, ხეებს მოეფარა და ვეფხისტყაოსანს დაუწყო თვალთვალი.

გამოქვაბულიდან შუახნის შავკაბიანი ქალი გამოეგება ვეფხისტყაოსანს. კაცი რომ დალანდა, ტირილსა და ვაი-ვიშს მოჰყვა, მომსვლელს გადაეხვია და მასთან ერთად მოსთქვამდა. მართალია, ავთანდილს ძალიან გაუკვირდა ამათი ქცევა, მაგრამ ხმა არ ამოუღია და ისევ საფარიდან ადევნებდა თვალს გამოქვაბულთან გათამაშებულ სცენას. ბოლოს, ქალმა უნაგირი ჩამოხსნა ცხენს, სათანადოდ მოუარა და გამოქვაბულში შეიყვანა. ავთანდილი მთელი ღამე დარაჯობდა წყვილს, მაგრამ დილაზე არაფერი მომხდარა. დილით, ჯერ ისევ შავებში ჩაცმული ქალი გამოვიდა გარეთ, ცხენი შეკაზმა. მერე ვეფხისტყაოსანიც გამოჩნდა, ქალის მიწოდებული აბჯრით შეიმოსა და ცხენს მოახტა. გამომშვიდობებისას კვლავ გადაეხვივნენ და ხმამაღლა შესტირეს ერთმანეთს. ავთანდილმა შორიდან მოჰკრა ყური, რომ კაცი ქალს ასმათს ეძახდა.

შავცხენიანი იმავე გზას ჩამოუყვია, რომლითაც წინა საღამოს მოვიდა, ავთანდილის სამალავს გვერდით ჩაუქროლა და სულ მალე გაუჩინარდა. ავთანდილმა გეგმა დააწყო: – ქალს შევიპყრობ და ყველაფერს მას ვათქმევინებო. ჩემს ამბავსაც ვეტყვი და, თუ მენდო, ეგებ ვეფხისტყაოსანიც გამაცნოსო. სამალავიდან გამოვიდა, ცხენს მოაჯდა და გამოქვაბულისაკენ აუყვა ბილიკს. ასმათი ჯერ არსად ჩანდა, მაგრამ, ეტყობა, ამომავალი ცხენის ფლოქვის ხმა გაიგონა და გარეთ გამოვიდა. რაკი მხედარი ვერ იცნო, გაქცევა დააპირა და მიშველეთო, მორთო კივილი, მაგრამ ავთანდილს სად წაუვიდოდა. ავთანდილმა ხელი სტაცა და გაკოჭა, თან ეხვეწებოდა, არაფერს გიზამ, ოღონდ იმ შენი მეგობრის ამბავი მითხარო. ასმათმა, ავთანდილის ხვეწნა რომ მოისმინა, უთხრა, – თუ გიყი არა ხარ, წადი, დამეხსენი და თუ გადარეული ხარ, – აზრზე მოდიო. არაფრის მთქმელი მე შენთვის

არა ვარ, რაც არ უნდა მეხვეწო. ცოტა ხანს ასე იკოტრიალეს მტვერში. მერე, ავთანდილი წამოდგა, ქალს დაუჩოქა და შეევედრა, ნუ გამიშვებ უკან ვეფხისტყაოსნის ამბავის გაუგებრად. ქალმა ტუჩი აიბზუა, არც ამაზე დასთანხმდა.

ახლა უკვე ყელში ამოუვიდა ავთანდილს ამდენი ხვეწნა-მუდარა, გაწბილენ-ბულმა ასმათს ცალი ხელი თმებში ჩაავლო, თავი გადაუზიდა და მეორე ხელით ყელზე დანა დაადო: ახლაც არ მეტყვიო? ქალმა შექმნილი სიტუაციისათვის შეუფერებელი იუმორით უპასუხა, – თავს რომ მომჭრი, მერე ხომ ყველაფერს მოგიყვებიო. შენ თუ გგონია, რომ სიკვდილით შემამინებ, ძალიან ცდებიო. პირიქით, ამ ტირილისგან და ვაი-ვიშისგან დამიხსნისო. სიცოცხლე კარგა ხანია აღარ მინდა და სიკვდილის არ მეშინიაო. ქალის ამ სიტყვებზე გაფუჭდა ვაჟკაცი. მართლა ხომ არ მოაჭრიდა ქალს თავს? გაუშვა ხელი, დანა დამალა, თოკიც შემოხსნა, იქვე ჩამოჯდა და უმწეობისაგან ატირდა. ქალს ბოდიში მოუხადა, არ უნდა მოგქცეულიყავი ასეო. ასმათიც წამოდგა, მტვერი შემოიბერტყა, კაბა გაისწორა და იქვე ჩამოუჯდა გაბრაზებული სახით.

ცოტა ხანს ასე ისხდნენ ზურგიზურგ და ერთმანეთს უთვალთვალებდნენ. მერე, ავთანდილმა კიდევ ერთხელ მოუყარა მუხლი, პატიება სთხოვა და უთხრა, – შეყვარებული ვარ და ცოტა გონება ამერიანო. მეორედ ასეთ რამეს არ ვიზამ და რაშიც გინდა მიმსახურეო. ქალმა რომ ავთანდილის შეყვარებულობა გაიგონა, მოლბა და ცრემლი მოერია. მერე უთხრა, – ეგ სულ სხვა საქმეა და თავიდანვე რომ მცოდნოდა, მეც სხვანაირად მოგექცეოდიო. ავთანდილმა დასძინა: – შეყვარებულ კაცს მტერიც კი ინდობს და მაპატიეო. ჩემმა სატრფომ გამომგზავნა ვეფხისტყაოსნის საძებნელად, სამი წელია გზაზე ვარ და ახლა, თუ გინდა, მომკალი და, თუ შემინწყალე, მიშველე რამეო. ასმათმა, როცა ეს მოისმინა, კიდევ უფრო გაეხსნა ავთანდილს, – კარგია, ეგ რომ მითხარი; თავიდან სიძულვილი გამიჩნდა შენს მიმართ, ახლა კი შემეცოდე. თუ დამიჯერებ, დაგეხმარებიო.

ამ სიტყვებზე ავთანდილს გაელიმა და ქალს ჰკითხა, – ის ანეკდოტი თუ იცი, კაცი რომ ორმოში ჩავარდაო? – არაო, უთხრა ასმათმა. ავთანდილმა

მოუთხრო: – ორი კაცი მიდიოდა გზაზე და პირველი დიდ ორმოში ჩავარდა. მეორე თავს წაადგა და ჩასძახა, თუ აქ მომიცდი, თოკს მოვიტან და ამოგათრევი. ორმოში ჩავარდნილს გაეცინა, – აბა, აქედან საით უნდა წავიდე, შენ თუ არ მიშველიო. ჩემი საქმეც ასეა, შენს იქით გზა არა მაქვს და შენ თუ არ მომხმარები, ვერაფერს ვიზამო. ასმათს მოეწონა ავთანდილის ენამჭევრობა და უთხრა, – მე ასმათი ვარ და შენ რომ კაცი გაინტერესებს, იმას ტარიელი ჰქვია. დღე და ღამე ტყე-ღრეში დააჭენებს ცხენს, მხოლოდ ნანადირევს ვჭამთ და ყველაფერს ამქვეყნიურს მოწყვეტილი ვართო. იმას ეპატიება; ისეთი ამბები აქვს გადატანილი, ვერ დაიჯერებო. მე მეტს ვერაფერს გეტყვი, აჯობებს, თვითონ მოგიყვეს, როცა დაბრუნდებაო.

მერე ასმათმა ავთანდილიცა და მისი ცხენიც გამოქვაბულში დამალა და ორივემ ტარიელს დაუწყო ლოდინი. ქალი დაპირდა, – შევეცდები დავამშვიდო და გაგაცნოო.

სალამოს ვეფხისტყაოსანიც გამოჩნდა. ისევ დარდიანად იყო. ასმათი გაეგება და საჭურველი ჩამოართვა. ავთანდილი მათ შეხვედრას პატარა სარკმლიდან უჭვრეტდა. ტარიელი გამოქვაბულში შევიდა, ვეფხვის ტყავის ნოხზე მოკალათდა, ასმათის მიერ შემწვარი ნანადირევი ცოტა მოციცქნა და იქვე მიწვა. ძილქუში ჯერ არ დაუფლებოდა, რომ ისევ რალაც ეზმანა, წამოხტა და ვაი-უშველებელი მორთო. მკერდში მჯილს იცემდა და გაჰკიოდა. ეტყობა, ისევ თავისი სადარდებელი მოელანდა. ასმათი აწყნარებდა და ბოლოს შეეკითხა, – ასე ადრე რად დაბრუნდიო. ტარიელმაც მოუთხრო: – ერთ მეფეს გადავეყარე, სანადიროდ იყო გამოსული ლაშქრითა და მარეკებიითო. ხალხი როცა დავინახე, კიდევ უფრო დამეუფლა დარდი, იმათ დავემალე და უკან შემოვბრუნდი. არავის დანახვა აღარ მინდაო.

ასმათმა ჰკითხა: – ამდენი ხანია, მარტო დაეხტები ამ ტყე-ღრეში და ერთი ძმაკაცი რომ გაგეჩინა, რა მოხდებოდაო? ვისაც გადაეყრები, თავს უხეტქავ, ემალეები და გარბიხარო. ამაზე ტარიელმა უპასუხა, – ვინ გამიგებს ჩემს სადარდელსო? კარგი კი იქნება, ვინმე მეგობარი მყავდეს, მაგრამ სად ვიპოვნო? არავინ მეგულება, რომ მხარში ამომიდგესო. ასმათსაც ეს უნდოდა: – ერთი კარგი ახალგაზრდა ვაჟკაცი რომ გაგაცნო, დამიფიცებ, რომ არაფერს ავნებო?

ტარიელი გატყდა. სად არის, მოიყვანე და თუ მართლა ისეთი კაი კაცია, შენ რომ ამბობ, ძმად მივიღებ და შევიყვარებო. ნავსი გატყდა, ტარიელი დათანხმდა ავთანდილის გაცნობას. ავთანდილმაც თავის მიზანს მიაღწია და, რუსთაველი, მართალია, პირდაპირ ამას არ ამბობს, მაგრამ გვაგრძობინებს, რომ ასმათსაც კარგა მოყირჭებული ჰქონდა გამოქვაბულში ცხოვრება, ტირილი და უმარილო ნანადირევის ჭამა.

ასმათმა ავთანდილი სამალავიდან გამოიყვანა და ტარიელს წარუდგინა. თავიდანვე მოეწონათ ერთმანეთი. მისაღმების შემდეგ გვერდი-გვერდ ჩამოსხდნენ და, როგორც დარდიანთა წესია, მორთეს ტირილი, სანამ ასმათმა არ შეაჩერა. – ნუ მოიკლავთ ახლა თავს, ხომ შეხვდით ერთმანეთსო?

ტარიელმა ცრემლი მოიწმინდა და გამოჰკითხა ავთანდილს, ვინ იყო და რა უნდოდა. ავთანდილსაც არ დაუზოგავს თავისი მჭევრმეტყველება, ალაღად მოუთხრო ახალგაცნობილ ვეფხისტყაოსანს თავისი ამბავი. ისიც გაახსენა, მდინარესთან რომ შეხვდნენ ოთხი წლის წინ და ტარიელმა რომ მსახურები დაუხოცა. სასაყვედუროდ არ უთქვამს, უფრო გასახსენებლად მოუთხრო. ეს ამბავი ტარიელმაც მოიგონა, – რატომ არ დამანებეთ თავი, რას მერჩოდითო? კიდევ კარგი, თქვენს მეფეს არაფერი დავმართეო.

დიდხანს ისაუბრეს. ავთანდილმა დაწვრილებით მოუყვა როსტევანისა და თინათინის, არაბეთის სახელმწიფოს, თავისი ხეტიალისა და ვეფხისტყაოსნის ძეგლის ისტორია. შიგა და შიგ ასმათიც ჩაურთავდა ხოლმე სიტყვას, ეტყობოდა, ავთანდილი მოეწონა და ტარიელთან შუამდგომლობდა: ეს რა კარგი ვაჟკაცი გაგაცანიო. მოკლედ, ახალი ამბებისა და ავთანდილის თავგადასავლის შეტყობა ორივეს ეამა.

ლადარში შეშის უკანასკნელი ნაპოზი ჩაიფერფლა, როცა სტუმარი თავისი თავგადასავლის მოყოლას მორჩა და ახლა ტარიელს მიუბრუნდა, – შენს ამბავსაც მომიყევიო. ტარიელმა ასმათს წყლის მოტანა სთხოვა, – ისე მიმიძიმს მოგონება, შეიძლება შუა საუბარში გონება დაგკარგო და, მერე რომ არ ირბინოთ აქეთ-იქეთ, ბარემ ახლავე მოიტანე ჯამით წყალი და აქვე დამიდგო. თუ მეტისმეტი ემოციით მოგკვდი, აქვე დამასაფლავეთ და, თუ უბრალოდ გული წამივიდა, მომბრუნეთო. ასმათმა წყალი მოუტანა, იქვე დაუდგა და მოსასმენად გვერდით ჩამოუჯდა ორ ვაჟკაცს. ტარიელმა საკინძე შეიხსნა, ტყავზე მოხერხებულად მოიკალათა, დაფიქრდა და დაიწყო თხრობა.



ავთანდილის ხმლის ვადა, 21X18 სმ, მუყაო, გუაში, კერძო კოლექცია, პარიზი

მარჯვენა გვერდი
ვეფხვი და ლომი, 22X22 სმ, ქალაღი, აკვარელი, კერძო კოლექცია, პარიზი





ტარიელის პორტრეტი, 30X33 სმ, ტილო, ზეთი,
ნატაშა კობზონი-რაპოპოვიჩის კოლექცია, მოსკოვი

ტარიელის ისტორია

ინდოეთის შვიდი სამთავროს ამბავი, ალბათ, შენც გსმენია, ჩემო ავთანდილ, – დაიწყო ტარიელმა შორიდან. ამ შვიდიდან, ექვსის ხელმწიფედ ფარსადანი იჯდა, დიდი მეომარი და ჩინებული მმართველი. შესახედავად ლომივით კაცი იყო და ქცევით – უშიშარი. არც სხვა სიკეთე და სიმდიდრე აკლდა. ინდოეთის მეშვიდე სამთავროში მამაჩემი მეფობდა, – სარიდანი. ისიც – სახელოვანი მებრძოლი, კარგი მონადირე, გამჭრიახი და მამაცი კაცი. მუდმივად ომი და ბრძოლა უწევდა მტრებთან და ერთხელაც მოხეზრდა ეს დავიდარაბა. გადაწყვიტა, ფარსადანის ექვსი სამთავროსათვის ჩვენი სამთავრო მიეერთებინა და ელჩი გაუგზავნა ამ საკითხის მოსაგვარებლად. როცა ფარსადანმა მამაჩემის წინადადება მოისმინა, სიხარულით ცას ეწია; შემოუთვალა, ჩამოდი, პატივით მიგიღებ, სახლთუხუცესად დაგნიშნავ და თან მთელი ინდოეთის მთავარსარდლობასაც მოგცემო. ასეც მოხდა. ჩვენი სამთავრო ინდოეთის სხვა ექვს სამთავროსთან გაერთიანდა. მამაჩემი სრულიად ინდოეთის ამირსპასალარი და ამირბარი გახდა, ხოლო ფარსადანი ამაცობდა, ჩემნაირი მთავარსარდალი არავის ჰყავსო.

მეც, რასაკვირველია, სამეფო კარზე ვიზრდებოდი. მეფე-დედოფალს კარგა ხანს არ შესძენიათ შვილი და თავს მევლებოდნენ; საკუთარი ვაჟივით მზრდიდნენ. აი, ასმათიც დამემოწმება, რომ არც რა მაკლდა და ჯერ კიდევ ბიჭი ვიყავი, უფროსებს რომ ტოლს არ ვუდებდი; ნადირობაც ვისწავლე, ცხენოსნობაც და სხვა ბევრი სასიკეთო საქმეც. უკვე ექვსი წლისა ვსრულდებოდი, როცა დედოფალს ქალიშვილი გაუჩნდა. თავიდანვე მშვენიერი იყო. ხალხი უცხოეთიდანაც კი ჩამოდიოდა მის სანახავად. მეფეც ბედნიერი იყო.

მეფის ქალის ხსენებაზე ტარიელს გული წაუვიდა. ასმათმა იცოდა მისი წამალი, წყალი აპკურა მკერდზე და მოაბრუნა. მოსულიერებულმა ტარიელმა თხრობა განაგრძო.

ქალს ნესტან-დარეჯანი დაარქვეს. იზრდებოდა და უფრო და უფრო მშვენიერდებოდა. ამასობაში, მე მამაჩემთან დავბრუნდი სასახლეში; უკვე ბრძოლებში და ჯარის წვრთნაში მიწვევდა მონაწილეობის მიღება, თავისუფალ დროს კი ნადირობა-ბურთაობაში ვატარებდი. ისე გავიწაფე ხელი, რომ ლომებს კატებივით ვხოცავდი. მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და კარგი ვაჟკაცი დავდექი. ასე ვიზრდებოდი.

ფარსადანის ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი შეიძინა რომ შეიქმნა, მეფემ ცალკე სასახლე აუშენა და თავისი ქვრივი და, დავარი, მიუჩინა მომვლელ-ალმზრდელად. ეს დავარი ერთ ქაჯზე იყო გათხოვილი. მის გარდა, ქალს ასმათი უვლიდა და ორი მონაც ემსახურებოდა.

თხუთმეტიც რომ გავხდი, მამა გარდამეცვალა. ერთი წელი ვიგლოვე. ბოლოს ფარსადანმა შემომითვალა, ნულარ გლოვობ, მამაშენი ჩვენც ძალიან დაგვაკლდა და ჩამოდი, შენ გადაიბარე ამირბარობაო. აღარ დამიყოვნებია, ჩავედი. დიდი პატივით მიმიღეს, მომეფერნენ, დამამშვიდეს, თავიანთ გვერდით დამსვეს, როგორც საკუთარი შვილი. მიბოძეს ამირბარობა. იყო ლხინი და ზეიმი. მეც ბედნიერი ვიყავი. ეჰ, მამინ რა ვიცოდი, წინ რა მელოდა! ასეა წუთისოფელი, ცრუა და მუხთალი, ავს ადვილად შეგამთხვევს.

ერთხელ მეფესთან ერთად ნადირობიდან ვბრუნდებოდი. კარგ ხასიათზე ვიყავით და არ ვჩქარობდით. მეფემ შემომთავაზა, – მოდი, ჩემს ქალიშვილთან შევიართო, გზაზეაო. ასეც მოვიქეცი სასახლის გალავანში რომ შევაჭენეთ ცხენები, ულამაზეს ბაღში ამოვყავით თავი. ცადაწვდენილ ხეებსა და აყვავებულ ბუჩქებს შორის ნაირფერი და ტკბილხმა მგალობელი ფრინველი ირეოდა. აუზებში შადრევნებიდან იფრქვეოდა ვარდის წყალი, კარვები უძვირფასესი ფარდაგებით იყო გაწყობილი. მსახურები და მონები საქმიანად მიდი-მოდიოდნენ. მეფემ მიბრძანა, ქალიშვილისათვის რამდენიმე დურაჯი მიმერთმია ნანადირევიდან. საუკეთესოები ამოვურჩიე. როცა ქალის კარავს მივუახლოვდით, ფარსადანმა დურაჯები მე შემატოვა, თვითონ ფარდაგი გადასწია და ნესტან-დარეჯანთან შევიდა. ვიცოდი, არ უნდოდა, ქალიშვილი ვინმესათვის ენახებინა. მერე გავიგონე, მეფემ რომ უბრძანა ასმათს კარვიდან გამოსვლა და ჩემთვის ნანადირევის ჩამორთმევა. ასმათმა რომ ფარდაგი ასწია, მეფის ქალს შევავლე წამიერად თვალი და ნეტავ არ დამენახა! გავბრუნდი და აღარ მახსოვს, როგორ გადავეცი დურაჯები ასმათს. თითქოს ლახვარი დამცეს და ცეცხლი წამიკიდესო. . .

ფარსადანი, 34X25 სმ, მუყაო, აკვარელი, მხატვრის ოჯახის კოლექცია





ტარიელს ისევ წაუვიდა გული ნესტან-დარეჯანის სსენება-გახსენებაზე. ისევ ეცა ასმათი და ისევ აპკურა წყალი. კაცს ცოტა ხანს ცრემლი სდიოდა, მერე გააგრძელა.

მაშინ პირველად წამივიდა გული. იქვე, კარავთან ჩავიკეცე. ცნობიერება როცა დამიბრუნდა, გარშემო ხალხი მეხვია. მეფემ ჩემი გამობრუნება დაინახა და გადამეხვია თვალცრემლიანი, – მადლობა ღმერთს, ცოცხალი ხარ, მითხარი რამეო! ვერაფერი ვუპასუხე, ერთი შეგკრთი და ისევ წამივიდა გული. სამი დღე ვერ მომიყვანეს გონზე. ექიმიც ბევრი დაიბარეს, მაგრამ ჩემი დაბნედიის ვერაფერი გაიგეს. ვენიდან სისხლიც დამადინეს და წამალიც ბევრი მასვეს. მე კი, თურმე, შიგა და შიგ გიჟურად წამოვხტებოდი, უზროდ დავიყვირებდი რალაცას და მერე ისევ ვეცემოდი საწოლზე. დედოფალი დამტიროდა, მეფე გამწარებული იყო და ნაცნობ-უცნობი გაკვირებული, ჩვენს ამირბარს ეს რა დამართნიაო.

მესამე დღეს აზრზე მოვედი, საწოლზე წამოვჯექი და ღმერთს შენდობა ვთხოვე. მსახურმა რომ დამინახა, მაშინვე მეფესთან მისახარებლად გაიქცა, – წამოჯდა ტარიელიო! იმ წამსვე მოვარდნენ მეფეცა და დედოფალიც. ფარსადანი ისე ჩქარობდა, ქუდის დახურვაც დავიწყნოდა. მეცნენ აქეთ-იქედან, მომეფერნენ, ღმერთს მადლობა შესწირეს. გამომკითხეს, – რა დაგემართაო. მე ვუთხარი, – ახლა უკეთ ვარ და ცხენზე მომენატრა შეჯდომა, ეგებ ამან უფრო მიშველოს მეთქი. ცოტა ხანს ცხენით ვისეირნეთ მეფემ და მე. მართლაც მიშველა სუფთა ჰაერმა და ჯირითმა. ოდნავ გამომგვობინდი. მერე ისევ დავბრუნდი ჩემს დარბაზებში. დარდიანი ვიყავი, მაგრამ გული აღარ წამსვლია.

საღამოხანს მოულოდნელად ასმათის მსახური მოადგა ჩემს საძინებელს და მისგან საარშიყო წერილი გადმომცა. გაკვირებული დავრჩი, – ჯერ ჩემი შეყვარება როდის მოასწრო და მერე ჩემი თანამდებობის კაცს, ამას როგორ მიბედავს მეთქი. პასუხის მიუწერლობა უზრდელობა იქნებოდა და მეც მივწერე პასუხი.

მეორე დღეს ისევ ცუდად გავხდი. ნესტან-დარეჯანი არ ამომდიოდა გონიდან. სულ მასზე ვფიქრობდი და შიში მტანჯავდა, რომ იგი ჩემი არასოდეს გახდებოდა. რამდენიმე დღე მართლა ვიავადმყოფე. ისევ დამესივნენ ექიმები, დამიწყეს მკურნალობა და სისხლის დადენა ვენიდან. ერთხელაც, როცა დასუსტებული და ვენაგადახსნილი ვიწექი საწოლში, ისევ ასმათის მონა გამორჩნდა. ახლა უკვე შეხვედრას მთხოვდა ქალი. მეც აღარ გავაჭია-

ნესტან-დარეჯანი, 22X19 სმ, მუყაო, გუაში, ოქრო, პარიზი, კერძო კოლექცია

ნურე და დავთანხმდი. ბოლოს და ბოლოს, ამირბარი ვიყავი, მთელ ინდოეთს ვპატრონობდი და სიყვარულის გამო ასე არ უნდა დამმართნოდა. ამ ქალს მართლა თუ ჩემთან ყოფნა უნდოდა, უარს ხომ არ ვეტყვოდი?

მეორე დღეს მეფემ დამიბარა; – თუ მომჯობინდი, წამოდი ერთად ვინადიროთო. მე ისე სუსტად ვიყავი, რომ მშვილდ-ისრით ნადირობის ნება არ მომცა, მაგრამ შევარდნებით ვინადირეთ. ნადირობის შემდეგ ჯერ ნადიმად სასახლეში დავსხედით, შემდეგ ჩემთან წავიყვანე მეგობრები, დარდს ვმალავდი და ვცდილობდი სმაში და ქეიფში ავყოლოდი მათ. შუა ღამეში მსახური დამადგა თავს და ყურში ჩამჩურჩულა, – ვილაც ქალია მოსული და ამირბარს კითხულობს, განმარტოებით სწადია შეხვედრაო. დავავალე, ჩემს საწოლ ოთახში შეეყვანა. მერე სუფრის წვერებს მოვუბოდიშე, – ახლავე დავბრუნდები მეთქი და მეც ჩემს საძინებელს მივაშურე.

აქ პირსაბურველიანი ქალი დამხვდა. რომ დამინახა, მოკრძალებით მცა თავიანი. გამიკვირდა, – თუ ვუყვარვარ, ასე რად მესალმება მეთქი. ტახტზე მივიწვიე დასაჯდომად, მაგრამ არ მომყვა. გაოცებული დავრჩი. მერე მითხრა, – მართლა მე კი არ მიყვარხარ, სხვამ დამავალა შენთან შეხვედრაო. ძალიან მრცხვენია, ასე რომ მოგატყუე, მაგრამ აი, ეს წაიკითხე და ყველაფერს მიხვდებიო, – გამომიწოდა გრაგნილი.

მოკლე წერილი იყო მისგან, ვისი სიყვარულითაც ავად ვიყავი და ვისაც შევნატროდი. ნესტან-დარეჯანი თავისივე ხელით მწერდა: – რა დაგემართა, რა გული მიგდის? მე შენი ვარ და ნუ კვდები და იბნიდები. რა გგონია, ამ გონების დაკარგვითა და ავადმყოფობით რამეს მიაღწევ? არ ჯობია, საგმირო საქმე ჩაიდინო, დამიმტკიცო, რომ მართლა გიყვარვარო? ხატაელები ძლიერ მძულს, იმათაც არ ვუყვარვართ ინდოელები. წადი, შეებრძოლე ხატაელებს, დაამარცხე, დაიმონე და შენი გავხდებიო. ყველა შენი ამბავი ვიცი, გითვალთვალე, მაგრამ ჯერ ვერ შეგხვდით. ნულარ ღვრი ცრემლს, წადი, იბრძოლე და დამიმტკიცე სიყვარულიო. ასმათმაც დამიდასტურა ნესტან-დარეჯანის გრძნობა და სურვილი. ისეთი ბედნიერი ვიყავი იმ წუთას, თითქოს ზეცა გამხსნოდა. ნესტან-დარეჯანის წერილი წინ დავიდე და პასუხი მივწერე: ასე მგონია, სიზმარში ხდება მეთქი ეს ყველაფერი. სხვა ქალს არ ვნატრობდი და ღმერთმა სხვა ქალი არც მანატროს მეთქი. მივეფერე და მივეალერსე სიტყვით. მერე ასმათსაც დავაბარე, – მეტს ვერაფერს მივწერ, მაგრამ გადაეცი, უკან არაფერზე დაიხვეს შენი გულისათვის, ძალიან ენატრები და ისევ ჯანმრთელად არის თქო.

ასმათმა ეს მოისმინა და მითხრა, – შენმა შეყვარებულმა დამაბარა, ჯოხს არავის გავუმხილოთ ჩვენი ურთიერთობა, ხალხი რას იტყვისო? ისე მოიქეცი, თითქოს ასმათთან გკონდეს ურთიერთობაო.

ეს აზრი მეც დამიჯდა ჭკუაში. მივხვდი, რომ ნესტან-დარეჯანი, იმის გარდა, რომ მშვენიერი იყო, გონიერებითა და გამჭრიახობითაც გამოირჩეოდა. ასმათს ძვირფასი ქვები და სამკაული შევთავაზე საჩუქრად, მაგრამ მხოლოდ ერთი უბრალო ბეჭედი გამომართვა; – ძვირფასეულობა მე არ მაკლია და ეს ბეჭედი ნიშნად გვკონდესო.

როცა ასმათი გავაცილე, მე მოქიფებებთან დავბრუნდი და გახარებულმა, კარგა გვარიანად მოვილხინე, თუმცა, ჩემი ბედნიერების მიზეზი არავისთვის გამიმხელია.

მეორე დღესვე წერილობით შევუთვალე ხატაელებს, მხლებოდნენ და დამმორჩილებოდნენ. თუ არადა, – დავემუქრე, რომ ცუდი დღე დაუდგებოდათ. ვიდრე ჩემი გაგზავნილი კაცი გზაში იყო, მე ლხინს და დროს ტარებას დავუბრუნდი; ვერთობოდი, ვმხიარულობოდი, ძმაკაცებში ვქეიფობდი. კარგ ხასიათზე ვიყავი; ხატაელებისა არ მეშინოდა, მაგრამ ხანდახან კაეშანი მეუფლებოდა, ჩემს შეყვარებულს რომ ვერ ვხედავდი.

ასე გადიოდა დღეები. სულ ნესტან-დარეჯანზე ვფიქრობდი და ღამ-ღამობით, როცა რული არ მეკიდებოდა, რაიმე საინტერესო წიგნს ვკითხულობდი. ერთ ასეთ საღამოს, როცა უკვე წიგნი მეჭირა ხელში და დაწოლას ვაპირებდი, მსახურმა მომასხენა, ასმათის მონა ითხოვს შენთან შემოსვლასო. ვახმობინე. მონამ მითხრა, ასმათმა მისვლა გთხოვაო. მივხვდი, რაშიც იყო საქმე, გადავიცვი და მონას გავყევი. სასახლის გაღვანში უკანა კარიდან შემიყვანეს. აქ ასმათი გამომეგება, გამიცინა და ნესტან-დარეჯანის საძინებლისაკენ გამიძღვა.

ნესტან-დარეჯანი ძვირფასად შემკულ საწოლზე ჩამომჯდარიყო. ალერსით და რცხვენით შემომხედა. მე გავხევედი, ლაპარაკის უნარი დავკარგე. ვიდექი, ვუყურებდი და გაოგნებული ვიყავი. მერე ქალმა ასმათი მიიხმო და იჩურჩულეს. მე ისევ იმავე ადგილზე ვიდექი და ქალს აღტაცებით შევცქეროდი. ასმათი მომიახლოვდა და გარეთ გამიხმო, – ახლა მაინც ვერაფერს გეტყვისო. მერე, როცა გარეთ გამოვედი, ამიხსნა, – ჯერ შენი რცხვენია, ვერ გესაუბრება და ამის გულისათვის თავს ნუ მოიკლავ, ნელ-ნელა შეგეჩვევაო. ამით დამთავრდა ეს პირველი პაემანი. დამშვიდობებისას ასმათს შევეხვეწე, ხშირად მომწერე წერილი, როგორ არის და რას აკეთებს ჩემი შეყვარებული მეთქი. ასმათმაც დამაიმედა, –



არ დაგიმაღლავ არაფერსო და კარამდე მიმაცილა. დავბრუნდი ჩემს სასახლეში. ველარ დავიძინე; მთელი ღამე ეს მოკლე შეხვედრა მედგა თვალწინ. უსაზღვროდ ვიყავი შეყვარებული.

რამდენიმე დღეში ხატაეთში გაგზავნილი ელჩებიც დაბრუნდნენ. იქაური მეფისგან ძალიან კადნიერი წერილი ჩამოიტანეს. რამაზ მეფე მწერდა, ინდოელები ვინ მიგდინხართ, არც შიში მაქვს თქვენი და არც რიდიო. ისეთი ციხეები და სიმაგრეები გვაქვს, ახლოსაც ვერ მოგვეკარებითო. მეორედ არ მომწერო ასეთი რამო. ეგ კი არა და, ჩემი სახელიც დამახინჯებულად დაეწერა, – ტარიერიო, ტარიელის მაგივრად. მე კი ვიცოდი, რომ ხატაელები „ლ“-ს და „რ“-ს ერთმანეთში ურევენ, მაგრამ ეს უკვე მეტისმეტი იყო.

ვაფრინე ქუდზე კაცი და შევკრიბე ინდოეთის მთელი ლაშქარი. რეზერვისტები და მოხალისეებიც მოვიხმე. მერე ჩვენი შავ-წითელი ალმები აღვმართე და სასახლის წინ დიდი ალღუმი მივიღე. მოდიოდნენ აბჯარასხმული ცხენოსნები, კბილებამდე შეიარაღებული ქვეითები, საბრძოლო სპილოები, სატვირთო აქლემები და სახედრები. კაცი თვალს ვერ გააწვდენდა ჯარს. მეთაურებს ინსტრუქტაჟი ჩაფუტარე, ვითარება ავუხსენი, მეორე დღესვე სალაშქროდ გასვლა ვბრძანე და დასასვენებლად ჩემს დარბაზებში დავბრუნდი.

დასვენება არ დამცალდა; ასმათის მონა მოვიდა ისევ და წერილი მომიტანა, – ვიდრე საომრად წახვალ, შენი შეყვარებული გიბარებსო. დაძინება ვიღას ახსოვდა, მონა გავიძღვანიე და ისევ უკანა ჭიშკრიდან შევედით მეფის ქალიშვილის სასახლის ბაღში. ასმათი იქვე დამხვდა, კარგ ხასიათზე იყო, იცინოდა. ხუმრობით მითხრა, – მოხვედი, ლომო? შენი მთვარე უკვე გელოდება, მომყევო. გამიძღვა და სასახლეში შემიყვანა.

ნესტან-დარეჯანს მწვანე სამოსი ეცვა, გამჭვირვალე ფარდის უკან ბალიშებზე იჯდა, პირსაბურავი უფარავდა სახეს, მაგრამ მისი მშვენიერება იქიდანაც ასხივებდა. მხოლოდ მოელვარე, მელნის ტბისფერ თვალებს აჩენდა, როცა მზერას მომაპყრობდა. მე ვერ მომმართა პირდაპირ და ასმათს უთხრა, – ამირბარს შესთავაზე, დაბრძანდესო, – ბაღში მომიწია. მეც დავუჯექი გვერდით.

ცოტა ხანს ყოყმანობდა. მე კი ვუჭვრეტდი და სიამე მავსებდა. მერე დაიწყო: – ვიცი, რომ დიდხანს გალოდინე და განერვიულე, მაგრამ, მრცხვენოდ, ამხელა თანამდებობის კაცი ხარ და ვერ შემოგბედე ღიად საუბარი.

ახლა ორივემ ვიცით, რომ ერთმანეთი გვიყვარს და შემოგფიცავ, სამუდამოდ შენი ერთგული ვიქნებიო. წადი, შეებრძოლე, დაამარცხე ხატაელები და მუდამ გახსოვდე. ხოლო, როცა გამარჯვებული დაბრუნდები, სამარის კარამდე შენი ვიქნებიო.

მერე მეც შევფიცე ნესტან-დარეჯანს სამუდამო სიყვარული. ერთ ხანს ვისაუბრეთ და ... აქ ტარიელმა თვალი მილულა, თავი უკან გადახარა და დაფიქრა. მერე გააგრძელა: — ... და ცოტა, სულ ცოტა, საამო და საუცხოო ხილს გაუზინჯეთ გემო. ის შესვედრა ამით დამთავრდა. გამოვემშვიდობე და ჩემს დარბაზებში დავბრუნდი.

დილით ჯარს გალაშქრება ვუბრძანე. აკეცეს კარვები, გაშალეს ბაირაღები, აიყარნენ. ჰკრეს ბუკსა და ნალარას. დავიძარით ხატაეთისაკენ. ბევრი ვიარეთ თუ ცოტა ვიარეთ, ხატაეთის საზღვარს მივადექით. საზღვარზე რამაზ მეფის გამოგზავნილი ელჩობა მეახლა, საჩუქრები მომიტანა მეფისაგან და მისი თხოვნა მომახსენა. რამაზს ჩვენი შეშინებოდა, მოწყალებას და შენდობას მთხოვდა, მორჩილებას მეფიცებოდა. დავსხედით მე და ჩემი ვეზირები და ვითათბირეთ. გადავწყვიტეთ, რამაზს არ მივნიდობოდით. მე მასთან შეხვედრაზე უნდა წავსულიყავი და მისგან კაპიტულაცია უნდა მიმეღო. ჩვენი ლაშქარი ახლოში და მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო, რომ ლალატის შემთხვევაში, ჩემთვის ეშველა.

რამაზს შევეუთვალე, კაპიტულაციის აქტზე ხელმოსაწერად შემხვედროდა და დავპირდი, რომ არმიის გარეშე მივიდოდი. რამაზმა მიპასუხა, — ხვალ დილით გზაზე შეგეგებებიო. დავიწყე მზადება. მერე, რამაზის მორთმეული ცხენით შეხვედრის ადგილისაკენ დავიძარი და სამასი ნარჩევი კაცი გავიყოლე გვარდიიდან. გავაფრთხილე, — ახლოს იყავით მეთქი. სალამოს ტყის პირას დავბანაკდით.

ისე, ჩემო ავთანდილ, ერთი იცოდე: კარგი საქმე უკვალოდ არ ჩაივლის; იმ სალამოს, ერთი კაცი მოვიდა ჩემთან და საიდუმლოდ მითხრა, — მამაშენს ჩემზე ამაგი აქვს და მინდა მის შვილს გადავუხადო; ლალატს გიპირებს ხატაელთა მეფე, უნდა მოგკლან და არ ენდო. ჯარი ჰყავთ იქვე შეფარებული, კვამლს გაუშვებენ, შენ რომ ვერ დაინახო და მუხანათურად დაგესხმიან თავს. იმდენი არიან, მარტო ვერ გაუმკლავდები და ვერც შენი სამასი გვარდიელი უზამს რამესო.

ხატაეთის დიდი ომი, 150X175 სმ, ტილო, ზეთი, მხატვრის ოჯახის კოლექცია







მსტოვარს მადლობა ვუთხარი და ჯილდოს დავპირდი. მერე უკან გავგზავნე, რომ არავის გაეგო ეს ამბავი. ვეზირებისათვისაც არაფერი მითქვამს, მხოლოდ შორით დარჩენილ ჯარს ვუბრძანე, სასწრაფოდ მომყოლოდა და იქვე ახლოს ჩასაფრებულიყო. დილით რამაზის მოციქულებს შევეუთვალე, – მოვდივარ და ნახევარ დღეში მანდ ვიქნები მეთქი. მარტო წავედი. არ მესინოდა. კაცი თუ სასიკვდილო ხარ, მაინც მოკვდები და არანაირი დაცვა არ გიშველის, განგებას ვერსად დაემალები.

აქ, ცოტა ხნით, ტარიელს, ასმათსა და ავთანდილს გამოქვაბულში მივატოვე და ისევე ჩავფურთავე პატარა კომენტარს; ძველ სუფისტურ ანეკდოტს მოვყვები: ერთმა ვაჭარმა ქარავან-სარაიში ორი ჯინის საუბარს მოჰკრა ყური და შეიტყო, რომ ერთ-ერთი მათგანი, მის მშობლიურ ქალაქში, მისსავე მოსაკლავად აპირებდა ჩასვლას. ვაჭარმა, ეს რომ გაიგონა, შეშინდა და სამარყანდში გაიქცა, იქ დავიძალადე. ის ჯინი, რომელსაც ეს ვაჭარი უნდა წაეყვანა, ჩავიდა ვაჭრის მშობლიურ ქალაქში და მეზობელს ჰკითხა, ესა და ეს კაცი ხომ არსად შეგხვდებოდა. მეზობელმა მიუგო, მაგ ვაჭარს, აქვე, ქარავან-სარაიში იპოვნო. ჯინს გაუკვირდა, მე კიდევ, ბედის წიგნში მიწერია, რომ უახლოესი ორი კვირის მანძილზე სამარყანდში უნდა დამხვდეს და იქიდან უნდა წავიყვანო.

ჭეშმარიტად: სადაც არის ბედი შენი, იქ მიგიყვანს ფეხი შენი. რუსთაველი ამას ასე ათქმევინებს ტარიელს:

განგებაა, დღესცა მომკლავს, ქვეშცა სადა დავიძალდე.

თუმცა, დაფუბრუნდეთ ტარიელის მონაყოლს, მან განაგრძო თხრობა: ამ სულისკვეთებით გავემართე ხატაელთა მეფესთან შესახვედრად. ქედი გადავიარე და ვივაკებდი, როცა მტვრის ქარბორბალს მოვკარ თვალი. მივხვდი, რომ ეს ის „კვამლი“ იყო, მსტოვარმა რომ მითხრა. მეთაურებს მოეუხმე, ვუთხარი, რაშიც იყო საქმე, დავავალე, ყურადღებით ყოფილიყვნენ. მომცრო რაზმი გავიყოლიე და რამაზის კარავს მივაშურე. როდესაც

ომის სცენები, 20X17 სმ, მუყაო, გუაში, ლევან კაჭარავას კოლექცია, პარიზი

კარავს მივუახლოვდით, კაცი გამოგვეგება მეფისგან და გვითხრა, საომრად რად მომზადებულხართ, ჩვენ სამშვიდობოდ გელოდითო. მაშინ კი საბოლოოდ მივხვდი ლალატს და საბრძოლველად მოვემზადეთ. დავინახე, რომ მოწინააღმდეგეებაც გამოიყვანა რაზმი და ჩვენსკენ დაიძრა.

წინ გავიჭერი. მტრის პირველ რიგს გრძელი შუბით ვეკვეთე და შევუტიე. შუბი მათ აბჯრებზე გადამიტყდა. ხმალი დავაძრე და ახლა ხმლით დავერიე. შეეშინდათ, – გიჟია ვიღაცაო. დავკარ და დავკარ, გავერიე მტრის რაზმში და ვკაფე და ვკაფე მარჯვნივ და მარცხნივ. საშინელი დღე დავაყენე; ჩემს უკან დახოცილი ხატაელები ეყარნენ გორებად, ვისაც ხელი მივაწვდინე, არ გავახარე. ზოგი ერთმანეთს შემოგტყორცნენ, ზოგსაც ისე დავუხვი ხმალი, რომ სულ ბზრიალით იკეცებოდა. ზოგი იქით მოვისროლე და ზოგი აქეთ. პირველი ორი რიგი თითქმის სულ მიწასთან გავასწორე. სისხლის ჩანჩქერები დავადინე. ჩემებიც შემომეშველნენ. ვისაც დავეწიეთ, ცოცხალი არ დავგიტოვებია. ვინ საით გარბოდა, არავინ უწყოდა. მერე, ღამით ნავალი მთავარი ლაშქარიც მოგვეხმარა. რამაზ მეფე დავინახე ამ ალიაქოთში და იმას შევერკინე. არ მომიკლავს; მთავარ ვეზირებთან ერთად ტყვედ ავიყვანეთ. ამით ომი დამთავრდა. ჩემები გაქცეულებს გაეკიდნენ და აქა-იქ იმათაც იჭერდნენ.

ტარიელი ამას ისეთი სიამოვნებით ყვება, რომ არ იქნება, ჩემი კომენტარიც არ ჩავუერთო. არ უყვარს, არ უყვარს რუსთაველს ხატაელები. ტარიელი მათ სადაც გამოიჭერს, ან თავებს უხეთქავს და ასისხლიანებს, ან, როგორც თვითონ ამბობს:

კაცი კაცსა შემოგტყორცე, ცხენ-კაცისა დავდგი გორი;

ამ სცენებს რუსთაველიც დიდი კმაყოფილებით აღწერს. ნეტავ რა დაუშავა ჩინეთში მცხოვრებმა ამ პატარა ტომმა დიდ პოეტს?

ტარიელი აგრძელებს თხრობას:

ბოლოს, კარვები გავშალეთ და ველზე დავბანაკდით. ხელში ვიყავი დაჭრილი.

აქიმმა თურმან-ბაშის მალამო დამადო, შემიხვია და დოლბანდით კისერზე ჩამომკიდა დაჭრილი ხელი.

მეთაურები და დიდებულები მოდიოდნენ და გამარჯვებას მილოცავდნენ, ზოგი მეხვეოდა, ზოგი მკოცნიდა, ზოგიც მლოცავდა. ერთი-ორს ცრემ

ომის სცენები, 20X17 სმ, მუყაო, გუაში, ლევან კაჭარავას კოლექცია, პარიზი



ლიც გადმოსცვივდა სიხარულით. ბრძანება გავეცი, ალაფი შეეგროვებინათ. დაიარეს ახლო-მახლო რაც დასახლებები იყო და გავსილნი დაბრუნდნენ.

დატყვევებულ რამაზ მეფეს ვუთხარი, რომ მისი ღალატის ამბავი ვიცოდი და ახლა, თუ საკუთარი თავის რეაბილიტაცია უნდოდა ჩემს წინაშე, ყველა ქალაქი და ციხე-სიმაგრე ჩვენთვის უნდა ჩაებარებინა თავისი ხელით. რამაზი დამყაბულდა და ერთი თავისი დატყვევებული დიდებული მომთხოვა ამ ბრძანების აღსასრულებლად. მივეცი დიდებული და თან ჩემი მეომრებიც გავაყოლე, რომ ციხეებისა და ქალაქების გასაღებები გადაებარებინათ. როდესაც ეს საქმე მოვითავე, ხატაეთის ციხეთა და ქალაქთა მთავარნი მოვაცვანინე თავყვანის საცემად. მხოლოდ ამის შემდეგ შევედი დაპყრობილი ქვეყნის ქალაქებში. აქაც უამრავი ალაფი ავკრიფეთ. მათგან ყველაზე საუკეთესო რაც იყო, ჩემთან მოჰქონდათ. მეფე ფარსადანს ათასი დასაპაღნებელი ჯორ-აქლეში გაუგზავნე ძღვნად. თან მოამბე გავაყოლე, რომ ჩვენი გამარჯვებისა მოეთხრო. მერე, ქალის რაღაც მოკლე კაბა, – ხატაურად ყა-ბახ-ჩა ერქვა და ძვირფასი პირსაბურველი მომიტანეს. ვერ გაიგებდი, როგორ და რა მასალისგან მოექსოვათ; ისეთი ნაზი, სიფრიფანა და, ამავე დროს, მტკიცე იყო. ამას ჩემს შეყვარებულს წაუღებ მეთქი, ვიფიქრე და ცალკე შევანახინე.

დილით ფარსადან მეფეს დაწვრილებითი პატაკი მოვუმზადე. მოვანსენებდი, რაც მოხდა, რომ რამაზს მოტყუებით უნდოდა ჩემი მოკვლა, და რომ ჩვენც ვიმარჯვეთ, მივუხვდით, მტერი დავამარცხეთ, მეფე და მისი დიდებულები დავატყვევეთ, დიდი ალაფი ავიღეთ და ქვეყანა დავიმორჩილეთ. როდესაც უკან დავბრუნდით, დედაქალაქი მორთული დაგვხვდა. ჩვენი გამარჯვების ამბავი უკვე ქვეყანას მოსდებოდა, ერი და ბერი წინ გვეგებებოდა. მეც შევიფერე ასეთი შეხვედრა; პატარა საქმე ხომ არ იყო; ხატაეთის ხელმწიფე ტყვედ მომყავდა, დიდძალი ნაალაფევი მომქონდა და ინდოეთს ახალ ტერიტორიებს ვუმორჩილებდი. ფარსადან მეფე მთავარ მოედანზე შემეგება, სადაც უკვე გაეშალათ საზეიმო სუფრა. მომეხვია, მომეფერა, შემაქო, გვერდით დამისვა და ომის ამბები დაწვრილებით გამომკითხა. მთელი ღამე ვიქეიფეთ; ვსვამდით გამარჯვების, მეფის, ინდოეთის სადღეგრძელოებს. ყველა მხიარულობდა. მეორე დილას სასახლესთან შეიკრიბა ლაშქარი. ტყვეები მოიყვანეს. ფარსადანმა რამაზისთვის ბორკილი ამაყრევინა, ხელი მოჰკიდა, გვერდით დაისვა და გაესაუბრა. მერე მე მკითხა, – თუ შეუნდობ მტერსო?

ერთი წამით, ტარიელ! არ დაგავიწყდეს, რას ყვებოდი. მთხრობელს უნდა ისევ რაღაცის თქმა! როცა რუსთაველი ამ სტრიქონებს წერს, გარეთ მეთორმეტე საუკუნე

დგას, სასტიკი, პირსისხლიანი. . . მტერს კი არა, მოყვარეს არავინ ინდობს. და, რას ამბობს რუსთაველი ტარიელის პირით?

მე ვპკადრე: “ღმერთი ვინათგან შეუნდობს შეცოდებულსა, უყავით თქვენცა წყალობა, მას ღონე-გაცუდებულსა.”

აბა, მოვისმინოთ სხვა დიდი ნაწარმოებიც: მაშინ მივიდა მასთან პეტრე და უთხრა: “უფალო! რამდენჯერ უნდა მიგუტევეო ჩემს ძმას, ჩემს წინააღმდეგ რომ შესცოდოს? შვიდჯერ?” უთხრა მას იესომ: “მე არ გეუბნები შვიდჯერ მეთქი, არამედ სამოცდაათგზის შვიდჯერ.” (მათე, 18: 21, 22)

ბოდიში, ტარიელ, გააგრძელე შენი საგმირო საქმეების თხრობა.

მეფემ რამაზი შეიწყალა, მაგრამ ბეგარა დააკისრა, – წლიურად ათი ათასი დრაჰკანი. გარდა ამისა, – ტარიელმა ავთანდილს მიმართა, – ხატაური აბრემუმის ხარისხი შენც გაგონილი გექნება, ჩემო ავთანდილ, – უამრავი ტანსაცმელი და ატლასის ქსოვილი ჰქონდა ხატაეთს ყოველწლიურად ინდოეთში გამოსაგზავნად შეწერილი. რამაზი კმაყოფილი არ დარჩენილა, მაგრამ მაინც მადლიერი იყო, სიცოცხლე შეუნარჩუნეს, უკან გაგზავნეს სამეფოდ და მხოლოდ ბეგარა შეაწერეს.

გამარჯვების ზეიმი რომ ჩამთავრდა, მეფემ სანადიროდ მიმიწვია, – სამი თვეა არ მინადირია და წამო, წავიდეთო. მეგონა, პირდაპირ წავიდოდით სანახებში, მაგრამ ჯერ სასახლეში მომიწია მისვლა. მეფე-დედოფალი ტახტზე ისხდნენ, ერთმანეთს ტკბილად ესაუბრებოდნენ. დედოფალი მე მიჭერეტდა ალტაცებით. მეფემ დაუბარა, მე და ტარიელი ეხლა სანადიროდ წავალთ და შენ რომ მარტო არ დარჩე, ნესტან-დარეჯანი მოისვი გვერდით, უკვე იმ ასაკშია, რომ ხალხმა უნდა ნახოსო. ჩვენ სანადიროდ წავედით. შევარდნითაც ვინადირეთ, მწევარიც ბევრი გვახლდა და მარეკიც. მალე დავბრუნდით. ქალაქში ხალხის სიმრავლე იყო. მე ყველა პატივითა და მოკრძალებით მიჭერეტდა.

როცა სასახლეში მივედით, მეფის ქალი დედოფლის გვერდით იჯდა. ამჯერად ნარინჯისფერი ტანსაცმელი ეცვა და კიდევ უფრო უკეთესი გამხდარიყო, მზესავით ანათებდა. დედოფალი შემეგება და შვილივით მომეფერა. მერე იქვე დამსვენს, ჩემი შეყვარებულის პირისპირ. პირდაპირ ცქერას ვერ ვუბედავდი და მალევით ვუჭერეტდი, მაგრამ მიძნელდებოდა თვალის მოწყვეტა. რა საამოა, როცა შენს მზეს უჭერეტ!

გაიშალა სუფრა. გვართობდნენ მომღერლები და მოცეკვავეები, დიოდა სას-მელი, იყო შაირობა, სადღეგრძელოები და შემწვარ-მონსრაკული. ბოლოს, მეფემ გამომიცხადა, – ასეთი მეომარი ხარ და არ გეკადრება ღარიბულად ჩაცმა-დახურვა. აი, გამომართვი საწყობის გასაღებები და აირჩიე, რაც მო-გეწონება. თუ არაფერი მოგეწონა, რაც გაგიხარდება, ის შეაკერინეო. მერე ისევ ლხინს დაგუბრუნდით. დედოფალი და ნესტან-დარეჯანი დაგვეთხო-ვნენ, ჩვენ სმა-ჭამა გავაგრძელებთ. ისე გავხდით, ჭიქას ველარ დავლევდით. როცა საძინებელში დავბრუნდით, კარგა გვიან იყო, მაინც არ დამეძინა; სულ ჩე-მი შეყვარებული მედგა თვალწინ. მსახურმა მითხრა, – ერთ პირსაბურავიან ქალს უნდა შენი ნახვაო. მე მეტის თქმა არც მინდოდა, მივხვდი, ვინ იყო და შემოვიპატიე. ასმათის ნახვა ისე გამიხარდა, რომ დასავით გადავკოცნე, შე-მოვიყვანე და გვერდით მოვისვი; – როგორ არის ჩემი შეყვარებული მეთქი? – აი, აქ წერია ყველაფერიო, – მითხრა ასმათმა და წერილი გამომიწოდა. სასიყვარულო წერილი იყო. ნესტან-დარეჯანი მეფიცებოდა, უშენოდ აღარ მინდა სიცოცხლეო. ისეთი მამაკაცური იყავი ამ საღამოს, რომ კიდევ უფრო შემიყვარდი, ომგადახდილი და გამარჯვებული. შენ რომ თავსაბურავი გე-კეთა, ის მომეწონა და მაჩუქე. სამაგიეროდ, ასმათს შენთვის ერთი სამკლავე გამოვატანე, ჩემი სიყვარულის ნიშნად ის გეკეთოს. აწი სულ ერთად უნდა ვიყოთო.

ტარიელმა თვალს მორეული ცრემლი მოიწმინდა. მერე ავთანდილს სამ-კლავე აჩვენა. – აი, ეს ჩემმა ნესტან-დარეჯანმა რომ მაჩუქა, დღემდე ვატარებ. ეს თქვა და ლომივით კაცი ისევ ატირდა, გაფითრდა და ხე-ლახლა წაუვიდა გული. ასმათი დაფაცურდა, გაღელილ მკერდზე წყალს აპკურებდა. თვითონაც ვერ იკავებდა თავს და ისიც ცრემლს ღვრიდა. ავთანდილი შეეშველა და შეამჩნია, რომ ტარიელს მჯილის ცემისაგან მკერდი დაღურჯებოდა. როგორც იქნა, მოიყვანეს გონს. წამოჯდა. ჯერ კიდევ სუსტად იყო, ეტყობა, თავბრუ ესხმოდა. სახეზეც ცუდი ფე-რი ედო. მიმოიხედა, ამოიკვნესა და თხრობა განაგრძო.


ასმათმა სამკლავე გადმოძვა და მაშინვე შევიბი. სამაგიეროდ, ხატაეთიდან ჩამოტანილი თავსაბური და ყაბაჩა გავატანე ჩემს შეყვარებულთან. თან მოკლე წერილიც გადავეცი. ვწერდი, რომ ბედნიერი ვიყავი და, რომ მისმა საჩუქარმა ძალიან გამახარა, რომ მის გარეშე სიცოცხლე აღარ შემეძლო და მზე და მთვარე მასზე ამომდიოდა. ისიც მივწერე, რომ ხატაეთიდან სა-განგებოდ მისთვის წამოღებულ თავსაფარსა და კაბას ვუგზავნიდი. ამის მერე ასმათი დამეთხოვა, მე კი მთელი ღამე თვალი ველარ მოვხუჭე.

გარიჟრაჟზე მეფე-დედოფალმა გამომიძახეს. მაშინვე ვეახელი. მათ გარდა, სამიოდე ვეზირი იყო დარბაზში. ეტყობოდა, ეთათბირათ. მეც იქვე დამ-



მუსიკოსი, 48X38 სმ, მუყაო, გუაში, კერძო კოლექცია, პარიზი

მუსიკოსი, 48X38 სმ, მუყაო, გუაში, მხატვრის ოჯახის კოლექცია







მოცეკვავე კაცი, 63X49 სმ, ქალაღი, აკვარელი, ლუკა დოლიძის კოლექცია, თბილისი

მოცეკვავე ქალი, 63X49 სმ, ქალაღი, აკვარელი, კერძო კოლექცია, ბერლინი

სამკლაური, 15X14 სმ, მუყაო, გუაში, კერძო კოლექცია, პარიზი



სვეს. მერე მითხრეს, რომ ქალიშვილისათვის საქმროს ეძებდნენ და ჩემი რჩევა ჭირდებოდათ. – ღმერთმა ვაჟი არ გვალისა და სიძე მაინც გვყავდეს კარგი. ამ უზარმაზარ სახელმწიფოს ჩვენს მერეც ხომ ჭირდება პატრონობა. მარტო ქალი ვერას გახდება, ძლიერი მამაკაცი ჭირდება გვერდითო.

ამის გამგონე, დავიბენი, მაგრამ ვუპასუხე, – თქვენი ქალი ისეთი მშვენიერია და სამეფო კი ისეთი ძლიერი, რომ თქვენთან ჩასიძება ნებისმიერ უფლისწულს შეშურდება. თუ ასე გადაგიწყვეტიათ, გაათხოვეთ ნესტან-დარეჯანი მეთქი. სადღაც, გულის კუნჭულში კი მქონდა იმედი, რომ მე შემომთავაზებდნენ სიძობას, მაგრამ შევცდი. არჩევანი ხვარაზმის უფლისწულზე შეაჩერეს; – კარგი ვაჟაკაცია და ნესტან-დარეჯანისთვის სწორედ რომ შესაფერი იქნებაო. ამის გაგონებაზე თითქოს მთელს სხეულში ცეცხლმა დამიარა. გული საგულიდან ამომვარდა, მაგრამ მეფე-დედოფალს ხომ არ გავუძალიანდებოდი? დავთანხმდი...

მაშინვე აფრინეს კაცი ხვარაზმის ხელმწიფესთან შეთავაზებით. ხვარაზმიდანაც არ დააყოვნა პასუხმა; ელჩები დიდძალი საჩუქრითა და მოსაკითხით დაბრუნდნენ. ხვარაზმის მეფე სიხარულით ცას სწევია; – ეს რა ბედი მარგუნა ღმერთმა, თქვენთან დამოყვრებაზე უკეთესს რას ვინატრებდითო?

ამათაც აღარ გაწელეს საქმე და ახლა სასიძოს ჩამოსაყვანად გაგზავნეს დელეგაცია. ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ გონს მოსვლა ვერ მოვასწარი. არ ვიცოდი, რა მექნა და საით წავსულიყავი. მთელი დღე დავბორიალობდი და ღამე არ მეძინა; არც სეირნობა მიქარებდა სევდას და არც ბურთაობა.

ღილით ისევ ასმათმა შემომითვალა, სასწრაფოდ მოდი, ნესტან-დარეჯანი გიბარებსო. ჩვეული უკანა კარიდან შევედი გალავანში. კოშკის შესასვლელთან ასმათი შემომეგება. უგუნებოდ იყო და ნამტირალევი ჩანდა. ნესტან-დარეჯანის საძინებელში შემიძღვა. მეფის ქალს ჩემი ნაჩუქარი თავსაბურავი მოეხურა, ისევ მწვანე კაბა ეცვა, ტახტზე იჯდა და ტიროდა. ცრემლიანი თვალეზი მომპყრო. გამწყრალი და განრისხებული ჩანდა. ასმათმა მის პირისპირ, ოდნავ მოშორებულად შემომთავაზა ჩამოჯდომა. ჩამოვჯექი და ნესტან-დარეჯანს მივაცქერდი. ქალმა გაბრაზებით მითხრა, – ჩვენი ფიცი რად გასტეხე, რატომ გამწირეო?

მე არ ვიცოდი, რა მეპასუხნა და შეკითხვითვე მივმართე, – რა დავაშავე ასეთი მეთქი? – როგორ თუ რა დააშავე, შენ არ იყავი, მეფე-დედოფალს ჩემს გათხოვებაზე კვერი რომ დაუკარი? შენ არ შესთავაზე ხვარაზმის უფლისწულზე

ჩემი გათხოვება? ეს არ არის ფიცის გატეხვაო? შენ არ იყავი, ჩემი სიყვარულით რომ კვდებოდი, გული მიგდიოდა და ვაი-ვიშობდი? ექიმები ძლივს რომ გაბრუნებდნენო? თავიდან, ერთგულება შემომფიცე და ახლა სხვისთვის გამიმეტეო? მეც გაგიმეტებ, სანამ ცოცხალი ვიქნები და ინდოეთში ვიმეფებ, აქ შენ აღარ დაგედგომებაო!

წარსულის მოგონებაზე ტარიელს ისევ ცრემლი წასკდა, მაგრამ განაგრძო თხრობა. ამის გაგონებაზე, იმედი მომეცა. წამოვდექი, ნესტან-დარეჯანს მივუახლოვდი და ვუთხარი: – რადგან ამდენი მკადრე, მეც მათქმევინე ორიოდ სიტყვა მეთქი. ნება დამართო და მოვუყევი, როგორ დამიძახეს დარბაზში და როგორ მომახსენეს თავიანთი გადაწყვეტილება უკვე ვეზირებთან თათბირისა და მათი თანხმობის მერე. მეფე-დედოფლისა და ვეზირების ნების წინააღმდეგ კი თავი უძლურად ჩავთვალე, არც ვინმე დამიგდებდა ყურს და უმეცრებასაც დამწამებდნენ. გაჩუმება და თანხმობის მიცემა ვარჩიე წინააღმდეგობის გაწევას. ნესტან-დარეჯანს ისიც ვუთხარი, – დარდით გული მისკდებოდა და სულს გაყვიდდი შენი გულისათვის, მაგრამ მე არც მეფე ვარ და არც უფლისწული. ამიტომაც ვერ ვქენი მეთქი ვერაფერი.

ამ სიტყვებზე ქალს სიბრაზემ გადაუარა. მითხრა, – ახლა მივხვდი რაშია საქმე. მეც არ მჯეროდა შენი ღალატის, მაგრამ ზუსტად რომ არ ვიცოდი, დარბაზში რა მოხდა, ეჭვი შემეპარა შენს ერთგულებაში, მეც ძალიან ვინერვიულეო. ესლა, სხვა გზა არ დაგვრჩენია, ისე უნდა მოვიქცეთ, რომ მე და შენ გავმეფდეთ ინდოეთში; ჩვენ საუკეთესო წყვილი ვიქნებით ინდოეთის სამეფო ტახტზეო.

გვერდით დამისვა, მოლბა, დამიტკბა. – მოდი, მშვიდად მოვილაპარაკოთ, როგორ მოვიქცეთო. შენ რომ ახლა სასიძო ინდოეთში არ შემოუშვა, ფარსადანს ეწყინება და გადაგეკიდება. ეს მარტო შენ კი არა, მთელ ინდოეთს ავნებსო. მეორე მხრივ, სასიძო თუ ჩამოვიდა და დაგვაქორწინეს, თავის სპარსელებს ჩამოიყვანს და შენ მოგიშორებსო. თანაც, მერე ხომ ვეღარ გავყურები? ნაქმარევი ქალი შენც არაფრად გინდაო. ამის გაგონებაზე, გამ-

წარებულმა მოვეუგე, – სასიძო რომ ჩამოვა, მასაც მოგვკლავ და ამაღასაც ამოვკლავ მეთქი.

ამაზე მიპასუხა: – არა, ამდენი ადამიანის სისხლს ცოდვად ვერ დაგადებო. აჯობებს, სასიძოს სადმე გზად შეეყარო და მარტო ის მოჰკლა, მის ამაღას ნურას ერჩიო. მიპარვით მოჰკალი, ჯარს თან ნუ წაიყვანო. ფარსადანი როცა ამას გაიგებს და შეწუხდება, შეუთვალე, ინდოეთის მეფობა მე მინდა და იმიტომ მოგიკალი სასიძო თქო. ჩემს სახელს ნუ ახსენებ, უფრო დაგიჯერებენ. მეფე თვითონ შეგეხვეწება, გამეფდი და თუ გსურს, ჩემს ქალიშვილსაც მოგცემ ცოლად.

ეს რჩევა მომეწონა და დავპირდი, რომ ისე მოვიქცეოდი, როგორც მითხრა. წამოდგომა რომ დავაპირე, თავი ძლივს შევიკავე, რომ არ მოვხვეოდი და მოვფერებოდი. ცოტა ხანს ვისაუბრეთ და მერე გამოვემშვიდობე. ასმათმა გამომაცილა. ფეხები უკან მრჩებოდა, მაგრამ ვიცოდი, რომ წინ სერიოზული საქმე მელიოდა და უნდა წავსულიყავი.

ხვარაზმს გაგზავნილი ელჩები დაბრუნდნენ და მოგვახარეს, სასიძო მოდი-სო. რა იცოდნენ, გულში რა ცეცხლი მენტო და სასიძოს რას ვუპირებდი. მეფემ მიმიხმო და მიბრძანა, რომ ქორწილის სამზადისს შევდგომოდი. მითხრა, – ნურაფერს დაიშურებ, არ იფიქრონ, ინდოეთის მეფე ძუნწობსო. მეც შევუდექი საზეიმო სამზადისს. გავეცი განკარგულება, რომ ხორა-გი მოემზადებინათ, მოწყალება უხვად გაეღოთ და ხვარაზმელი სასიძოს შესახვედრად გვარდიის მოწინავე რაზმები გავგზავნე. მეფემ ქალაქის გალავნისწინა მოედანი საზეიმოდ მოართვევინა და კარავის გაშლა ბრძანა, სასიძო რომ ჩამოვა, აქ მოისვენოსო. მე არ გამიშვა შესაგებებლად, – აქაც ბევრი საქმე გაქვს, სხვებს გავგზავნიო. მაყრიონიც მალე გამოჩნდა. გავშალეთ წითელი ატლასის კარავი. მოვიდნენ ჩვენი და სტუმართა დიდებულნი. დაიწყო მისვლა-მოსვლა, გაცნობა და საქორწინო სამზადისი. ჩვენი და მათი ჯარი ერთმანეთში აირია, იყო დაძმობილება და საზეიმო განწყობა.

იმ დღეს ძალიან დავიღალე. განმკარგულებელი ვიყავი და მთელი დღე აქეთ-იქეთ მიწევდა ჭენება, ცხენიდან არ ჩამოვსულვარ. ასე გაილია ის

დღე. უკვე ძილი მერეოდა, როცა ასმათის მონა მეახლა და ნესტან-დარეჯანთან დამიძახა.

ასმათი ისევ შესასვლელთან შემეგება თვალცრემლიანი. – რა მოხდა მეთქი? – როგორ თუ რა მოხდა, რამდენჯერ უნდა გამართლო ნესტან-დარეჯანის წინაშე, შენს ვეჭილად გადავიქეციო! მეტი არაფერი უთქვამს. დარბაზში როცა შევედით, მეფის ქალმა მაშინვე საყვედური შემაგება: – ისევ მიღალატეო?!

ამ სიტყვებმა გამაცოფა. არაფერი მიპასუხია. შემოვბრუნდი და წამოვედი. გამოსვლისას მივაძახე მხოლოდ, – მე ქალისაგან ომი და ბრძოლა არ მესწავლება, მალე ნახავთ, რასაც ჩავიდენ მეთქი.

სასწრაფოდ დავბრუნდი სასახლეში და დაცვის ასეულს მზადყოფნა ვუბრძანე, თან გავიყოლიე და სასიძოს ბანაკს მივუახლოვდი. წინააღმდეგობა არ შეგვხვედრია. სვარაზმის უფლისწულის კარვის კარი ხმლით ჩავჭერი და შიგ შევუვარდი. საფრთხე არავის უგრძენია. იარაღი არც მიხმარია, ტახტზე წამოწოლილ სასიძოს ფეხებში ვსტაცე ხელი, მოვიქნიე და თავით კარვის დედაბოძს შევათხლიშე. სვარაზმის მეფისწულმა იქვე გააფრთხო სული. სანამ მასწრონი აზრზე მოვიდოდა, წივილ-კივილს ასტეხდა და მდევარს მომადვენებდა, ცხენს მოვახტი და გამოვქუსლე. გზაზე მდევარიც დავხოცე, ქალაქის გალავანში ჩავიკეტე და ლაშქარი მოვიხმე; ვინც ჩემი ერთგულია, მხარში ამომიდგეს მეთქი.

ჯარმა ჩემი მხარე დაიჭირა და მდევარს დაერია. დიღამდე ვიბრძოლეთ. გარიჟრაჟზე მეფის გამოგზავნილი სამი დიდებული მეწვია. შემოეთვალა, – ღმერთმა იცის, შვილივით გზრდიდი და ეს რა დამმართე? გეთქვა, თუ ჩემი ქალი გინდოდა ცოლად, ამ უცხო ხალხის სისხლი რად დამდე ცოდვად? რატომ გამიმწარე სიბერეო?

მე შეეუთვალე, – ქალი რა შუაშია, ინდოეთის მეფობა მინდოდა და იმიტომ მოვკალი ჩემი კონკურენტი მეთქი. – ასე ვიყავი ნესტან-დარეჯანთან გარიგებული. – თქვენ, ქალის მეტი მემკვიდრე არ გაგაჩნიათ და ტახტს ჩემზე უკეთესად ვერავინ უპატრონებს. იმას ვერ ავიტან, აქ სვარაზმელი უფლისწული მეფობდეს და მე ხმალი მერტყას მეთქი. მოკლედ, ჩემო ავთანდილ, ბევრი რომ არ გავაგრძელო, ბოლოს დავემუქრე კიდეც, – ქალი, შენ ვისაც გსურს, იმას მიათხოვე, ინდოეთში კი მე უნდა ვიმეფო, ვინც შემეცილება, ცუდი დღე დაუდგება მეთქი.

ტარიელი, 50X34 სმ, მუყაო, გუაში, კერძო კოლექცია, პარიზი



მეფის გამოგზავნილი ხალხი უკან რომ გაუშვი, ცხენს მოვახტი, გუშაგებს დავალებები მივეცი და ნესტან-დარეჯანის სასახლეს მივაშურე. სასახლემდე არმისულს ორი ქვეითი შემომეყარა. როცა მივუახლოვდი, დავინახე, რომ ერთ-ერთი მათგანი ასმათი იყო. მსახურს მოჰყავდა. ქალს სახე აღარ ჰქონდა, ტიროდა, პირს იხოკავდა. მე გულს შემომეყარა, გუმანით მივხვდი, რომ რა-ღაც საშინელება მოხდა და შევძახე, – რა ამბავია, რა მოხდა მეთქი?

ასმათმა ქვეითინით მიამბო: როცა მეფეს ხვარაზმის პრინცის მკვლელობა შეუტყვია, მე მოვუკითხვივარ. მე რომ ვერ მიბოვნეს, ყველაფერს მიმხვდარა. – ეტყობა, ტარიელს ჩემი ქალიშვილი შეუყვარდა და ვერ მიბედავდა თქმასო. ბრძენ ფარსადანს ეჭვი შეჰპარვია, რომ ამ მკვლელობაში მისი დის, ქაჯების რძლის, დავარის ხელი ერია: – იმან და მისმა ქაჯებმა აურიეს გონება ჩემს ქალს და ტარიელსო. სასწრაფოდ უბრძანებია დავარის შეპყრობა. ეგ კი არა და – მოვკლავო, – უთქვამს. ვიღაცას დავარისთვის შეუტყობინებია, – მეფე გეძებს მოსაკლავად, ეგ ისეთი კაცია, სიტყვას უკან აღარ წაიღებს და დაიმალო.

დავარს, თურმე მაშინვე ნესტან-დარეჯანისთვის უტაცნია ხელი, ამის მოწყობილი იქნება სასიძოს მკვლელობა, ეგ წააქეზებდა ტარიელსო. სულ ბოზო და როსკიპოო უძახნია ქალისთვის, – საქმრო რატომ მოაკვლევინე, მისი სისხლი ცოდვად მე რად დამადეო? ბოლოს, თავი ვეღარ შეუკავებია და მაგრად გაულახავს. თურმე, სულ თმებით უთრევია და ცემით დაულურჯებია. მერე, ქაჯეთიდან ჩამოყვანილი ორი ზანგისათვის მოუხმია, დიდი სკივრი მოუტანინებია და ქალი შიგ ჩაუკეტავს. ამ მსახურთათვის დაუვალებია, – წაიყვანეთ და ზღვაში ჩააგდეთ, ისე, რომ არსად გამოირიყოსო. მონებს, სიხარულითა და სულ „ჰიპია-ჰიპიო“-ს ძახილით აღუსრულებიათ დავარის ნება. წაუყვანიათ და წყლისთვის მიუციათ საბრალო ნესტან-დარეჯანი. დავარს, როცა სიბრაზე გადასვლია, მიმხვდარა, რომ მეტისმეტი მოუვიდა, შეშინებია, ამის ჩამდენს მაინც მომკლავენო და თვითონვე მოუკლავს თავი.

ასმათი ამას მიყვებოდა, ქვეითინებდა და მეუბნებოდა, – ამის შემდეგ, როგორ ვიცოცხლოო. ამ შემზარავმა ამბავმა მეც თავზარი დამცა, მაგრამ მივხვდი, რომ, თუ კიდევ მინდოდა სიტუაციის გამოსწორება, სასწრაფოდ მოქმედება იყო საჭირო და ვაი-ვიში არას მარგებდა. ას სამოცი საუკეთესო მხედარი გავიყოლიე, გემზე ავედი და თორმეტი თვე ვსერავდი ტალღებს. ნესტან-დარეჯანის ვერც ასავალი გავიგე და ვერც დასავალი. მისი ამბავი არავინ იცოდა და მისი მნახველი არსად შემხვედრია. ამ ძნელ მგზავრო-



მონის პორტრეტი 1, 30X27 სმ, ქალაღი, აკვარელი, კერძო კოლექცია, პარიზი

მონის პორტრეტი 2, 30X27 სმ, ქალაღი, აკვარელი, კერძო კოლექცია, პარიზი

დავარი, 50X34 სმ, მუყაო, გუაში, ზაირა ბერელიძის კოლექცია. თბილისი







ნესტან-დარეჯანი კილობანში, 150X100 სმ., ტილო, ზეთი, ქეთი ცეცხლადის კოლექცია, თბილისი

ბაში ყველა დამელუპა. მხოლოდ ასმათი და ორი მსახურილა შემომრჩა. ხმელეთზე როცა გავედი, აღარც მამულები დამხვდა და აღარც ჯარი. ყველაფერი დამეკარგა, ჯარიც დაფანტულიყო. მხოლოდ ეს სამი ადამიანი შემრჩენოდა.

აღარ ვიცოდი, რა მექნა. უაზროდ დავიწყე ხეტიალი. რამდენიმე დღე დარდინანებული ზღვის პირს მივყვებოდი. ერთხელ, სალამო ხანს, სიანლოვეში ქალაქი გამოჩნდა. ზღვამდე გატოტილი მთაგრეხილის ძირას გაშლილიყო. მოგვიანებით გავიგე, რომ ამ ქალაქს მულლაზანზარი ერქვა, იმ სალამოს არავის ნახვა არ მინდოდა და ქალაქში აღარ შევსულვარ. სანამ შემოგარენის ბაღები დაიწყებოდა, ერთი ხე ვიპოვნე და იქვე გავიშალე ლამის საყუდელი. მსახურები ვავანშმე და მივიძინე. ძილი დარდმა გამიკრთო; იქვე ახლოში დავიწყე ბორიალი. მთელი ღამე ასე დავდიოდი, ვიდრე გარიჟრაჟზე ყვირილი არ მომესმა. გავიხედე. ზღვის პირს მხედარი მოსდევდა, ჰკიოდა, ვილაცას აგინებდა და ეტყობოდა დაჭრილი იყო; სისხლი სდიოდა. შავ ცხენზე იჯდა, აი იმაზე, ახლა მე რომ მყავს. ჯერ მსახური გავგზავნე, — შეეკითხე, რა დამართა მეთქი. მხედარს მსახურისათვის ზედაც არ შეუხედავს და ისევ ვილაცის ლანძღვა-გინებით გააგრძელა თავისი გზა. ამან ცოტა გამაკვირვა და დამაინტერესა. წინ ჩავუხტი, გზა გადავუჭერი. შემათვალიერა და შედგა. გა-

წყლის და ცის შესაყარი ღამით, 20X18 სმ, მუყაო, გუაში, კერძო კოლექცია, პარიზი

ვესაუბრეთ ერთმანეთს. აღმოჩნდა, რომ ლალატის მსხვერპლი გამხდარიყო; მტრებს გამოეჭირათ ნადირობისას და მისი მოკვლა განუზრახავთ, ძლივს გამოქცეოდა დაჭრილი. ერთ ჩემს მსახურს აქიმობისაც გაეგებოდა; ჭრილობაში ჩარჩენილი ისრის პირი ამოვალებინე, იარა შევახვევინე და უცნობს თავისი ამბავი მოვაცოლე.

შავცხენიან მხედარს ნურ-ად-დინ ფრიდონი რქმევია სახელად. მე რომ ქალაქი დავლანდე სიახლოვეში, მისი სამფლობელო ყოფილა. როცა პაპამისს ორი ვაჟისათვის ტერიტორიები გაუნაწილებია, მულაზანზარის გარდა ფრიდონის მამას, ზღვაში, შორიახლოს ერთი კუნძულიც რგებია. ამ კუნძულზე პრეტენზიას თურმე ბიძაცა და ბიძაშვილებიც აცხადებდნენ, მაგრამ ფრიდონს პირდაპირ ვერაფერს უბედავდნენ. იმ დღეს სანადიროდ წასულიყო ამ კუნძულზე დაცვის გარეშე და იქ დასხმოდნენ თავს. ამას მენავეები მიშველებიან გაქცევაში. მტერი ზღვაზეც შეგებებია. ბრძოლაში ისარიც შემოლეოდა და ხმალიც გატყდომოდა. ძლივს გამოქცევია მდეურებს. ისე იყო გაცეცხლებული, რომ იმუქრებოდა, – დღეს ღამედ გადაუუქცევ, მაგათი მძორებით სულ ყვავ-ყორანს დავადებო.

მე გავამხნევე და დავამშვიდე; – ამ საქმეში სიჩქარე არ გემართებს მეთქი. დავპირდი, რომ დავეზმარებოდი და ჩემს ასავალ-დასავალს მოგვიანებით, სიმშვიდეში მოვუყვებოდი. ცოტა რომ დაწყნარდა, მისი სამფლობელოსაკენ გავეწიეთ. კმაყოფილი და ბედნიერი იყო ჩემთან შეხვედრით. როცა მულაზანზარში შევედით, დიდებულები და მსახურები გამოგვეგებნენ. უხაროდათ, რომ ფრიდონი გადარჩა. მეც შესაფერისი პატივი მომაგო ამ უმშვენიერესი ქალაქის მოსახლეობამ.

ფრიდონი მალე მომჯობინდა. საომარი გეგმა დავაწყვეთ, ჯარს მოვუხმეთ, კატარლები და ნავეები გავმართეთ. ბაირალები ავაფრიალეთ და გავილაშქრეთ. გაჩაღდა ომი. მე ერთ-ერთი კატარლით შევცურე ზღვაში. რვა ნავით შემომიტიეს სხვადასხვა მხრიდან. მეც ეს მინდოდა; ზოგს წიხლი ვკარი და ნავი გადაუზბრუნე, ზოგს ხელითა და ხმლით შევუტეე. ვინც გადამირჩა, ხმელეთისკენ მოუსვა ბაყაყურით. ვისაც მივეწიეთ, – ჩავძირეთ. მერე ნაპირზე გავედით და ფეხოსნებსა და ცხენოსნებს დავერიეთ. ფრიდონმა ორივე ბიძაშვილი დაამარცხა ხმალში, მაგრამ არ მოუკლავს, – შეიპყრო. მტრის ჯარი დაიფანტა; არავინ უწყოდა, ვინ საით გარბოდა. ჩვენ ქალაქში შევედით. მოსახლეობა რიდიტა და პატივით შეგვეგება. ალაფიც უხვად ავიღეთ. გამარჯვება კი მიხაროდა, მაგრამ ჩემი სადარდებელი მაწვა გულზე და დანა პირს არ მიხსნიდა. ისევ დაღონებული და შეფიქრიანებული ვიყავი.



ნურადინ ფრიდონი, 28X22 სმ, მუყაო, გუაში, ოქრო, მხატვრის ოჯახის კოლექცია

ნურადინ ფრიდონი ცხენზე ზღვის პირას, 21X18 სმ, მუყაო, გუაში, კერძო კოლექცია, პარიზი





ქალაქი, როგორც უკვე გითხარი, ზღვამდე მიწვდენილი ქედის პირას იყო გაშენებული. მე ფრიდონთან დავრჩი და ძალიან დავმეგობრდით. ხანდახან იქვე მთებში დავდიოდით სანადიროდ. ერთხელაც, მორიგი ასეთი ნადირობისას, – უკვე ქედს ვიყავით გადაცდენილი, ფრიდონმა საკვირველი და ჩემთვის მეტად მნიშვნელოვანი ამბავი მომიტხრო.

ამას წინათ ამ ადგილებში ყოფილა სანადიროდ და ზღვაზე უცნაური საგნისათვის მოუკრავს თვალი. თავიდან ფრინველი თუ ზღვის ცხოველი ჰგონებია და ნაპირისკენ გაუჭენებია ცხენი. როცა მიახლოებია, დაუნახავს, რომ გადახურული ნავი იყო, და ამ ნავში ულამაზესი ქალი მჯდარა. ორი ზანგი მენავე ხლებია თან. ფრიდონს ქალი ისე მოსწონებია, რომ დაწევა უცდია, მაგრამ ვეღარ მიუსწრია. ქალსა და მენავეებს ისევ შეუცურავთ სიღრმეში და თვალს მიჰფარებია.

წარმოიდგინე, ჩემო ავთანდილ, რა მომივიდოდა, ფრიდონისაგან ამ ამბის გაგონებაზე! გადავირიე, გავგიჟდი, ცხენზე თავს ვეღარ ვიკავებდი და ისე ავტირდი, რომ ჩემს მასპინძელს შეეშინდა, რამე არ დაემართოსო. დამამშვიდა, დამიყვავა და გამომკითხა ჩემი ვაების მიზეზი. მეც ყველაფერი ვუამბე. ფრიდონი გაოცდა, როგორ, ინდოეთის დიდი მეფე მყავს სტუმრად და ეს არ ვიცოდით?!

აქ ისევ უნდა შევაწყვეტინო ტარიელს თავისი ემოციური თხრობა და ფრიდონის ნათქვამზე მინდა გავამახვილო ყურადღება. ისევე, როგორც ყველა სხვა სტროფი ამ დიად ნაწარმოებში, ესეც რუსთაველის უმაღლეს ერუდიციასა და უდიდეს პოეტურ ნიჭს უსვამს ხაზს. ნახეთ, რა სიტყვებით ამშვიდებს ტარიელს ნურ-ად-დინი (სხვათა შორის, ეს სახელი არაბულად რწმენის სხვის ნიშნავს. რუსთაველთან მას სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს: მულღაზანზარელი ხელმწიფე ტარიელს ახალ იმედს შთაბერავს):

კვლაცა მითხრა: ვისაც ღმერთი საროს მოძრისა ტანად უხებს,
მას ლახვარსა მოაშორებს, თუცა პირველ გულსა უხებს,
იგი მოგვეცემს წყალობასა მისსა, ზეცით მოგვიქუხებს,
ჭირსა ლხინად შეგვიცვალებს, არა ოდენ შეგვაწუხებს.

ფაქტობრივად, ფრიდონი უხსნის ტარიელს, რომ ყველაფერი ღვთის ხელშია და ის ძალა, რომელმაც თავიდან შეიძლება გაწამოს და დაგსაჯოს, იგივე ძალა გიხსნისო საბოლოოდ. მე ამ შეგონებას



მულაზანზარი, 100X80 სმ, მუყაო,
გუამი, პასკალ ჟუსტის კოლექცია, პარიზი



და იმას, თუ რა როლს ასრულებს დღევანდელი ქართველის ცხოვრებაში ეს „ღვთისადმი მინდობის“ იდეოლოგია, მოგვიანებით დავუბრუნდები და შევეცდები ვაჩვენო, რომ ჩვენთვის, ქართველები-სათვის, რუსთაველის ეს სენტენცია ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იდეოლოგიური ბურჯია. რაც რუსთაველის პოეტურ ნიჭს შეეხება, უნდა ვთქვა, რომ არაფერი, აბსოლუტურად არაფერი, რაც ამ პოემაშია ჩადებული, უკეთესად არ ითქმის. ჩემი თხრობაც უკიდევანო გამარტივებაა იმისა, რასაც რუსთაველი გვიყვება.

ტარიელმა თხრობა გააგრძელა. ავთანდილი დადუმებული უსმენდა. ასმათმა ეს ისტორია კარგად იცოდა, თუმცა, მაინც უგდებდა ყურს და ხანდახან წყლის მოსატანად თუ წამოდებოდა.

კიდევ ცოტა ხანს ვისაუბრეთ. მეც ასე თუ ისე დავმშვიდდი. არ ვიცოდი, რა მელონა, მაგრამ ფრიდონმა თვითონ შემომთავაზა ჩვენი სამოქმედო სტრატეგია. მითხრა, მულღაზანზარი ისეთი დიდი ნავსადგურია, რომ ნავი და გემი არ ცურავს ზღვაზე, აქ რომ არ შემოდიოდესო. მოდი, აგენტებს დავაგზავნი და გამოჰკითხონ ნაოსნებს შენი შეყვარებულის ასავალ-დასავალიო.

ასეც მოვიქცით; გავგზავნეთ ნავსადგურში აგენტები. ზოგი სხვა ქალაქებშიაც გაუშვიტით, რომ ნესტან-დარეჯანის ამბავი შეეტყოთ. სანამ ამ საქმეში ვიყავით, ნურ-ად-დინმა გვერდით დამისვა და ინდოეთის მეფის საკადრის პატივში ვყავდი. ერთ ხანს ველოდეთ ინფორმაციას, მაგრამ ჩვენი გაგზავნილი ხალხი თანდათან ბრუნდებოდა და ცუდი ამბები მოჰქონდა: არც ნესტან-დარეჯანის ასავალ-დასავალი იცოდა ვინმემ და არც მისი ორზანგიანი ნავისა. მეტს ვეღარ გაუძელი და ფრიდონს ვთხოვე, გავეში. მინდოდა ჩემი შეყვარებულის ძებნა გამეგრძელებინა, ქვეყანას მოვდებოდი, მეარა და მენალვლა. ვთხოვე, დამხმარებოდა, სამგზავრო საბუთები გაემზადებინა, გზაზე რომ არავის შევეყონებინე.

დიდი ტირილითა და ზარ-ზეიმით გამომაცილეს. ფრიდონს ჩემი გამოშვება არ უნდოდა, მაგრამ გავჯიუტდი და ჩემი გავიტანე. ისევ დავადექი გზას. ვერ დაიჯერებ, ჩემო ავთანდილ, რა ადგილები ვნახე და რომელ ქვეყნებში ვიარე. ეს, ცალკეა მოსაყოლი. არ დამიტოვებია კუთხე და კუნჭული, რომ არ დამედგა და იქაურებისათვის ნესტან-დარეჯანის ამბავი არ გამომეკითხა. ბოლოს აქ ჩამოვედი, ამ გამოქვამულში. ძალიან ვიყავით გადაღლილები მეც, ასმათიც, ჩემი ორი მსახურიცა და დროებით ამ

გამოქვაბულში გადავწყვიტეთ დარჩენა. ჩვენ კი გადავწყვიტეთ, მაგრამ ეს გამოქვაბული დევებს ჰქონოდათ ბინად არჩეული და ახლა იმათთან მომიწია ჩხუბმა და ბრძოლამ. მე კი ყველა დევი გავწყვიტე, – უკვე აღარც მაგონდება, რამდენნი იყვნენ, მაგრამ მათ ორი მსახური მომიკლეს ამ შეტაკებაში. ასე დავრჩით მე და ასმათი ორნი.

ყოველდღე გავდივარ და ნესტან-დარეჯანის კვალს ვეძებ. ასმათი შინ არის და აქაურობას უფლის. ნანადირევს ვჭამთ, წყაროს წყალს ვსვამთ და გამუდმებით ვტირობთ. ეს ვეფხვის ტყავის სამოსიც სულ ასმათის შეკერილია. ვეფხვის ტყავი იმიტომ ავირჩიე, რომ – თუ გაგონდება, გიყვებოდი, – ნესტან-დარეჯანს პირველად რომ შევხვდი, ტახტზე იყო წამოწოლილი და მაშინ იგი მშვენიერ ვეფხვს შევადარე: ისეთივე პლასტიკური და ნატიფი იყო, ისეთივე ამაყი და ძლიერი, ისეთივე მომხიბვლელი და უნდობი, როგორც ის არის. ახლა, ტყეში ვეფხვს რომ შევხვდები, სულ ჩემი შეყვარებული მახსენდება და თავიდან ვაკოცო მინდა, მაგრამ მერე შემებრძოლებიან ხოლმე და მათი მოკვლა მიწევს.

ტარიელმა ამით დაამთავრა თავისი თხრობა. ისევ ცრემლი სდიოდა და ეტყობოდა, რომ მოგონებებმა გადასძალა; ვედარ მშვიდდებოდა. ასმათიც აცრემლდა. მხოლოდ ავთანდილი აზროვნებდა ცივად და თავიც საკადრისად ეჭირა. მერე ტარიელს ჰკითხა: – აბა, თუ იცი, ექიმი როცა ავად გახდება, რა უნდა ჰქნასო? ტარიელმა დაბნევით შეხედა ავთანდილს. ავთანდილმა აღარ დააყოვნა: – რა უნდა ჰქნას და სხვა ექიმს უნდა ეჩვენოსო! მე ვიქნები შენი ექიმიო! ახლა ყურადღებით მომისმინე, რასაც გეტყვი და კმარა ეს ტირილი და სასოწარკვეთაო. ტარიელმა ავთანდილს მიაპყრო ყური.

მან შესთავაზა, – მოდი, ერთმანეთს სისხლით შევფიცოთ ძმობა. მერე მე წავალ, ჩემს შეყვარებულს ვნახავ და დავეთხოვები. ახლა რომ არ ჩავიდე, მკვდრად მიმიჩნევენ და ეს არც მე მჭირდება, არც შენ. მალევე დავბრუნდები და ერთად ვეძებოთ შენი ნესტან-დარეჯანიო.

ტარიელმა ცოტა კი გაიკვირვა, – ეს ახალგაჯნობილი კაცი ასე რატომ არის აღტყინებული ჩემთვისო, მაგრამ თანხმობა მისცა, ძმობა და ერთგულება შეჰფიცა. მთელი ღამე საუბრობდნენ. დილით ავთანდილი გზად დაიძრა, ტარიელსა და ასმათს გამოემშვიდობა და დაპირდა, მაქსიმუმ ორ თვეში დავბრუნდებიო.



თინათინის სამშობლო, 50X40 სმ, ტილო, ზეთი, კერძო კოლექცია, ბერლინი



ავთანდილის მეორე თავგადასავალი

ავთანდილმა თავის ქვეყანას მიაშურა. გზაზე ათასგვარ რამეს ფიქრობდა; ჯერ არ იცოდა, როგორ დასთხოვებოდა თინათინსა და როსტევანს, არ დაეგეგმა, როგორ მოხმარებოდა ტარიელს. ამ ფიქრისა და სადარდებელის მიუხედავად, შეუჩერებლივ მიაჭენებდა ცხენს და რამდენიმე კვირაში თავის სასახლესაც მიაღწია. შერმადინმა მობრუნებული ბატონი რომ დაინახა, ცას ეწია სიხარულით. გადაეხვია, გადაკოცნა, ამბავი გამოჰკითხა. ავთანდილის დაბრუნება რომ გახმაურდა, თითქმის მთელი ქალაქი მოვიდა მის სანახავად. სამი წელია, რაც წასული იყო და ყველას აინტერესებდა, როგორ გამოიყურებოდა და რას იქმოდა. სუფრაც გაიშალა. ავთანდილმა მოკლედ მოუთხრო თავისიანებს ამ სამი წლის ხეტიალისა და ახალგაჯნობილი ძმობილის ამბავი. ბოლოს ბოდიში მოუხადა, – საქეიფოდ ვეღარ დავრჩები, გამიშვით, როსტევანს და თინათინს უნდა შეეხვდეთ. არავინ გასძლიანებია, თუმცა, მისი ნახვა ყველას გაუხარდა, დიდებულები მონატრებული იყვნენ მასთან დროს ტარებას.

ავთანდილი დილით ადრე კი დაიძრა, მაგრამ შერმადინს დრო ეხელთა და ღამევე წასულიყო, როსტევანისა და თინათინისათვის ავთანდილის დაბრუნების შესატყობინებლად. ცხენს ისე მიაჭენებდა, ათი დღის სავალი, სამ დღეში გაიარა. როცა როსტევანს და თინათინს ავთანდილის დაბრუნება ახარა, ორივემ ისე გაიხარა, აღარ იცოდნენ რა ექნათ. თინათინმა ხალათიც კი უბოძა შერმადინს ასეთი სასიხარულო ამბის მოტანისთვის.

როსტევანმა ესეც არ იკმარა და ავთანდილს გაეგება. ქალაქის მისადგომებთან შეხვდა, მიესალმა, გადაეხვია, გადაკოცნა, შვილივით მოეფერა. წამოვიდნენ სასახლეში და ისევ გაიშალა სუფრა. წყალობაც უხვად გაიცა და სასმელიც ბევრი შეისვა. ამ დროს ტარებაში ავთანდილი თავის თავგადასავალს მოჰყვებოდა. უამბო, როგორ ეძებდა ვეფხისტყაოსანს, როგორ შეხვდა ტარიელს. იმასაც მოჰყვებოდა, რა გასაჭირში იყო მისი ახალი მეგობარი. ჯერ იყო და, დიდებულებს უაღრესად მოეწონათ ავთანდილის ქცევა, შეა-

ქეს და ამხნეებდნენ. მერე, რაც მთავარია, თინათინი იყო კმაყოფილი; მისმა შეყვარებულმა დავალებას წარმატებით გაართვა თავი, უცხოს ვინაობაც გაიგო და დაუძმობილდა კიდევ. მერე თინათინმა ავთანდილი ცალკე გაიხმო, ყველაფერი ხელახლა მოათხრობინა და სულგანაბული უსმენდა. ავთანდილსაც რა უნდოდა მეტი; ისევ მოჰყვა თავის ამბავს და ბოლოს უთხრა, ეს საქმე ჯერ არ დამთავრებულა და ალბათ, შენ თუ დამრთავ ნებას, ამ საწყალ ტარიელს უნდა დავეხმარო. თინათინმა ჰკითხა, – რით უშველი, რა გინდა მოიმოქმედო?

აქ, ახლა ავთანდილს მოვუბოდიშებ და ისევ ჩავერევი თხრობაში. ეს ტაეპი ერთ-ერთი უძლიერესია „ვეფხისტყაოსანში“. აი, რას ათქმევენებს რუსთაველი ავთანდილს და უნდა ვიგულისხმოთ, რომ ეს ის იდეოლოგიაცაა, რაც რუსთაველმა ქართველებს დაგვიტოვა საუკუნოდ:

ხამს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად,
გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად;
კვლა მიჯნურსა მიჯნურისა ჭირი უჩნდეს ჭირად დიდად,
აჰა, მაქესმცა უმისოსა ლხინი არმად, თავი ფლიდად!

ვისაც ჰგონია, რომ ეს იდეოლოგია მოძველებულია, ვუბასუხებ ჯონ ლენონის ფრაზით: **all you need is love!** (ერთადერთი, რაც გჭირდება, სიყვარულია!) რუსთაველი თითქმის იგივე აზრს გამოთქვამს 850 წლით ადრე და განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას მეგობრობაზე. რუსთაველი აბსოლუტურად თანამედროვეა!

ამას რომ კაცი გეტყვის, არ შეიძლება მის მიმართ პატივისცემის გრძობა არ გაგიჩნდეს. თინათინი დადნა. ავთანდილი შეაქო კაცური ქცევისათვის და შეეკითხა, – შენ რომ ახლა კიდევ დამშორდე, მე რა ვქნა? ხომ იცი, რომ უშენოდ გამიჭირდებაო. ავთანდილმა დაარწმუნა თინათინი, რომ გაეშვა ტარიელის საშველად, მაგრამ თხოვა, – ნიშნად გამატანე რაიმე, რომ სულ შენზე ვიფიქროო.

აქ ვეფხისტყაოსანში მოულოდნელი „ლაფსუსი“ გვხვდება. ავთანდილი, თითქოს არაბული არ იცოდესო, ქართულად იწყებს თინათინთან საუბარს და ქალს ეს არ აკვირვებს. ის კი არა და მარგალიტსაც კი აჩუქებს სამახსოვროდ. აი ტექსტი:

ხმა ტკბილი და ტკბილ-ქართული, სიკეთისა ხელის მხდელი,
მზესცა ასე ეუბნების, ვით გაზრდილსა ამო მზრდელი;
ქალმან მისცა მარგალიტი, სრულ ქმნა მისი საწადელი,
ღმერთმა ქმნას და გაუსრულდეს ღვინი ესე აწინდელი.

ესეც თქვენი არაბეთი!

მერე ცოტა ხანს ისაუბრეს, მოესიყვარულნენ ერთმანეთს და ავთანდილი წავიდა. რასაკვირველია, დარდი ჰქონდა, როდის ვნახავ ხელახლა ჩემს სატრფოსო, მაგრამ მეგობრის წინაშე ვალის გრძობა ამოძრავებდა; – ტარიელს უნდა ვუშველოო. თინათინმაც იქვითინა ერთხანს.

ავთანდილი თავის საძინებელში დაბრუნდა და შეეცადა დაეძინა, მაგრამ რული ვერ გაიკარა. ფიქრობდა, ყველაფერს წონიდა, ნაღვლობდა. რუსთაველიც უყურებს ავთანდილს იმ საღამოს და მისი ფიქრები ესმის. ესმის, რომ ავთანდილი ყოყმანობს. ერთი მხრივ, კეთილდღეობა, საყვარელი ქალი, დროს ტარება და კარიერა. მეორე მხრივ, ნახევრად შეშლილი მეგობარი, გაჭირვებული, უქონელი, მაგრამ თვით ავთანდილივით შეყვარებული. ძნელია, ძალიან ძნელი გადაწყვეტილების მიღება. რუსთაველიც ფიქრობს ამაზე და გვეუბნება:

გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი,
გული ჟამ-ჟამად ყოველთა ჭირთა მთმო, ღვინთა მდომელი;
გული ბრმა, ურჩი ხედვისა, თვით ვერას ვერ გამზომელი,
ვერცა ჰპატრონობს სიკვდილი, ვერც პატრონია რომელი!

ვერ წარმომიდგენია, რომ დედამიწის ზურგზე, რომელიმე ადამიანმა, თუნდაც ბრძენმა პოეტმა, ამ ოთხ სტრიქონში ჩაატოოს ამდენი რამ. კიდევ საკითხავია, ვინ გვეუბნება ყველაფერ ამას რუსთაველის პირით.

ავთანდილი მთელი ღამე თინათინის ნაჩუქარ მარგალიტს ეფერებოდა. დილით, როცა ის ის იყო ჩასთვლიმა, როსტევეანის მსახურმა დაუფრთხო ძილი და სანადიროდ მიიწვია. სასახ-
ლესთან მონადირეთა მთელი დასი იყო შეკრებილი. როსტევეანიც უკვე გამზადებულიყო. მე-
საყვირენი და მედოლეები მარეკებს უზმობდნენ. იყო გნასი, ძაღლების ყეფა და ალიაქოთი.

წარმატებით ინადირეს. მერე მუსიკოსებით იქეიფეს და კარგი დროც გაატარეს. ავთანდი-
ლი როსტევეანს არ მოშორებია გვერდიდან. საუბრობდნენ, ერთმანეთს ამბებს უყვებოდ-
ნენ. ავთანდილს ამ სამი წლის განმავლობაში იმდენი რამ ენახა, რომ მოსათხრობი არ
ელეოდა. იყო ტარიელის ხსენებაც. ბოლოს ავთანდილი როსტევეანს გამოემშვიდობა და
დასაძინებლად წავიდა, მაგრამ ისევ თავის დილემაზე ფიქრობდა. დიდხანს ვერ დაეძინა.
სული ეხლიჩებოდა ტარიელისათვის დადებულ ფიცსა და თინათინის სიყვარულს შორის.
ბოლოს დაასკვნა, რომ, თუ რაიმეს გინდა მიაღწიო ცხოვრებაში, დათმობაც უნდა შეგეძ-
ლოსო. ასე მსჯელობდა:

კვლა გულისა ეტყვის: დათმობა ჰგევანდეს სიბრძნისა წყაროთა.
არ დაუთმოთ, რა ვქმნათ, სევდასა, მითხარ, რა მოეუგეაროთა?
თუ ღმინი გვინდა ღმრთისაგან, ჭრნიცა შევიწყნაროთა.

აქ მარტო ავთანდილი არ ლაპარაკობს; ისევ რუსთაველი შემოგვატყუებს დიდ სიბ-
რძნეს, უბრალოდ და მარტივად თავისი პოემის ერთ-ერთი გმირის პირით.

მეორე დილით ავთანდილმა გადაწყვიტა როსტევეანისთვის ეცნობებინა თავისი გეგმა. პი-
რადად თქმას ვერ უბედავდა: – არ გამიწყურესო. მიადგა აუდიენციაზე მთავარ ვეზირს. ეს
უკანასკნელი ავთანდილის მოულოდნელმა ვიზიტმა გაახარა. სტუმარს შეეგება, საკად-
რისი პატივი მიაგო და დარბაზში შეიპატიჟა. დასხდნენ, მოიკითხეს ერთმანეთი და რო-
ცა მარტონი დარჩნენ, ავთანდილმა თავისი ხვაშიადი გაანდო. მოუყვა ტარიელზე, თავის
ახალ მეგობარზე, ასმათზე, რომელიც დასავით შეჰყვარებოდა, მეგობრობაზე, სიყვარულ-
ზე, ერთგულებასა და ურთიერთსამსახურზე. ბოლოს გამოუტყდა, ფიცი მაქვს მიცემული
და უნდა წავიდე, ტარიელს ვუშველოო. ფიცს ვერ გავტეხ და მინდა, როსტევეანმა გამიგოს
და მაპატიოსო. სთხოვა, როსტევეანთან მიშუამდგომლე და ასი ათას ლარს მოგცემო.

ქრთამის შეთავაზებაზე ვეზირს სიცილი აუტყდა: – როცა მაგ ამბავს როსტევეანს შევატ-
ყობინებ, თავს მომაჭრის და ეგ შენი ოქროები ოხრად დამრჩებაო. მერე, კიდეც, მეფემ
რომც გაგიშვას, ლაშქარი არ გაგიშვებსო. საერთოდ, რამ გადაგრია, სად მიდიხარო?
უშენოდ აქ მტრები აგვიკლებენ და გავუბედურდებითო.

ამაზე ავთანდილი ატირდა: – მე კი ვიცი, რომ არ ვიქცევი ისე, როგორც ჩემგან მოელიან,
მაგრამ აუცილებლად უნდა წავიდე, მეგობარი მელოდება. ფიცი მივეცი და ვერ ვუღალა-

ტებ. თუ როსტევეანი არ გამიშვებს, გაპარვა მომიწევსო. მოკლედ, შეეცადა დაერწმუნებინა ვეზირი, რომ როსტევეანისათვის ავთანდილის გამგზავრების ნებართვა გამოეთხოვა.

დიდი ყოყმანის მიუხედავად, ვეზირმა ბოლოს მაინც იკისრა როსტევეანთან შესვლა და ავთანდილის შუამდგომლობა. მეფე თავის დარბაზში იყო და გადატანილ ომებს იხსენებდა. ვეზირმა ჯერ ვერაფერი შეჰბედა და იქვე დადგა დაღონებული; არ უნდოდა მეფისათვის ხასიათის წახდენა. როსტევეანმა შეხედა და დაღონების მიზეზი გამოჰკითხა. ამანაც მოახსენა ავთანდილის დანაბარები. მეფე გაგულისდა, განრისხდა და ვეზირს შეუყვირა, ეტყობა გაგიჟებულხარ, მაგას რომ მაცნობებ! ჩემი სიკვდილი თუ გინდა, პირდაპირ მითხარიო. მოგხსნი ვეზირობიდან, თავს მოგკვეთ შე უმეცაროო! ეს როგორ მითხარი, ავთანდილი მიდისო! ბევრი იბობოქრა, მერე სტაცა სკამს ხელი და ესროლა ვეზირს. სკამი კედელს მიეხეთქა და დაიმტვრა. არსადაც არ ვუშვებ, ასე გადაეციო! ბეწვზე გადარჩენილი ვეზირი დარბაზიდან გაიძურწა და გზაზე ფიქრობდა, კაცი თავისი სისულელით საკუთარ თავს რომ დამართებს, იმისთანას მტერი ვერ უზამსო; ეს რამ გამაბრწყინა და რატომ დავთანხმდი ავთანდილსო.


ასე ანერვიულებული და ფერდაკარგული მიადგა თავის დარბაზს. ავთანდილი იქვე ელოდებოდა. გაწბილებულმა ვეზირმა მას მეფის რეაქცია აღუწერა და უთხრა: წელან რომ ქრთამს დამპირდი, მომეცი, ახლა დამჭირდებაო, თანაც მხარდაჭერა ითხოვა.

აქ კვლავ შევჩერდები და რუსთაველის ერთ სტრიქონს მოვიყვან, რომელიც ქართველისათვის მეტად სახასიათოა, თუმცა, არც სხვა ერებისათვის არის უცხო. რუსთაველი შექმნილ სიტუაციას შემდეგ კომენტარს უკეთებს:

ვინ არ მისცემს ქადებულსა, მოურავსა მოიმდურვებს,
თქმულა "ქრთამი საურავსა ჯოჯოხეთსცა დაიურვებს"

ამ ანდაზის თანამედროვე ვარიანტია: „ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო“. ის, რაც ამჟამად ჩვენ გვჭირს, არც რუსთაველის ეპოქაში ყოფილა უჩვეულო. ხანდახან მიკვირს, რატომ ვებრძვით მექრთამეობას, რომელიც ასე დამკვიდრებულია ჩვენში და ცხოვრების ორგანულ შემადგენლად გვევლინება სულ ცოტა ამ უკანასკნელი 800 წლის განმავლობაში.

არაბეთში დაბრუნება, 20X17 სმ, მუყაო, გუაში, კერძო კოლექცია, პარიზი



M.T. 2006.

მოკლედ, ვეზირი-კაცი წახდა, ტიროდა, თავში ხელს იცემდა, – ეს რა მივქარე, ხომ ვიცოდი, როსტევანს ეწყინებოდაო. მერე ავთანდილმა დაამშვიდა, – ახლა შენ რაც არ უნდა ინერვიულო, მე მაინც წავალ და მოდი, ჯობია, მშვიდად პური ვჭამოთ, შენ შენს ასი ათასს მოგცემ და დაგშორდეთ ერთმანეთსო. მე რომ ტარიელთან არ დავბრუნდე, ეწყინება. ველარც აქ გავეძლებ, როცა მეცოდინება, რომ ჩემი მეგობარი გასაჭირშია, მე კი განცხრომით ვცხოვრობ, როსტევანმა რომც არ გამიშვას, მაინც გავიპარებიო. ერთხანს ისაუბრეს, ისადილეს, ავთანდილმა იმ ასი ათასს კიდევ სხვა საჩუქრებიც მიაყოლა და ვეზირს დაემშვიდობა.

აქედან სპასპეტი ისევ თავის სასახლეში დაბრუნდა და შერმადინს გამოუძახა. იმას შესჩივლა, – როსტევანი არ მიშვებს, მაგრამ მაინც მივდივარო. აუხსნა სიტუაცია. ეუბნებოდა, თუ იმ საწყალ კაცს არ დავებმარე, ძალიან გაუჭირდება, მე კი აქ ასე ვერ გავჩერდებიო. ცოტა ფილოსოფიურ-სოციალური ცოდნაც მოიხმარა და საკუთარი საქციელი დაუსაბუთა: – მეგობრობას სამი ასპექტი აქვს. ჯერ ერთი, მეგობარი უნდა გენატრებოდეს და მის სიახლოვეს უნდა ესწრაფვოდეს. მეორე ის არის, რომ არაფერი უნდა დაგენანოს მეგობრისათვის მისაცემად და სასაჩუქროდ. და კიდევ, მზად უნდა იყო, ემსახურო და დაეხმარო. მოკლედ, ჩემი მეგობრის დასახმარებლად ვიპარები და ვერავინ შემაჩერებს, გადაწყვეტილება მიღებული მაქვსო. შენ მოგიწევს ისევ აქაური საქმეების გაძღოლა და მეც არ დაგრჩები ვალშიო.

ამაზე შერმადინმა მორთო ვაი და ვიში: – მეც წამოგყვები, დაგეხმარები და მხარში დაგიდგები, აქ უშენოდ ძალიან გამიჭირდებაო. ავთანდილმა დააშოშმინა, – შენს ერთგულებაში და ვაჟკაცობაში ეჭვი არ მეპარება, მაგრამ შენ აქ უფრო საჭირო ხარ, ვიდრე იქო. სხვას ვერავის მივანდობ ჩემს საქმეებსა და სახლ-კარს. მთავარია, მტერი არ გაახარო, ყველაფერს ისევე მოუარო, როგორც უვლიდი და ჩემი ერთგულება გქონდესო. მე რომ მიყურებ, მე ის კაცი არა ვარ, სიბერეს რომ ელოდება, მირჩევნია, რაც ამ ქვეყანაზე გასაკეთებელი მაქვს, ვიდრე ძალა შემწევს, მანამ გავაკეთო. არც სიკვდილისა მეშინია და თუ დავიღუპე, თავს ნუ მოიკლავ, კაცურად დამიტირო. როსტევანისათვის წერილს დაგიტოვებ და მე როცა წავალ, გადაეცი, ავთანდილის ანდერძი არის თქო. ამაზე შეთანხმდნენ.

ვეფხისტყაოსნის მომდევნო ოცი სტროფი სკოლაში ზეპირად მასწავლეს. მაშინ ვერ ვხვდებოდი, თუ რა საჭირო იყო ამ რთული, თექვსმეტმარცვლიანი ლექსით დაწერილი ტექსტის დაზეპირება. შემდეგი ორმოცი წლის განმავლობაში აღმოვაჩინე, რომ ეს თავი მართლაც დასაზეპირებელია და იგი, ყველამ, უკლებლივ ყველა ქართველმა, ზეპირად თუ არა, თხრობით მაინც უნდა იცოდეს და საკუთარი ცხოვრების დირექტივად გაიხადოს. ეს იმიტომ, რომ გავბედავ და ვიტყვი: ქართულ ლიტერატურაში ამ სტრიქონების შესადარი არაფერი შექმნილა. ავთანდილის ან-

დერძის ღირსება არა მარტო მისი პოეტური მხარეა, რომელიც რუსთაველთან თანაბრად ძლიერია მთელს პოემაში, არამედ არსობრივი. ის, რაც ითქმება ამ ოციოდ სტროფში, დაამშვენებდა მსოფლიოს ნებისმიერ ლიტერატურას. მე, პოემის ამ მონაკვეთზე სასიამოვნო და მეტად საოცარი გზა მელის: თითქოს მდინარე უნდა გადავლახო და ფეხი არ დავისველო, – ქვიდან ქვაზე უნდა გადავაბიჯო, მაგრამ აქ, ჩვეულებრივი ფონისაგან განსხვავებით, ერთი ლიტერატურული ძვირფასი ქვამარგალიტიდან მეორეზე უნდა გადავხტე და ასე გავიკვლო გზა.

მივყვით თხრობას.

როსტევეანთან დათხოვნისა და შერმადინის ინსტრუქტაჟის შემდგომ, როცა ავთანდილმა ანდერძის დასაწერად მოიცალა, ქალღიმილი მოატანინა, კალამი სამელნეში ჩააწო და დაფიქრდა. მერე წერა დაიწყო. როსტევეანს სწერდა, მაგრამ ალბათ თინათინსაც გულისხმობდა. ჯერ შენდობას ითხოვდა გაპარვისათვის, მერე დალოცვას და გაგებას. მერე რამდენიმე ფილოსოფიურ მოსაზრებას გამოთქვამდა, რომ საკუთარი საქციელი, ასე თუ ისე, გაემართლებინა. აი, რა აზრებს გვაწვდის ავთანდილი თავის წერილში, რომელიც, ფაქტობრივად, მისი ანდერძია.

თავიდან, თითქოს მეცნიერული ნაშრომების წესს მისდევსო, კლასიკას მოიხმობს მოწმედ და წერს, რომ დიდ პლატონს ნათქვამი აქვს, სიცრუე და ორპირობა ჯერ ხორცს ვნებს, მერე კი სულსო. ეს სენტენცია, პლატონთან, ამ სახით ვერსად აღმოვაჩინე, მაგრამ მას პლატონის დამოწმება სულაც არ სჭირდება: იგი იმდენად კარგი, მართალი და ლამაზია, რომ მე მის ავტორობას რუსთაველს უფრო ვარგუნებდი, ვიდრე დიდ ბერძენს. რასაკვირველია, რუსთაველმა პლატონის იდეები ზედმიწევნით იცოდა, მაგრამ, მგონი, აქ მხოლოდ მის ავტორიტეტს იყენებს, რომ საკუთარი სიბრძნე გამოთქვას. ამის მერე ავთანდილი გადადის რელიგიურ დასაბუთებაზე; მოციქულებს იმეორებს და ასკვნის, რომ მათი ცნობით, სიყვარული აგვამალლებსო. ღმერთი რომ სიყვარულია, იმთავითვეა ცნობილი, მაგრამ აქ აღტაცებას იწვევს რუსთაველის მიერ ამ შეგონების ორგანული ინტეგრაცია პოემის ტექსტში. ვითომც არაფერი, ავთანდილი, უაღრესად რთულ, მართლაც რომ ფილოსოფიურად დახლართულ თემას ეხება და მის უბრალო, საყოფაცხოვრებო ინსტრუმენტალიზაციას ახდენს. ეს ჯერ არაფერი, მთავარი წინაა.

შემდეგი ტექსტი ავთანდილის მიერ ღვთის გაგება და ღვთიური ძალის ინტერპრეტაციაა. ლამის ყოველი სიტყვაა ცალკე ანალიზის ღირსი. ამას მე ვერ ვითავებ და შევეცდები მხოლოდ ის მოვყვე, რაც, რამდენადმე ახლობელია ჩემთვის. პირველი და უმნიშვნელოვანესია ავთანდილის შემდეგი გამონათქვამი:

ვინ დაძაბდა, შექლებაცა მანვე მომცა ძლევად მტერთან, ...

ამას ვერაფერს დაუმატებ: ღმერთი აჩენს ადამიანს და იმის ძალასაც აძლევს, რომ აღასრულოს თავის მისია, მერე:

რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების, ...

ამას აგვირგვინებს კიდევ ერთი შეგონება:

არას გარგებს სიმძიმელი, უსარგებლო ცრემლთა დენა;
არ გარდავა გარდუგალად მომავალი საქმე ზენა; . . .

ფუჭიაო ტირილი და ვაება, რაც მოსახდენია, მოხდება, თუ ზენაარსს სურსო.

მერე კიდევ უფრო ჭკვიანური აზრები მოდის, რომლებიც მორალურ კრედოს ჰქმნის.

წესი არის მამაცისა, შეჭირვება, ჭირთა თმენა,
არვის ძალუც ხორციელსა განგებისა გარდავლენა.

ფატალიზმი, უკიდევანო ფატალიზმი. ღვთის რწმენა. საკუთარი დანიშნულების გაგება კოსმოსური აუცილებლობიდან გამომდინარე. ბედნიერნი ვიქნებოდით, რომ ღვთისა ნამდვილად გეწამდეს. ავთანდილი კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვან მსოფლმხედველობრივ ფრაზას ამბობს, მერე კი თავის კრედოს აყალიბებს:

არ დავიწყება მოყვრისა აროდეს გვიზამს ზიანსა;
ვჭგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და დალატიანსა!

მაჩვენეთ ერთი ადამიანი მაინც, ამ სიტყვებს რომ არ დაეთანხმოს. არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც. აი, აქ ჩანს რუსთაველის ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.

გადავბტი შემდეგ მარგალიტზე.

ეს არის მორალური შეგონება, რომელიც ქართველებმა, სამწუხაროდ, ვერ განახორციელეს. თუ მამტყუნებთ და ჩემი არ გჯერათ? გადით გარეთ და მიმოიხედეთ.

კაცი, ჯვახანი რითა სჯობს ღიაცსა, ქსლისა მბეჭველსა?
სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა!

ყველაფერი მიდის და მოდის, ქონება შეიძინება და იკარგება, ფული, თანამდებობა, სიმდიდრე... ადრე თუ გვიან ყველა მოვკვდებით. ერთი რამ რჩება, სახელი და ავტორიტეტი.

ამის შემდეგ ანდერძის ავტორი კიდევ უფრო გადასარეგ აზრს უზიარებს როსტე-
ვანს. მე უკვე ვეჭვობ, რომ ავთანდილი თვით ავტორის პროტოტიპია; ასეთი და-
დებითი პიროვნება ძნელია იყო. თუმცა, ჩვენ ვიცით, რომ რუსთაველი ხშირად
გვესაუბრება თავისი პერსონაჟების პირით. აი, თუნდაც ასე:

ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;
მისგან ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალ-გულოვანი;
ბოლოდ შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი.
სჯობს სიცოცხლესა ნაზრანსა სიკვდილი სახელოვანი!

არ ვიცი, ავხსნა თუ არა, რატომ არის ეს ტაეპი შედეგრთა შედეგრი. თუ ვინმე იგი
ვერ გაიგო, ვერასოდეს გაიგებს და ვინც გაიგო, უთუოდ ბედნიერი იქნება. ცოტას
მანც ვიტყვი. თავიდან ისევ ის იდეოლოგიაა, ზემოთ რომ ვახსენე: ფატალურია
ქვეყანა. მერე ეს გადადის სრულიად ახალ რაკურსში, საიდანაც ავტორი გვეუბ-
ნება, რომ დასასრული ყველა ადამიანისათვის ერთია, სხეულებრივ ყველა მიწაში
მოვხვდებით და აქედან ერთადერთ სწორ დასკვნას აკეთებს: სახელოვანი სიკვდილი
სჯობს უაზრო, უქმ და შეგინებულ ცხოვრებასო.

მერე მოდის რუსთაველის მემენტო მორი:

ცთების და ცთების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად;
მოვა შემყრელი ყოველთა ერთგან დღისა და ღამისად, . . .

ამის მერე ავთანდილი შეწყალებას სთხოვს მეფეს და ანდერძად უბარებს, რომ, თუ-
კი თვითონ აღარ დაბრუნდა, მისი ქონება ღარიბსა და ობოლს დაურიგონ, ხოლო
მისი მონა-მსახურნი კი გაათავისუფლონ. თუ ვინმე ამ ფრაზის გამო, —

მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები,

— ავთანდილის მიღებას აპირებს კომპარტიის წევრად, ძალიან ცდება: ავთანდილი
მსხვილი მებატონეა, ქონებაც ბევრი აქვს და ყმებიც საკმაოდ ჰყავს. იგი აქ ანდერ-
ძად იბარებს, რომ ქონება გასცენ და ყმები გაათავისუფლონ, რათა მათ, დალუპუ-
ლი ავთანდილისადმი მაღლიერების გრძნობა აღეძრათ:

მიღვწიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები.

გარდა ამისა, იგი ანდერძში ქვეყნისათვის მზრუნველობასაც გვიჩვენებს და როსტევანს
თხოვს, ნაანდერძევი ქონების ნაწილი უშურველად მოახმაროს სასტუმროებისა და ხიდე-
ბის მშენებლობას.

თავისი ანდერძი ავთანდილმა იმით დაამთავრა, რომ მეფეს შერმადინისადმი ლმობიერი მოპყრობა სთხოვა, კიდევ ერთხელ დაამშვიდა და მოუბოდიშა.

ბოლოს ქალაქს მელანი შეაშრო, შერმადინს გამოუძახა და დაავალა ანდერძი როსტევანისათვის მიერთმია. ვიდრე დაშორდებოდნენ, ძმებივით გადაეხვივნენ ერთმანეთს. მერე ილოცა. ღმერთს შესთხოვდა, რომ შესწეოდა იმ რთულ საქმეში, რომელიც დასახული ჰქონდა და ძალა მიეცა, დაეთმო საკუთარი ნდომა-სურვილი, რათა აღესრულებინა მიზანი. მერე ევედრებოდა, რომ მისთვისა და თინათინისათვის შეენარჩუნებინა მათი სიყვარული ამ განშორების ჟამს. ავთანდილის ლოცვაში კიდევ ერთხელ ჩანს ღვთისადმი მისი დამოკიდებულება. მისი სიტყვებით ეს ღმერთი განაგებს ხმელეთსა და ზეცას, არის უთქმელი და უცნაური. არის მოწყალე, მძლავრი, იცის ყოველი გულისთქმა და განუყოფელი ბატონია სამყაროსი. მას ესმის ლოცვა-ვედრებისა და იღებს შეწირულ მსხვერპლს. იგი ადამიანს ხან წყალობს და ხან – არა. ალბათ, ეს ის ღმერთია, რომლისაც სწამს თვით რომანის ავტორსაც. ლოცვას როცა მორჩა, ცხენი შეაკაზმვინა, თვალცრემლიან შერმადინს გამოემშვიდობა და გზას დაადგა ტარიელის ქვაბულისკენ.

ახლა, მოდით, რუსთაველთან ერთად ვნახოთ, რასა იქმს როსტევან მეფე. წინა საღამოს გაბრაზებულს აღარ ექეიფა და დილასაც უგუნებოდ იყო, თუმცა ვეღარ იხსენებდა, რამ გააბრაზა. ვეზირი მოაყვანინა. გუშინდელის მერე ეს უკანასკნელი დამფრთხალი იყო; რიდიოთა და მოწიწებით მიეხსლა მეფეს. როსტევანმა უთხრა, – აღარ მახსოვს, გუშინ რისთვის განგირისხდი და შემახსენეო. ვეზირმა ისევ მოუთხრო ავთანდილის დანაბარები მეფეს. როსტევანი კვლავ გაცოფდა; – რას რომავ, ეგ საიდან მოიტანე? შენ თუ ამის მერე ნორმალური ხარ, მე მაშინ არაბთა მეფე კი არა, ებრაელთა კანონმდებელი ლევი უნდა ვიყო! მეტს ნურაფერს მეტყვი, წადი, მომიძებნე ავთანდილიო. ვეზირი გაიძურწა და ავთანდილის საძებნელად გაემართა. ვერსად იპოვნა. ბოლოს მსახურებმა შეატყობინეს, – გაპარულაო. ამაზე, ვეზირი კიდევ უფრო შეშინდა, ვისაც გინდათ, იმან მოახსენეთ როსტევანს ეს ამბავი; მე ჩემი მეყოფაო და მეფესთან აღარ შებრუნებულა.

როცა ვეზირი კარგა ხანს არ მობრუნდა, მეფემ სხვები გაუშვა საძებნელად, მაგრამ ისინიც აღარ მოსულან უკან; ყველას ეშინოდა როსტევანის რისხვისა. ბოლოს მიხვდა როსტევანი, რომ ავთანდილი მართლაც გაპარულიყო და კიდევ უფრო შეწუხდა. ისევ მოაყვანინა ვეზირი, მოუსმინა მის მონაყოლს და ცრემლი მოერია. ავთანდილს მისტიროდა, თან ხმამაღლა ნატრულობდა მასთან ერთად გატარებულ დროს, ნადიმებს, ნადირობას, საუბრებს; – როდის გნახავ ისევო?

აქ, რუსთაველი, როსტევანის პირით კიდევ ერთ სიბრძნეს გვეტყვის:

თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარბად არ იხსენები.

მარტივად, მოკლედ, ლამაზად. ამით როსტევეანი ავთანდილს მისტირის; – შენ არ გაგიჭირდება, მე რა ვქნა? შიმშილი ვერ მოგკლავს, ისე კარგად ფლობ იარაღს და არც შენი სხვაგზის დალუპვის მეშინია, ყოჩალი ხარ, მაგრამ, მე რომ მოგვედევ, ვინ უნდა დამითიროს, შენ, ჩემი გამოზრდილი, აქ თუ არ იქენიო. მოკლედ, გამოიგლოვა გაპარული ავთანდილი.

მერე დაიბარა დიდებულები და მათ აცნობა ეს ამბავი. სპასპეტი მათაც ძალიან უყვარდათ. ატყდა ვაი-ვიში და გლოვა; – რა ვაწყენინეთ, ასე რომ მიგვატოვაო? მეფემ, როცა ოდნავ დამშვიდდა, ბრძანა, გამირკვიეთ, მარტო წავიდა თუ ვინმე გაიყოლიაო? წარუდგინეს შიშით მოცახცახე შერმადინი როსტევეანს. იმანაც გადასცა ავთანდილის დაწერილი ანდერძი მეფეს. როსტევეანი გაეცნო ანდერძს, კიდევ უფრო აღელდა და ქვეყანაში საყოველთაო გლოვა გამოაცხადა.

ავთანდილი უკვე გზას ადგა. მარტო მიაჭენებდა ცხენს. ახლა უკვე იცოდა, სად ეძებნა ვეფხისტყაოსანი და იმდენი დრო აღარ დაჭირვებია, როგორც წინა შეხვედრისას. მგზავრობისას სულ თინათინი ედგა თვალწინ. ხან ფიქრებში ესაუბრებოდა თავის სატრფოს, ხანაც ხმამაღლა. დღისით არ ჩერდებოდა. საღამომობით სადმე ქურციკს მოინადირებდა, დანაყრდებოდა და ცდილობდა დაეძინა. მთვარე იყო მისი მესაიდუმლე, ისევე როგორც ნებისმიერი შეყვარებულისა. მას ავედრებდა თავის სიყვარულს და ცაზე ვარსკვლავების გამოჩენა უხაროდა, – ჩემი თინათინივით მშვენიერნი არიანო. დღისით მზეს, როგორც ღვთის ხატს, შესთხოვდა, დაეფარა და შეენარჩუნებინა მათი სიყვარული ხელახლა შეყრამდე. მდინარეს თუ მიადგებოდა, კაეშანი ერეოდა, – მე და ჩემი სატრფო ამ ნაკადივით ვღვრით ცრემლსო.

ცოტა იარა თუ ბევრი იარა, ტარიელის გამოქვაბულს მიადგა. გახარებული ასმათი გამოეგება. ერთმანეთს დაძმასავით გადაეხვივნენ და ავთანდილმა ტარიელი მოიკითხა. ქალი ატირდა, – შენ რომ გაემგზავრე, ისიც მალე წავიდა და მის შემდეგ აღარ გამოჩენილაო. ავთანდილი განაწყენდა, – ეს რა კაცი ყოფილა ეგ ტარიელი?! ფიცი ხომ მივეციოთ ერთმანეთს და რად არ მომიცადა? მაგას რა ჰგონია, მე საქმე არაფერი მქონდა სახლში? გასართობად ხომ არ მოვსულვარ, აკი დავუფიცე, რომ დავეხმარებიო!

ასმათს ცოტა ეწყინა მისი პატრონის ამგვარი გაკრიტიკება და თავის პასუხში მოულოდნელად ისეთი ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური ცოდნა და მჭევრმეტყველება გამოამჟღავნა, რომ ავთანდილი პასუხით, ცოტა არ იყოს, დაიბნა კიდევ. აი, რა უთხრა ასმათმა ავთანდილს ტარიელის გასამართლებლად: ადამიანის ფსიქიკის სამი ნაწილი, – ემოციური, ცნობიერი და განსჯითი – ერთმანეთთან – მყარად არის დაკავშირებული, თუმცა, გადაწყვეტილების მიღებისას ემოციური ნაწილი დომინირებს. ვინც ემოციურად ჩლუნგია, მას სოციუმი უარყოფს. შენც ხომ იცი, ეს ჩვენი ტარიელი რა ემოციური ვინმეა და რატომ გწყინს; ხომ გაიგონე, რასაც მოგიყვა და ამგვარი ამბების გადამტანი საერთოდ როგორ

არის ცოცხალი? ბოლოს და ბოლოს, შენ თვითონ არ წახვედი პირველიო? თუმცა რას გიხსნი, სხვა სხვის ომში ბრძენიაო. . . როცა მიდიოდა, ვკითხე, ავთანდილი რომ მოვიდეს, რა ვუთხრა მეთქი და მიპასუხა, აქვე ახლო-მახლო დავრჩები და ან მკვდარი მიპოვნოს ან ცოცხალიო. ასე რომ, ჩემო ავთანდილ, ერთი რუსთველური ჩინური ანდაზისა არ იყოს, – ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

ჰო და, წადი ახლა, მოძებნე შენი მოყვარე ტარიელი, აქვე იქნება სადმე სიახლოვეშიო.

ახლა ავთანდილი მოყვა თავის მართლებას: – შენ ხომ არ იცი, აქეთ როგორ მოვისწრაფოდი? შინაც უამრავი საქმე მქონდა, საყვარელი ხალხი მივატოვე და იმდენ ვინმეს ვაწყენინე, რომ არ ვიცი, უკან რა პირით დავბრუნდებიო. მოკლედ, ცოტა იწუწუნა და ბოლოს მაინც დათანხმდა ასმათს: – კარგი, ეტყობა ღმერთს ასე უნდა, წავალ მოვძებნი, იქნებ სადმე ვიპოვნო.

წავიდა ავთანდილი, მაგრამ გულში სიბრაზის ცეცხლი დიდხანს ენთო. ეს რა ჭირში ჩავარდიო, – ფიქრობდა. ღმერთო, ასეთი რა დაგიშავე, რომ საყვარელ ადამიანებს, ახლობლებს გამყარე და ამ ბედში ჩამაგდე? ამხელა მსხვერპლი გავიღე, რომ ფიცი არ გამეტეხა და ეს კიდევ სადღაც წასულაო. ბევრი ივაგლახა და ბოლოს ისევ დაასკვნა, – თავში ხელის ცემა და დაბოღმვა არაფერს მომცემს, იქნებ მართლა სადმე ვიპოვნო ტარიელიო.

სამი დღე ეძება. უძახდა, უყვიროდა, აქეთ შამბნარი გადაჩხრიკა, იქეთ ველები მოიარა, ტყეშიც იყო და ხევშიც, მაგრამ ტარიელს ვერსად მიაგნო. ბოლოს დაიღალა და სასოწარკვეთილმა, ისევ უსაყვედურა ღმერთს: – ასეთი რა დავაშავე, ამ ბედს რომ შემყარე, თუ ჩემი სიკვდილი გინდა, აქვე მომკალი, არ მეშინიაო!

ასე, ჩივილით გადაიარა ქედი და ფართო ველზე გავიდა. მოშორებით, შამბნარის პირას, რაღაც შავ ლაქას მოჰკრა თვალი და მიუახლოვდა. შავი ბედაური აღმოჩნდა, ლაგამგადაკიდებული ძოვდა. – ეს ხომ ტარიელის ცხენიაო, – უცებ გაჰკრა გულში. – ვეფხისტყაოსანიც აქვე იქნება სადმეო.

გახარებული ჩამოქვეითდა და ტარიელიც იპოვა. ვეფხისტყაოსანს თავი გადახლეჩილი ჰქონდა, ხალათის საყელო – გადახეული და სახეზე ფერი აღარ ედო. გაცეცხლებული იჯდა მოკლულ ძუ ლომსა და ვეფხვს შორის, რაღაცას გაჰკიოდა და ცრემლსა ღვრიდა. იქვე, ჯერ კიდევ სისხლიანი ხმალი ეგდო. ეცა ავთანდილი და შეეცადა აზრზე მოეყვანა, მაგრამ ტარიელს არა ესმოდა რა. შეანჯღრია, შეუძახა, მოეფერა, დაუყვავა, მაგრამ თავიდან ვერაფერს მიაღწია. ბოლოს, როგორც იქნა, გამოიხედა ტარიელმა, იცნო ავთანდილი და შეჰღალადა, – არ გამიტეხავს ჩვენი ფიცი, გელოდი და ახლა, ხომ ხედავ,

სიკვდილის პირას ვდგავარ და ერთსა გთხოვ, ადამიანურად დამასაფლავე, ველში მხეცების საძიძვნად ნუ გადამაქცევო.

ავთანდილი ამ სიტყვებმა ძალზე გააღიზიანა, – შე კაი კაცო, რა თავს იკლავ, შეყვარებული ვინ არ ყოფილა და შენ რა დაგემართა?! თავის მოკვლა რას გიშველის, ჭირს, პირიქით, ქვეთკირის კედელივით უნდა გაუმაგრდე და დაძლიო! რა არის, ამ მხეცებს რომ დასდევ მინდორში, ამით რას მიაღწევ? შენი სიკვდილით ვის რა მოემატება, ეს ჯანმრთელი კაცი, რატომ იავადმყოფებ თავს? შენც ხომ იცი, რომ ძნელი საქმე მართივად არ კეთდება, შენ რომ ქალი გინდა, იმის მოსაპოვებლად სიძნელის გადალახვაც უნდა შეძლო, აბა, ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია? ადვილი მოსაპოვებელი ქალი შენც არ გინდა, ხომ გახსოვს, ვარდმა რომ თქვა, ეკალი იმიტომ მასხია, რომ ძნელად მომიპოვონ, ტურფა თუ გაიაფდა, ჩირად არ ღირსო! კარგი ახლა, დამშვიდდი, დამიჯერე, წამომყევი და ყველაფერზე მოვილაპარაკოთ, როგორ გადავწყვიტოთ შენი პრობლემაო.

ამ შეგონებითმა საუბარმა ტარიელზე ვერ იმოქმედა. ისე იყო გონებაარეული, რომ ავთანდილს კვლავ დაუწყო ხვეწნა, – თუ ძმა ხარ, თავი დამანებე, მე მალე უნდა მოვკვდე და, ალბათ, ოდესმე იმ ქვეყნად შევეყრები ჩემს შეყვარებულსო.

ავთანდილმა გადაწყვიტა ეშმაკობა ეხმარა, რადგან მიხვდა, რომ ასე საუბრით და შეგონებებით ტარიელს ვერ დაარწმუნებდა. – კარგი, ეგრე იყოს, თუ სიკვდილი გინდა, მოკვდიო, – უთხრა. აღარ დაგიწყებ ხვეწნას, მაგრამ ვიდრე წავიდოდე, ძმურად გთხოვ, ერთი სურვილი ამისრულეო. აქეთ რომ წამოვედი, მეფეც დავიმდურე და სხვა დიდებულებიც; არ უნდოდათ ჩემი გამოშვება. ახლა, ამხელა გზა გამოვიარე, ამდენ ფათერაკს ავცდი და ნუ გამიშვებ უკან გულმოკლულს, შენი ჯირითის უნახავს; ერთხელ შეჯექი ცხენზე, კარგად შემოგხედო და ასე დაგიმახსოვროო. ტარიელი ერთხანს ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს უთხრა, – კარგი, მომიყვანე ცხენიო. ავთანდილი მიენმარა ცხენზე შეჯდომაში და მერე ორივე ჩორით გაჰყვა ველს.

ცოტა ხანში, ავთანდილმა შეატყო, რომ ტარიელს ცხენზე ჯდომა მოუხდა; დალაგებულად დაიწყო ლაპარაკი და ფერზეც მოვიდა. ასე საუბრით მიდიოდნენ, ხან რას იგონებდნენ, ხან რას. ავთანდილი შეეკითხა, – ეგ სამხრე, შენმა შეყვარებულმა რომ გაჩუქა, გიყვარსო? — მიყვარს კი არა, თუ სული მიდგას, ამის გამოა, – უპასუხა ტარიელმა. ეს სამხრე დედამიწის ზურგზე ყველაფერს მირჩვენიაო. ავთანდილსაც ეს უნდოდა მოესმინა; – თუ მართლა ასეა, მაშინ ასმათი რაღაში გჭირდება, ეგ სამხრე გეყოფაო! და თუ ეს ასე არ არის, ასმათს თუ მართლა პატივს სცემ და დაძმობა გაქვს შეფიცული, რატომ არ უწევ ანგარიშს, გამოქვაბულში მარტო რომ მიატოვე და დღე და ღამე შენი დარდით ტირისო? შენ რომ თავი მოიკლა, იმან რა უნდა ქნასო? ტარიელი შეცბა; –



მართალი ხარ, მივიდეთ, ასმათს დავხედოთ, ცოდოაო. მე ჯერ ბოლომდე ვერ მოვსულვარ გონს, მაგრამ მივხვდი, რაც მითხარო.

რუსთაველი სიყვარულით შესცქერის ორ მხედარს, დინჯად რომ მიაჭენებენ ცხენებს გამოქვაბულისკენ და ალტაცებულია ავთანდილის ენამჭევრობით. იგი აქებს სპასპეტს და ასკვნის:

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარო.

წესით, ეს ფრაზა დეილ კარნეგის ქართულ გამოცემას უნდა წავუძღვაროთ და ზოგ ჩვენს პოლიტიკოსს ზეპირად ვასწავლოთ.

გზაზე საუბარი გააგრძელეს. ავთანდილი ისევ ცდილობდა აეხსნა ტარიელისათვის მისი საქციელის უაზრობა. ეუბნებოდა, – განგების გარეშე ადამიანი არ კვდება და არაფერს გარგებს ეს განცდები და გადარევაო. ამაზე ტარიელი ჯიუტობდა და ისევ თავისას ამტკიცებდა: – კი, მართალი ხარ, სწორად მასწავლი, მაგრამ მასწავლებელი გონიერს უყვარს, უგუნურს კი – არა. მე ისე ვარ გაგიჟებული, ისეთი ამბები მაქვს გადატანილი, რომ ეგ დარიგება ველარაფერს მიშველისო.

ამ ბაასში ტარიელი ავთანდილს მის მიერ ბოლოჟამს გადატანილ ამბებს მოუყვა: – შენ რომ გაემგზავრე, ერთხანს გამოქვაბულში გელოდი, მაგრამ ველარ გავძელი, ცხენზე შეჯდომა მომენატრა და აი, ის ქედი და ეს ველი გადმოვიარე, შამბს მივადექი, იქ კი საოცარი სურათის მოწმე გაეხდი. ლომი და ვეფხვი ესიყვარულებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ მოულოდნელად ბრძოლა დაიწყო. ჯერ თითქოს თამაშობდნენ, მაგრამ მერე გაცხარდნენ და სერიოზულად გადავიდნენ კბენა-დატორვაზე. მათი ალერსის შემყურეს ჩემი დარდი მომაგონდა და სატრფო დამიდგა თვალწინ. მერე, როცა ლომი ვეფხვს გაეკიდა, გავბრაზდი; ხმალამოლებით მივეჭერი და მოვკალი. ასე ხომ არ შეიძლება, შენი შეყვარებული სასიკვდილოდ გაიმეტო, ეგ რა ვაჟკაცობა და ლომის საქციელია?!

ლომი რომ მოვკალი, მერე ვეფხვს ვეცი და, ისე მქონდა გონება არეული, რომ მისი გადაკოცნა დავაპირე, – ჩემს სატრფოს მივამსგავსე. რასაკვირველია, ვეფხვი ვერ მიმიხვდა, ღრენა დამიწყო და ბრჭყალი დამისვა. ვერაფრით დავამშვიდე, იძულებული გაეხდი, ისიც მომეკლა. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს ნესტან-დარეჯანს დავკარი ხმალი. შენ კიდევ გიკვირს, ასე გონებარეული რომ ვარ და სიკვდილი მინდა.

ვეფხვი, 18X15 სმ, ქალაღი, აკვარელი, კერძო კოლექცია, პარიზი





ტარიელი და ვეფხვი, 22X26 სმ, მუყაო, გუაში, მხატვრის ოჯახის კოლექცია

ავთანდილმა ისევ დაარიგა მეგობარი: – ღმერთის ნება რომ არ ყოფილიყო, შენ და შენი სატრფო ერთმანეთს საერთოდ არ შეხვდებოდით, ეტყობა, ასეა საჭირო. ცოტაც გაიჭირვე და ისევ ღვთის ნებით, შენსას მიაღწევ, შეყვარებულთან ეს დაშორება და წვალება ეტყობა იმისათვის გარგუნა ღმერთმა, რომ რაღაც გამოცდილება მიიღო და დაბრძენდეთ.

ბოლოს მიაღწიეს გამოქვაბულს. აქ, მათ, ასმათი გამოეგება ტირილითა და ლოცვით; ღმერთს მადლობას სწირავდა ტარიელის გადარჩენა-დაბრუნებისათვის. მიესალმნენ და გადაეხვივნენ ერთმანეთს. ტარიელმა თბილად მოიკითხა ასმათი და ისევ შესწუწუნა; – ცუდ დღეში ვარო. ამის შემხედვარე ავთანდილსაც მოაგონდა თავისი შეყვარებული და ახლა ამან გადმოღვარა ცრემლი და დაიჩვილა. თუმცა, ბოლოს ორივე ვაჟკაცმა გადაწყვიტა, ტირილი და ვაება არაფერს გვარგებს, მოვითმინოთ და მედგრად ვიყოთო და სამივე გამოქვაბულში შევიდა.

მარცხენა გვერდი
ტარიელი და ვეფხვი, 63X49 სმ, ქაღალდი, აკვარელი, კერძო კოლექცია, პარიზი

ასმათმა კაცებს ვეფხვის ტყავები გაუშალა. დასხდნენ, მწვადი შეწვეს და საუბარი გააგრძელეს. ტარიელი ისევ უიმედოდ და უმადოდ იყო, ცოტას მოციცქნიდა და დანარჩენს აგდებდა. ავთანდილმა კი ისევ გამოამჟღავნა ფსიქოლოგიის ღრმა ცოდნა; ალაპარაკა ტარიელი თავის პრობლემებზე და ყურადღებით უსმენდა. შიგადაშიგ თუ ჩაურთავდა სიტყვას, რათა თვითონაც მოეთხრო თავისი გასაჭირი.

აქ, რუსთაველი ფსიქოთერაპიის დაფუძნებამდე შვიდასორმოცდაათი წლით ადრე ამბობს:

დიდი ღხინია ჭირთა თქმა, თუ კაცსა მოუხდებოდეს.

განსხვავება ისაა, რომ ჩვენ, ეს უკვე მეცნიერულად ვიცით, დიდმა შოთა რუსთაველმა კი, ალბათ, გამოცდილებით შეიძინა.

მეგობრები გვიან ღამემდე საუბრობდნენ და იქვე დაიძინეს. როცა გათენდა, გააგრძელეს ბაასი და დადებული ფიციც გაიხსენეს. ტარიელმა ავთანდილს უთხრა: – შენ რაც ჩემთვის გააკეთე, ვიდრე ცოცხალი ვიქნები, არ დამავიწყდება, ვაჟკაცურად შეასრულე დადებული ფიცი და ჩემთან დაბრუნდი. ახლა, შენ შენი შეყვარებული გელოდება და მე მაინც მეტს ველარაფერს მიშველი, ამიტომ წადი, დაბრუნდი შენიანებთან. მე თუ გადასარჩენი ვარ, გადავრჩები, თუ არა და მაღალი ღმერთი, რაც უნდა, იმას დამმართებსო.

ტარიელის ამ სიტყვებმა ავთანდილი, ცოტა არ იყოს, გააბრაზა. – მაგას როგორ მეუბნები? გუშინ მთელი დღე იმას გიხსნიდი, რომ, მართალია, ყველაფერი ღვთის ნებაა, მაგრამ შენც უნდა გაანძრო ხელი და შენი შეყვარებული მოიპოვო. მე აქ მარტო შენს სანახავად კი არა, შენს საშველად ჩამოვედი, რომ სატრფო მოგაძებნინო. როცა მოვდიოდი, ჩემს შეყვარებულს დავპირდი, რომ დაგეხმარებოდი და ახლა ასე დავბრუნდე უკან? რა უნდა მოვყვე ჩასულმა, – რომ გნახე, პური ვჭამეთ და უკან გავბრუნდი? არა, ძმაო, ესე არაფერი გამოგვივა და ახლა კარგად მომიხმინე. მე ხვალ დილით დავიძრები შენი საქმის მოსაგვარებლად. ჯერ არ ვიცი, რას მოვიმოქმედებ, მაგრამ ეჭვი არ გქონდეს, რომ ძალიან მოვიწოდებ. ერთი წლის მერე შევხვდეთ ერთმანეთს აქ, ამ გამოქვაბულში. ამ დროის განმავლობაში გინდა იხეტიალე, გინდა თავი გაიგიჟე, გინდა იტირე და გინდა იფიქრე; მთავარია, ცოცხალი დამხვდი, როცა დავბრუნდები. თუ ერთ წელიწადს გადავაცილე, მაშინ, დავლუპულვარ და აღარ გქონდეს ჩემი იმედი. მეც არ ვიცი, ზეცა რას დამმართებს, ყველანი ღვთის შვილები ვართო.



ტარიელი და ვეფხვი, 50X100 სმ, ტილო, ზეთი, მხატვრის ოჯახის კოლექცია

ტარიელი და ვეფხვი, 60X100 სმ, ტილო, ზეთი, მხატვრის ოჯახის კოლექცია



ტარიელმა ყურადღებით მოუსმინა ავთანდილს და უპასუხა: — მე მაინც ვერ ვაგვარებ ამ ჩემს პრობლემას და მნიშვნელობა არა აქვს, დავიცდი თუ არ დავიცდი ამ ერთ წელიწადს. მაგრამ, რადგან ასე მეუბნები, ზუსტად ისე მოვიქცევი, როგორც მარიგებ. ისე, ჩვენში დარჩეს და, ძალიან მეწყინება, შენ რომ რამე დაგემართოს და ვერ დაბრუნდეთ.

ამაზე შეთანხმდნენ. მერე ინადირეს, მწვადი შეწვეს და გამოსამშვიდობებლად იპურმარილეს, ისევე, როგორც წინა საღამოს. დილით ასმათს გამოემშვიდობნენ და გზას გაუყვნენ. ტარიელს უნდოდა ცოტა ხანს მიპყლოდა და გაეცილებინა ავთანდილი შორ გზაზე. საღამოჟამს ზღვის პირს მიადგნენ. იქვე დაბანაკდნენ, გარეული თხა მოინადირეს, გემრიელი შიშინა მწვადი შეწვეს და ისევ გვიან ღამემდე მსჯელობდნენ. ბოლოს, ავთანდილმა უთხრა: — შენს ძმადნაფიც ფრიდონს მინდა მივაკითხო და თუ გახსოვს, საითკენ უნდა ვიარო? ტარიელმა მიასწავლა: — ზღვის პირს გაჰყევი აღმოსავლეთისკენ და, როცა ფრიდონს შეხვდები, ჩემგან დიდი მოკითხვა გადაეციო. იმ ღამეს იქვე ხის ძირას მიიძინა ორივემ. დილით გამოემშვიდობნენ ერთმანეთს და ერთი ზღვის პირს გაჰყვა აღმოსავლეთისკენ, მეორემ კი თავისი გამოქვაბულისკენ გააჭენა შავი ბედაური.

ავთანდილის და ტარიელის ნადირობა, 25X19 სმ,
მუყაო, გუაში, ოქრო, ზეზვა არჩემაშვილის და
ბენედიქტ რუჟეს კოლექცია





ავთანდილის მოგზაურობა

პომის ამ ნაწილს რუსთაველი თავისი ერთ-ერთი საუკეთესო შეგონებით იწყებს:

ვა, სოფელო, რას შეგან ხარ, რას გეაბრუნებ, რა ზნე გჭკისა!
ყოვლი შენი მონდობილი ნადაგმცა ჩემებრ ტკისა!
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფნებო სადით ძირსა!
მაგრა ღმერთი არ გასწორავს კაცსა, შენგან განაწირსა.

ჩემი აზრით, ეს ყველაზე „ქართული“ სტროფია მთელ რომანში, თუმცა, მასში ჩადებული აზრი ჩვენ ოდნავ გადაჭარბებულად გავიგეთ და სამოქმედო ლოზუნგად გავიხადეთ. ეს აზრი დაახლოებით ასე უღერს: „ცხოვრება ძნელია და ხშირად უსამართლო, მაგრამ ღმერთი ყოველთვის გვიშველის, როცა არაფერს ვაკეთებთ, ვზარმაცობთ, ანდა სულაც დანაშაულს ჩავდივართ. ამიტომ ვართ ამ „სოფელში“ გულხელდაკრეფილი, ვქეიფობთ, ვნარკომანობთ და ხან ამერიკის წყალობას ველოდებით და ხან ღვთისას. ჩვენ, ხომ, მაშინაც კი, როცა ღმერთი მიწებს არიგებდა, მაშინაც კი ვქეიფობდით და მაინც გადავრჩით. თუმცა, დაფუბრუნდეთ ავთანდილს, რომელიც ამის საპირისპიროდ საქმისა და მოქმედების კაცია. იგი ზღვის პირს მიჰყვება, თინათინს იგონებს და თან, გზადაგზა, თავის ასტრონომიულ ცოდნას იღრმავებს და ანტიკურ ღმერთებთან ურთიერთობას სრულჰყოფს.

მზე თინათინს ჰგავს, ანათებს და ათბობს ქვეყანას. თუ მოშორდები, შეგცივდება და გაითოშები. მაგრამ მზე ხომ ღვთის ხატიცაა. ავთანდილი ევედრება მზეს, – ნუ გამყრიო ჩემს შეყვარებულთან. სატურნს შესთხოვს, რომ ბნელეთის გზები გაატაროს, სიძნელეები გადაალახვინოს და დაინდოს. აქ საუბარი მხოლოდ ცთომილთან კი არა, არამედ ანტიკურ ღმერთთანაც მიდის, რომელსაც გარკვეული ძალა მიეწერება ადამიანის ბედ-იღბალში. იუპიტერს შესთხოვს, რომ მის მიმართ სამართლიანი იყოს. აქაც ძველბერძნული ზეფსია

ნაგულისხმევი. მარსს ევედრება, რომ თავისი ლახვარით დასეროს და, როგორც თვითონ მარსია წითელი, ისე გააწითლოს სისხლით. ომის ღმერთს განა სხვა რა შეუძლია? მშვენიერ ვენერას ეპატიჟება და გაგებას სთხოვს, რადგანაც ვენერა-ასპიროზი სილამაზისა და სიყვარულის სიმბოლოა. მერკური, ანუ ოტარიდი ქურდთა და ვაჭართა ღმერთია და ამავე დროს, მას ღვთიურ კურიერადაც იყენებენ. ავთანდილი მას სთხოვს, რომ წერილი წაუღოს, ალბათ, სატრფოსთან, ალბათ სასიყვარულო, გაჟღენთილი გრძნობითა და ცრემლით. მთვარე, მთვარე... შეყვარებულთა მესაიდუმლე. უმზეოდ მთვარეც იღევა, როგორც შეყვარებულის უნახავი შეყვარებული. როცა მას მზე სრულად ასხივებს, ისიც იბადრება. როდესაც დედამიწა ჩრდილავს, ისიც იღევა. ავთანდილი მთვარეს ევედრება, უამბოს თინათინს, თუ როგორ იტანჯება უიმისოდ მისი გულისსწორი. როგორც იქნა, გააგონა ავთანდილმა პლანეტებს თავისი გასაჭირი.

ამ რომანტიკულ-ასტრონომიულ სჯა-ბაასში გაჰყავდა დრო ავთანდილს. მარტო იყო და ხანდახან წაუძმღერებდა კიდევ. გულს იკეთებდა, – ტირილი და გლოვა არაფერს მიშველისო და უფრო ოპტიმისტურ ხასიათზე დადგა. მის სიმღერასაც რიხი და ჰანგი შეემატა; რუსთაველი ოდნავ ამეტებს და ამბობს, მისი სიმღერის გაგონებაზე არა მარტო ცხოველ-ფრინველი, ქვებიც კი გამოგორდნენ მოსასმენადო. ეტყობა, ავთანდილი მართლა ძალიან კარგად მღეროდა.

ტარიელმა კი ურჩია, ზღვის პირს გაჰყევი და მიაგნებ ფრიდონის სამფლობელოსო, მაგრამ ასე ადვილი არ გამოდგა მგზავრობა; ავთანდილი თითქმის ორთვენახევარი იყო გზაში. ბოლოს, ვიღაც მენავეებს გადაეყარა და გამოჰკითხა, თუ რომელ ქვეყანაში იმყოფებოდა და ამ ტერიტორიაზე ვინ მეფობდა. ამათ უპასუხეს, – ეჰ, ჩვენ ისეთი მეფე გვყავს, უკეთესს ვერ ინატრებ, სახელად ნურ-ად-დინ ფრიდონი ჰქვია, შესახედავადაც სიმპათიური კაცია, ხოლო ჭკუა-გონებითა და ვაჟკაცობით ხომ საერთოდ განთქმული, ქალაქს კი, საიდანაც ჩვენ ვართ, მულღაზანზარი ეწოდება;

კოლო იცის ბევრი და ვენეციელი ვაჭრები მას ხუმრობით „მულტოზანზარეს“, ანუ კოლომრავალსაც ეძახიან. თორემ ისე, – მშენიერი ქალაქია, ძალიან მოგეწონებაო.

— აუჰ, სწორედ თქვენს მეფეს ვეძებ, მასთან მაქვს საქმე და მიმასწავლეთ, სად შევხვდეთ, – გაიხარა ავთანდილმა. – ამ გზას გაჰყევი და აუცილებლად შეხვდებიო, – მიუთითეს მენავებმა და ისიც არ დაუმალეს, – რომ არ მოგეწონებოდი, შეიძლება, არც გვესწავლებინა გზაო. ავთანდილმა მადლობა გადაუხადა მენავებს დახმარებისათვის და მგზავრობა გააგრძელა. გზადაგზა სხვა ხალხიც ხვდებოდა და ყველა სიამოვნებით ეხმარებოდა ორიენტირებაში.

მულაზანზარში როცა ჩავიდა, პირველი, რაც თვალში მოხვდა, სამხედრო შენაერთები იყო. ეტყობოდა, სანადიროდ ახლდნენ ვიღაც მაღალ თანამდებობის პირს და ტყისათვის შემოერთყაფთ ალყა; ნადირს უფრთხობდნენ მონადირეებს. ავთანდილი მარეკებს გამოელაპარაკა. უთხრეს, – ფრიდონ მეფეა გამოსული სანადიროდ და მას ვახლავართო. ამ საუბარში, ერთი ორბი წამოფრინდა შამბიდან. ავთანდილმა არ დააყოვნა, ოსტატურად შემართა მშვილდი, გაისროლა ისარი და ფრინველი ჩამოაგდო. შეიყარა ხალხი, – ეს რა მაგარი მოისარი ყოფილა, ნეტავ ვინ არისო? აირია მარეკების ალყა. იქვე ახლოში მყოფ ფრიდონს გაჰკვირვებოდა, – სად დაიფანტნენ მარეკებიო და ამბის გასაგებად მსახური გამოეგზავნა. ამ მსახურმა ავთანდილი რომ დაინახა, ისე მოეწონა, რომ ცოტა შეცბა, მაგრამ სპასპეტმა დაასწრო და ფრიდონს მისი პირით შეუთვალა, – შენს მეფეს გადაეცი, ტარიელის ძმადნაფიცი ვარ და მის სანახავად ჩამოველიო.

მსახური დაბრუნდა ნურ-ად-დინთან და დანაბარები გადასცა. თავისგან დაუმატა, – სტუმარი მართლაც კარგი ვინმეა, მეფეო, და რომ შეხვდები, შენც მოგეწონებაო. ფრიდონმა რომ ტარიელის სახელი გაიგონა, გაიხარა, მაშინვე გაეშურა ავთანდილისაკენ, შეეგება. მიუხედავად იმისა, რომ არ იცნობდა, ძმასავით გადაეხვია, მაგრამ აცალა, ვიდრე ავთანდილი თვითონ მოუყვებოდა, თუ რატომ ჩამოვიდა. რასაკვირველია, ნადირობა შეწყდა და ორივე სასახლისაკენ გაეშურა დაცვისა და სამხედრო შენაერთების თანხლებით.

გზაზე ავთანდილმა მოუთხრო ფრიდონს თავისი თავგადასავალი. ეს ამბავი ჩვენ უკვე მოსმენილი გვაქვს და აღარ მოვყვები, თუმცა, პოემის ავტორი მას აქ დეპეშის სიმოკლით კვლავ იმეორებს. ამ ადგილას კიდევ ერთხელ ხდება ნათელი, რომ რუსთაველი ლექსთა წყობის მიუღწეველი დიდოსტატია. ის, რაც წინა 992 სტროფში ვრცლად არის მოთხრობილი, აქ, 13 სტროფში იკვრება ისე, რომ ყველა ძირითადი მოვლენა გათვალისწინებულია. ბრავო, რუსთაველო!

ფრიდონს, ავთანდილის ნაამბობზე, რასაკვირველია, ცრემლი მოერია. ერთად ატირდნენ, ვაჟკაცურად. ჯარი და დაცვაც მათ აჰყვა და მორთო ყველამ ქვითინი. ამ ტირილ-ვაი-ვაგლახით მიაღწიეს ქალაქს. სასახლეს მიადგნენ. აქ ნურ-ად-დინმა დიდებულები და თავისი

ჯალაბოზა მოიხმო, სუფრა გააშლევინა, სტუმარი გვერდით მოისვა. შეიქმნა დიდებული ქეიფი და დროს ტარება.

მეორე დილას და შემდგომ დღეებშიც, ავთანდილს ისევ პატივით ეკიდებოდნენ; განზანცხლასის ხალათით შემოსეს, ოქრომკედით ნაკერი ქამარი შემოარტყეს. მიიპატიჟებოდა მოიპატიჟებოდა, დაასვენეს, დიდ პატივისცემაში ჰყავდათ. ფრიდონმა თავის ახალ ძმაკაცს მართლაც რომ საუკეთესო კულტურულ-დასასვენებელი პროგრამა მოუმზადა. რამდენიმე დღე ასე გაატარა ავთანდილმა; ნადირობაში, განცხრომაში, თამაშობებში, მაგრამ ბოლოს თავისი მიზანი გაიხსენა და ფრიდონს უთხრა: — ძალიან კი მიჭირს შენი მიტოვება, მაგრამ შენც იცი, თუ რა საქმეზე ვარ წამოსული და გზა უნდა გავაგრძელო. ერთი თხოვნა მაქვს მხოლოდ, ეგებ ის ადგილი მაჩვენო, სადაც ნესტან-დარეჯანის კიდობანს მოჰკარი თვალიო. ნურ-ად-დინმა არ დაუშალა და პირიქით, დახმარება შესთავაზა: ოთხი მსახური, ერთი სასაპალნე ჯორი, ერთი ცხენი, ექვსი ათასი ლარი, აბჯარი და სხვა აღჭურვილობა გაატანა. თან გზაზე ასე დალოცა:

წადი, ღმერთი გიწინამძღვრებს, შენი მტერი დაემხობის, ...

მიკვირს, ასე რატომ არ ვლოცავთ ხოლმე, როდესაც სტუმარი სუფრას ტოვებს, ან ვინმე ჩვენიანი მიემგზავრება.

ფრიდონმა ავთანდილი ზღვის პირამდე მიაცილა. ამ დღეებში დამეგობრდნენ და ორივეს გაუჭირდა განშორება. ბევრი რამ აღმოაჩნდათ საერთო; ორივე სიმპათიური მამაკაცი იყო, ნადირობაცა და ომიც ზედმიწევნით ხელეწიფებოდათ, ასაკითაც დაახლოებით ტოლები იყვნენ და, რაც მთავარია, საერთო ძმადნაფიცი ჰყავდათ, — ტარიელი.

ფრიდონმა აუხსნა ავთანდილს, თუ სად დაინახა ნავი კიდობნით და საით გასცურა ამ ნავმა. მერე ძმურად გადაეხვივნენ ერთმანეთს და ავთანდილმა გზა გააგრძელა, ხოლო ფრიდონი სასახლეს დაუბრუნდა.

ახლა ავთანდილს ფრიდონისგან გამოყოლებული ოთხი მსახური მიჰყვებოდა თან. მიუხედავად ამისა, საფიქრელი დრო ბევრი ჰქონდა, და რაზეც არ უნდა დაეწყო ფიქრი, ბოლოს მაინც თავისი თინათინი ახსენებოდა. გზადაგზა ხალხი ხვდებოდათ და ავთანდილი ყველას ეკითხებოდა ნესტან-დარეჯანის ასავალ-დასავალს, თუმცა, ვერაფერი შეიტყო. ერთ დღესაც, როცა შემდგომი ქედი გადაიარეს, ქარავანს შეეფეთნენ. ზღვის პირას კარები დაეცათ და დაბანაკებულიყვნენ. ავთანდილი ვაჭრებს გამოელაპარაკა და წარმომავლობა ჰკითხა.

უსამამ, ქარავნის წინამძღოლმა, მსცოვანმა და, როგორც ეტყობოდა, ბრძენმა დიდგაჭარმა, ავთანდილი კარავში შეიპატიჟა და მოუთხრო: მაჰმადიანები ვართ, ბაღდადიდან,

ალკოჰოლს არ ვეკარებით და ზღვათა მეფის სამფლობელოში მივდივართ საქონლით დატვირთულები. აქ იმიტომ დავბანაკდით, რომ გზას ველარ ვაგრძელებთ, – გვეშინიაო. ამას წინათ, აქ, ზღვის პირას, ერთი გულწასული კაცი ვიპოვნეთ, მოვასულიერეთ და გამოვიკითხეთ, თუ რა სჭირდა. მოგვიყვა, – მეც ვაჭარი ვარ, ზღვაზე ვიყავი, საქონლით სავსე გემით ეგვიპტისაკენ გვქონდა გეზი აღებული და მეკობრეები დაგვესხნენ თავს. ყველა გაწყვიტეს, მე კი ძლივს გადავურჩიო. უსამამ საწყლად შესჩივლა ავთანდილს: – ჩვენ ომი და ბრძოლა არ ძალგვიძს და აქ ვიცდით, ზღვაზე ვერ გავდივართო.

ავთანდილი კარგა ხანია არავის შერკინებოდა და, ვაჭართა სიტუაციას რომ გაეცნო, ცოტა გაუხარდა კიდევ. უსამას დაპირდა, – მე შეგეშველებით ხმლითო. მექარავენებს გაუხარდათ და მაშინვე გამართეს ხომალდი ზღვაში შესაცურად. ავთანდილი ბადრაგად გაჰყვა. თავიდან მშვიდად იცურეს, მაგრამ სულ მალე, – ხმელეთი ჯერ კიდევ მოსჩანდა, – მეკობრეების ნაგმა ამოყო თავი. კიჩოზე გემის ბორტის შესანგრევი სახნისიანი ძელი ემაგრათ და გრძელტარინი შავი დროშა აეფრიალებინათ. მრავლად იყვნენ. საბრძოლო ყიჟინით შეუტიეს მექარავენთა ხომალდს. ვაჭრები შიშით აკანკალდნენ და ავთანდილს შემოეხვივნენ. სპასპეტმა დაამშვიდა, – ამათ სეირს ახლავე გაყურებიანებო, სისხლს დავადენ, ყველას დაფხოცავ, ნუ გეშინიათო. თქვენ კი არ იცით, მაგრამ ყველაფერი განგებისაა და არა მგონია, აქ გამწიროსო. ვაჭრები მშიმრები ხართ, ბრძოლა არ შეგიძლიათ. ამიტომ, კაიუტებში ჩაიკეტეთ და გარეთ თავი არ გამოყოთ, ემანდ ისარი არ მოგხვდეთო.

თვითონ, ფრიდონის ნაჩუქარი აბჯარი აისხა, ხელში რკინის კეტი დაიჭირა და გემბანზე გავიდა მეკობრეთა დასახვედრად. მეკობრეები დიდი ყვირილ-შეძახილით წამოვიდნენ ტარანზე; უნდოდათ ძელით შეეგლიჯათ ხომალდი. ავთანდილმა ამ ძელს თავისი რკინის კეტი დაჰკრა, ძელი გადატყდა. ეს როცა მეკობრეებმა დაინახეს, შეშინდნენ და გაქცევა დააპირეს. ავთანდილი ნაგში გადაუხტა და დასცხო მეკობრეებს რკინის კეტი. ზოგს თავი გადაუგლიჯა, ზოგს ძვლები დაუმსხვრია, ზოგი ერთმანეთს შემორტყოცნა, ზოგი ზღვაში გადააყუდა; ერთიც არ გაუშვია ცოცხალი. რამდენიმე მეკობრე გვამებს შორის ცდილობდა დამალვას, მაგრამ ავთანდილმა არც ისინი დაინდო. ბოლოს, ერთი-ორი სიკვდილს გადარჩენილი მეკობრე შეევედრა, ნუ დაგვხოცავო. მათ მიმართ გულმოწყალება გამოიჩინა.

აქ კიდევ უნდა გადავუხვიო თხრობას და ორ მეტად მნიშვნელოვან სენტენციას შევეხო, რომელთაც რუსთაველი ჩვეული სიმარტივით გვთავაზობს. პირველი მათგანი

ჩემთვის დღემდე გაუგებარია და აი რატომ. როცა ავთანდილი რამდენიმე მეკობრეს დაინდობს და დაიმონებს, რუსთაველი ამბობს:

მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა“.

მე არ ვიცი, რა აძლევს რუსთაველს ამის თქმის საფუძველს; მონას, ხომ სინამდვილეში არ უყვარს ბატონი, არამედ მისი ძალისა ეშინია. ამ რომანში, სადაც სიყვარული და მეგობრობა ლაიტმოტივია, გასაკვირია იმის გაგონება, რომ სიყვარულს შიში აჩენს. სიყვარულს მხოლოდ სიყვარული „შეიქმს“ და არა შიში. შიში, მორიდებას, მოწიწებას, თუ გნებავთ, პატივისცემასაც ბადებს, მაგრამ სიყვარულს? სიყვარულს შიში ვერ ბადებს. რუსთაველი, ამ ფრაზას, რატომღაც მოციქულს მიაწერს. მე ამგვარი რამ მოციქულებთან არ შემხვედრია. ქრისტეს მოძღვრება არ ემყარება შიშს. ამიტომ, მოკლედ ვიტყვი, რომ ეს შეგონება არ გამოგვადგება სახელმძღვანელოდ. ყველამ იცოდეს, რომ სიყვარული უდიდესი ძალაა და მას არ განაპირობებს არც შიში, არც პატივისცემა, არც სხვა რამ. იგი თავისთავადია და უნიკალური.

ახლა მეორე მნიშვნელოვანი მომენტი:

კაცო, ძალსა ნუ იქადი, ნუცა მოჰკევეს ვითა მთფრალი!
არას გარგებს ძლიერება, თუ არ შეგწევს ღმრთისა ძალი!
დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი,
ღმერთი გფარავს, სწორად გაჰკვეთს, შეშა ვის ჰკრა, თუნდა ხრმალი.

ბედნიერი ვარ, რომ ამ სტრიქონებს ორიგინალში ვკითხულობ და მესმის თუ რას ამბობს ავტორი. აი, ქართული ენა, აი მისი გამომხატველობითი ძალა! მე არ ვიცი, თუ რა შეიძლება დაემატოს ამ სტროფს ან როგორ შეიძლება მისი სხვაგვარად, – უკეთესად რომ არ შეიძლება, ნათელია, – ინტერპრეტაცია. აქაც გაისმის ის უკიდევანო ნდობა ღვთისადმი, რასაც რუსთაველი მთელს პოემაში აქსოვს. ჩვენ რომ კერპთაყვანისმცემლობაზე არ გადავსულიყავით და ღმერთი მართლაც გვეწამა, ბევრად უფრო უკეთესად ვიქნებოდით. გახსოვთ, რას ამბობს მაცხოვარი? . . . „რატომ ხართ ასე მხდალნი? რატომ არა გაქვთ რწმენა?“ (მარკოზი 4:40)

ავთანდილმა ესეც არ აკმარა მეკობრეებს და მთელი მათი ნაალაფევი, რაც კი ნაგზე აღ-
მოაჩინა, ვაჭრებს გადასცა. დაესივნენ ვაჭრები ავთანდილს, დაუწყეს ხვევნა-კოცნა და
მოფერება. უსაზღვრო იყო მათი მადლიერების გრძნობა სპასპეტისადმი. აქებდნენ, ადი-
დებდნენ, ემადლიერებოდნენ. ავთანდილმა მთლიანობაში შეიფერა ეს ხოტბა, მაგრამ
მანც გაიძახოდა, ღმერთმა გამიმართა ხელი და იმისი დამსახურებაა ეს გამარჯვება; მე
მცირე წილი მიმიძღვისო. მოკლედ, ძალიან მოკრძალებულად იქცეოდა. ვაჭრებმა ავთან-
დილს უსამას პირით გამოუცხადეს, – პრინციპში, მთელი ეს ქონება შენია და, თუ რაიმეს
ჩვენც გვიბოძებ, იმას დაგყაბულდებითო. ამაზე ავთანდილმა უპასუხა, – ქონება იმდენი
მქონდა, არ ვიცოდი, სად წამელო და არაფერი მინდა. მე ჩემი ცხენი და აღჭურვილო-
ბა სავსებით მაკმაყოფილებს, ეს ნადავლი და თქვენი საქონელი სულ თქვენ დაგრჩეთო.
თქვენ მე კი არ გადამირჩინებართ, ღმერთმა გადაგარჩინათ. თუ ასე პატივის მცემთ და
გიყვარვართ, მხოლოდ ერთსა გთხოვთ: მეც ვაჭრულად გადამაცვით და თქვენს შორის
გამრიეთ, როცა დანიშნულების ადგილას ჩავალთ, არავის გაუმხილოთ ვინა ვარ, მეც
თქვენთან ერთად მავაჭრეთო. ამის გამგონე ვაჭრები მთლად დადნენ: – რასაკვირველია,
ყველაფერს აგისრულებთო.

ზურგის ქარმა დაუბერა და ხომალდმა მალე მიაღწია დანიშნულების ადგილს. გზაზე
ავთანდილი ვაჭრებს დიდ პატივში ჰყავდათ; საჩუქრებს ჩუქნიდნენ, ეფერებოდნენ, შეპ-
ფოფინებდნენ.

ქალაქი გულანშარო ზღვის პირას არის განფენილი, მშვიდ ყურეში. იგი ცნობი-
ლია თავისი მშვენიერი ბალებით, რომელთა უკეთესს კაცი ვერაფერს ინატრებს. აქ
უამრავი ისეთი ყვავილი ხარობს, რომელთა მსგავსსაც სხვაგან ძნელად თუ იპოვის
ვინმე. ფართო, სუფთა გამზირები, ქუჩები და ქუჩაბანდები სანაპიროდან ბორ-
ცვებს მიუყვებიან. თუმცა, დღეს ეს ქალაქი ისეთი მშვენიერი აღარ არის, როგორც
რუსთაველის დროს იყო. დიდი დრო გავიდა და ბევრი რამ შეიცვალა. სწორედ გუ-
ლანშაროს ნავსადგურში ჩამოხდა „ვაჭარი“ ავთანდილი თავისი მექარავნეებით.

იქვე, ნავსადგურის სიახლოვეში, ბალის პირას გადმოტვირთეს საქონელი. ავთანდილმა
მეზალე მოიხელთა და ამ ქალაქის ამბები გამოჰკითხა. მაშინდელი გულანშარო რაღაც
საშუალო იყო ლას-ვეგასსა და როტერდამს შორის; ერთი მხრივ ფიცხელი ვაჭრობა და
გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა, საქონლით დატვირთული ხომალდები გადი-შემო-
დიოდა, მეორე მხრივ კი ბევრი სამორინე, დუქანი, საროსკიპო, რესტორანი და სხვა
გასართობი დაწესებულება მოქმედებდა ქალაქში. იყო მისვლა-მოსვლა, ალებ-მიცემა,
სმა-ჭამა, თამაში და დროს ტარება. მეფედ მელიქ სურხავი ჰყავდათ. ბრძენი და მხცო-
ვანი ხელმწიფე. ავთანდილმა ვალუტის კურსი და საკრედიტო პროცენტი გაარკვია. აღ-
მოჩნდა, რომ გაცვლა-გამოცვლისა და კრედიტირების პირობები საკმაოდ კარგი იყო.
რადგანაც მეზალე ვაჭარ უსენის ბალს პატრონობდა და ავთანდილი სწორედ ამ ბალთან



ავთანდილი ზღვის პირას, 15X14 სმ, ქალაქი,
აკვარელი, მხატვრის ოჯახის კოლექცია

გაეშალა ფარდული, ახალი საქონელი ჯერ უსენს უნდა ენახა, წესი იყო ასეთი. მებაღემ აუხსნა, – თუ რაიმე მოეწონა, მაშინვე გადაგიხდის, ფასზეც არ გალაპარაკებსო. ახლა თვითონ სახლში არ იქნება, მაგრამ მისი ცოლი ფატმანი ღირსეულად მიგიღებს, თუ წამომყვები წარსადგენადო.

ავთანდილი დათანხმდა და მებაღე ფატმანთან გააგზავნა, – მეც ახლავე ვეახლებიო. ფატმანმა, ახალი ვაჭრების ჩამოსვლა შეიტყო, ძალიან გაიხარა და გულის ფანცქალით ელოდა ავთანდილს. განკარგულება გასცა, ახალი ვაჭრებისათვის სადგომი მოემზადებინათ და მსახურები გააგება მომსვლელს. თვითონაც კართან დახვდა, მიესალმა და შეიპატიჟა სტუმარი. ამასობაში ქალაქშიც დაირხა ახალი ვაჭრების ჩამოსვლის ხმა. თანდათან იკრიბებოდნენ მყიდველები. ავთანდილიც ყველას აინტერესებდა, რადგანაც მებაღე მისით აღტაცებული იყო.

ფატმანი ახალგაზრდა აღარ იყო, მაგრამ საკმაოდ სიმპათიური ქალი გახლდათ. ოდნავ ჩაუტკუნებული, შავგვრემანი, სმა-ჭამის, ჩაცმა-დახურვისა და გართობის მოყვარული არაფერს იკლებდა. კარგი მასპინძლობაც იცოდა. იმ საღამოს მან უმასპინძლა ავთანდილს; ივანშემეს, ცოტა დალიეს, ისაუბრეს. ავთანდილი გვიან ღამით დაბრუნდა თავის მექარაფნებთან,



გულანშაროში შესვლა, 280X200 სმ,
ტილო, ზეთი, კერძო კოლექცია, პარიზი



დავალემა გასცა, რომ ფატმანისათვის ერვენებინათ ჩამოტანილი საქონელი, მაგრამ არ გაემჟღავნებინათ, თუ ვინ იყო ავთანდილი. მომდევნო დღეებმა ვაჭრობაში გაიარა. ფატმანი, ხანდახან ავთანდილს მიიხმობდა და ამა თუ იმ საკითხზე ესაუბრებოდა. ეტყობოდა, რომ მოეწონა სპასპეტი, მასთან სიახლოვეს ელტვოდა. მართალია, არ იცოდა, ვინ იყო, მაგრამ ქალის გუმანით ხვდებოდა, რომ ეს კაცი, მხოლოდ ვაჭარი არ იქნებოდა.

ამ ურთიერთობაში ფატმანს შეუყვარდა ავთანდილი.

რუსთაველი, აქ ქალის ხასიათზე მსჯელობს და ეს მსჯელობა, ერთი მხრივ მკაცრი და შემფასებლურია, ხოლო მეორე მხრივ, მეტად შემწყნარებლურიცაა ამ კონკრეტული ქალბატონის მიმართ.

აღენტო ავთანდილის ნდომით ფატმანი და ამ ცეცხლის ჩაქრობა მხოლოდ ავთანდილს შეუძლია. მხოლოდ ის არის მკურნალი. მაგრამ როგორ შეიტყობს ამას ავთანდილი?

რუსთაველი ამბობს:


მას მკურნალმან რაგვარ ჰკურნოს, თუ არ უთხრას, რაცა სჭირდეს!


ფატმანმა ველარ გაუძლო გრძნობას და ავთანდილს წერილი მისწერა. უთვლიდა, მომწონსარ ძალიანო. მიკვირს, რომ შენისთანა სიმპათიურ კაცს, ქალები არ გეხვევიანო.

კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ ენაწყლიან და მჭევრმეტყველ რუსთაველს:

შენ გტრფიალობენ მჭვრეტელონი, შენთვის საბრალოდ ბნდებთან,
ვარდი ხარ, მიკვირს, ბუღბუღონი რად არ შენზედა კრფებთან!
შენი შეენება ყვაგილთა აჭნობს, ჩემნიცა ჭნებთან,
სრულად დამწვარვარ, თუ მზისა შუქნი არ მომესწრებთან.

ფატმანი, 30X33 სმ, ტილო, ზეთი, კერძო კოლექცია, პარიზი





ავთანდილს ბულბულები ჯერ არ ასხდებიან, მაგრამ ქალი რომ ამას გეტყვის, ძალიან დაიბნევი კაცი.

მერე ფატმანი წერდა, გული გამისკდება, შენ რომ პაემანზე უარი მიტ-ხრაო. პასუხს ველოდები და ნუ მომკლავო.

ავთანდილმა, როცა ფატმანის სასიყვარულო წერილი მიიღო, ჯერ იფიქ-რა, – ეს ქალი გაგიჟებულა, ეს რა მოუჩმხახეს, რა მოუწერია. მაგან რომ იცოდეს, მე ვინ მიყვარს, ამას ვერ გამიბედავდა. ეტყობა, ძალიან ჭირდება მამაკაციო.

მერე დაფიქრდა და მაინც სხვა გადაწყვეტილება მიიღო. – ახლა ამას რომ უარი ვუთხრა, შეიძლება საერთოდ ველარაფერი შევიტყო, ქალია მაინც, ათას-გვარ ხალხთან აქვს კავშირი და ეს მისი კონტაქტები თუ არ გამოვიყენე, ვერა-ფერს შევიტყობო. მისი დასკვნა ასეთია:

კვლა იტყვის, "ვერგინ ვერსა იქმს, თუ ეტლი არ მოსთმინდების; მით რაცა მინდა, არა მაქვს, რაცა მაქვს, არ მომინდების;

ფატმანის გარდასახვანი, 29X16 სმ, მუყაო, გუაში, ოქრო, კერძო კოლექცია, პარიზი




ბინდის გვარია სოფელი, ესე თურ აჰად ბინდების,
კოკასა შიგან რაცა დგას, იგივე წარმოღინდების!”

ერთი შენიშვნა: ეტლი, აქ ზეციურ განგებას, ზოდიაქურ ილბალს ნიშნავს. ისევ განგება, ისევ ღვთის ნება! ღვთისა და განგების გარეშე არაფერი ხდება. სამაგალითო მორწმუნეა რუსთაველის ავთანდილი.

მოკლედ, თავისი ქცევა განგებას გადააბრალა და გადაწყვიტა დაჰყოლოდა ფატმანის ვნებას. პასუხად მისწერა, – შენ რომ არ დაგესწრო, მე ვაპირებდი შენთვის ანალოგიური წერილის მოწერას, მეც შენი სიყვარულის ცეცხლი მწვავს და შენთან შეხვედრას ველტვიო. ამის შეტყობით, ფატმანმა უაღრესად გაიხარა და მაშინვე უპასუხა, ამაღამ დაგელოდებიო.

საღამოს, როცა ავთანდილი ფატმანის საძინებელს მიუახლოვდა, წინ ქალის მსახური გამოეგება და გადასცა, – ფატმანმა გთხოვა, შეხვედრა გადავდოთ, ამაღამ არ შეუძლია შენი მიღებაო. ავთანდილს ეწყინა და ამ გაფრთხილების მიუხედავად, მანც შეაბიჯა ფატმანის დარბაზებში.



ფატმანი ადგილზე დახვდა. მარტო იყო და სახეზე წყენა ეტყობოდა. ავთანდილს ველარ შეეწინააღმდეგა და შეიპატიჟა. სუფრა გაუშალა, გაესაუბრა. ის-ის იყო, საქმეზე გადავიდნენ და ერთმანეთის ალერსს შეუდგნენ, რომ ერთი მდიდრულად ჩაცმული კაცი წაადგათ თავს, რომელსაც თან შეიარაღებული მსახური ახლდა. შემოსული ავთანდილის დანახვაზე შეცბა, გაკვირვებით მიაცქერდა მოალერსე წყვილს და ფატმანს შეუძახა გაცეცხლებულმა, – მაგ საქციელს განანებო! შე ბოზო, ეს როგორ მაკადრე, ამგვარი რამ! ხვალვე მოგიზღავ საკადრისს, ქმარ-შვილს დაგიხოცავო.

მერე შემოსული მამაკაცი გატრიალდა, გარეთ გავიდა და მონაც თან გაიყოლია. ატეხა ფატმანმა ტირილი და თავში ხელის ცემა; – დავიღუპე, ქმარი და შვილები გავწირე, ჩასაქოლი და მოსაკლავი ვარ! ეს რა ჩავიდინე, ყველაფერი დაგკარგეო!

ავთანდილი გაოგნებული შესცქეროდა ქალის მომეტებულად მძაფრ რეაქციას. შეეცადა ფატმანის დაწყნარებას, – ამისხენი, ვინ იყო ეს კაცი და შენგან რა უნდაო. ფატმანმა უპასუხა, – ახლა ვერაფერს მოგიყვები, მაგრამ თუ ჩემი გადარჩენა გწადია, უნდა წახვიდე და ის კაცი მოჰკლა. როცა დაბრუნდები, მერე ყველაფერს აგიხსნიო. თუ ასე არ მოიქცევი, მაშინ მთელი შენი საქონელი აკრიფე, სახედრებზე დატვირთე და აქაურობას გაეცალე, შენც არაფერი შეგამთხვიონო.

ავთანდილი აღარ დაყოვნებულა; ლახტს სტაცა ხელი, ფატმანს უთხრა, – ვინმე გამაბანე გზის სასწავლებლად, ეგ ტიპი ისეთი არ ჩანს, მე რომ მომერიოსო და წასასვლელად მოემზადა. წასვლამდე ფატმანმა სთხოვა, – იმ კაცს ხელზე ჩემი ნაჩუქარი ბეჭედი უკეთია და თუ მოჰკლავ, წააძრე და მომიტანეო. რა თქმა უნდა, მსახურიც გააყოლა გზის სასწავლებლად.

მსახურმა ავთანდილს თითქმის მთელი ქალაქი გაატარა. გარეუბანში, წითელი და მწვანე აგურის მაღალ შენობას მიადგნენ. გამცილებელმა ავთანდილს სახლზე მიუთითა, – ის კაცი აქ ცხოვრობს, ან ბანზე უნდა ეძინოს, ან ქვედა სართულზე ისვენებდესო. სახლის სადარბაზოსთან ორ დარაჯს ჩასძინებოდა. ავთანდილი უჩუმრად მიეპარა, ორივეს ყელზე სტაცა ხელი, კრინტი რომ არ დაეძრათ და ერთმანეთს თავებით შეახალა. დარაჯებმა გაღვიძებაც ვერ მოასწრეს, ისე გააფრთხეს სული.

სახლის პატრონი ქვედა სართულზე დიდ ოთახში საწოლზე წამოწოლილიყო და დაბოლმილი ფიქრობდა რაღაცაზე. ხელდასისხლიანებული ავ-





ფატმანი და ავთანდილი, 30X22 სმ, მუყაო,
გუაში, ოქრო, კერძო კოლექცია, ისრაელი

თანდელი თავს წაადგა, წამოდგომა არ აცალა, ძირს გადმოათრია და დანით განგმირა. მერე იმავე დანით ბეჭდიანი თითი მოჰკვეთა, ხოლო გვამი ფანჯრიდან გადისროლა ზღვაში.

უკან იმავე გზით დაბრუნდა, რომლითაც მოვიდნენ და ფატმანს ეახლა. მოახსენა, – ის კაცი მოვკალი, საბუთად კი მოჭრილი თითი და სისხლიანი დანა წამოგიღეო. თან, შენი მსახურიც დამემოწმება, ყველაფერი ნახაო. ახლა მომიყევი, ვინ იყო ის კაცი და, საერთოდ, რა ხდებო.

ფატმანმა, თითქოს დიდი ტვირთი მოხსნესო მხრებიდან, შვებით ამოისუნთქა, ავთანდილს დაუჩოქა და მადლობის ნიშნად ფეხებზე შემოეხვია. დაპირდა, ყველაფერს გაიმბობ, ყური დამიგდეო.

ფატმანმა გულდადინჯებით უამბო ავთანდილს: ჩვენთან, გულანშაროში, ნავრუზზე ყოველგვარი ვაჭრობა წყდება. ამ დღეს დიდი ზეიმი ეწყობა, როგორც ეს ახალი წლის დადგომას შეეფერება: ვიკაზმებით, ვსეირნობთ, ხოლო მე და ჩემი ქმარი დიდვაჭართათვის დარბაზობას ვმართავთ. კაცებს ჩემი მიუღლე უსენი ჰპატრონობს, ქალებს კი მე. მოაქვთ საჩუქრები, დიდი ამალით ჩამოივლიან ქუჩებს, მერე სუფრა იშლება. მოკლედ, ამ დღეს დიდი დროს ტარება და ზარ-ზეიმია ქალაქში.

იმ წელს, ნავრუზზე ვაჭრების ცოლებს კარგი დრო გავატარებინე, ვაქეიფე, გავართე, ვამხიარულე. ბოლოს, როგორც იქნა, ყველა გავისტუმრე და დაღლილი, ბაღში რომ პატარა სახლი გვიდგას და ზღვას გადაჰყურებს, იქ მივედი. სარკმელი გამოვალე და ზღვას გადავხედე. შორით რაღაც დავლანდე. ჯერ ფრინველი მეგონა, მერე ზღვის ცხოველი, რომ მომიახლოვდა, ნავი აღმოჩნდა. ხმელეთისკენ მოცურავდა.

ნაპირს რომ მოადგა, ნავიდან ორი, შავებში ჩაცმული ზანგი გადმოხტა. მიდამო დაზვერეს და, რადგან ვერავინ შენიშნეს, ნავი ნაპირზე, ჩვენი ბაღის კიდესთან ამოათრია. მე ცოტა გაკვირვებული დავრჩი მათი ქცევით და მალვით ვაკვირდებოდი სარკმელიდან. დავინახე, რომ ნავზე დადებულ დიდ კიდობანს მოჰხადეს სარკმელი და იქედან ახალგაზრდა ქალი გადმოიყვანეს. ქალს შავი თავსაფარი შემოეხვია და მწვანე ტანსაცმელი ემოსა.

მშვენიერი ტან-ფეხი ჰქონდა, სახეს რომ მოვკარი თვალი, მისმა სილამაზემ გამაოცა; მშვენიერი რამ იყო, საღამოს ბინდში თითქოს ანათებ-


და კიდევ. გაოგნებული მოვშორდი სარკმელს, მსახურებს მოვუხმე და ნავთან ჩავაგზავნე, რომ ამ სამეულის ასავალ-დასავალი შეეტყუოთ. დავავალე, ზანგებისგან გამოესყიდათ ტურფა ქალი. ისიც დავძინე, თუ გაყიდვას არ დათანხმდებოდნენ, ზანგები დაეხოცათ და ქალი ჩემთვის მოეგვარათ.

მსახურები დაევაჭრნენ ზანგებს, მაგრამ მათ იუარეს ქალის გაყიდვა. ეს როცა დავინახე, ერთი გადავძახე ფანჯრიდან, – დახოცეთ მეთქი. მსახურები მენავეებს ადვილად მოერივნენ, თავები დააჭრეს და გვამებს ზღვაში გადაუძახეს, ქალი კი ჩემთან წამოიყვანეს. გულმა ვერ მომიტოვინა და ჩავეგებე. ახლა უკვე კარგად შევათვალე იერე უცხო ქალბატონი. ასეთი მშვენიერი ახალგაზრდა ქალი ჯერ არ მენახა; პირ-სახეც ლამაზი ჰქონდა, ტანფეხიც, თვალ-წარბ-წამწამიცა და მიხრა-მოხრაც ნატიფ-ნარნარი.

წამოვიყვანე, დაუყვავე, მივუალერსე, მივეფერე და ამბავი გამოვკითხე. ქალი ატირდა, მადლობა გადამიხადა დახსნისათვის, დედასავით მიმილო, მაგრამ არ ინდობა თავისი ამბის გამჟღავნება. ვიფიქრე, – ეტყობა მძიმე დღე აქვს გადატანილი და ახლა ამის შესახებ ლაპარაკი უჭირს. თავი დავანებე, ეგებ დაისვენოს და მერე მოვაცოლებ, თუ რა შეემთხვა მეთქი. გულამოსკვნილი ტიროდა. ტანსაცმელი გამოვაცვლევი, ისე შევმოსე, რომ ვერავის დაენახა მისი სახე. დავაბინავე, ერთი ზანგი მსახური დავუნიშნე და ძალით ვაჭამე ცოტა რამ. როცა ოდნავ მოითქვა სული, ისევ ვთხოვე მოეთხორო თავისი ამბავი, მაგრამ ისევ ვერაფერი ვათქმევინე. კვლავ ატირდა.

უბრალო ქალი არ ჩანდა; ისეთი ყაბაჩა ეცვა და ისეთი რიდე ჰქონდა მოხურული, რომ ეტყობოდა, დიდგვაროვანი წარმოშობისა იყო. ერთიც და მეორეც მტკიცედ ნაქსოვი, მაგრამ აბრეშუმით რბილი იყო.

მოკლედ, რაღა ბევრი გავაგრძელო და ქალი ვერ გავტყუებ; იჯდა და ტიროდა. ასე გაგრძელდა რამდენიმე დღე. თავიდან, ჩემს ქმარს არ ვუმხელდი ამ ამბავს, მაგრამ მერე შევცდი და ვუამბე. წამომყვა, ნახა უცხო სტუმარი და განცვიფრდა. არც მას ენახა ასეთი მშვენიერი ქალი. ორივემ ვეცადეთ, მაგრამ უცნობისაგან მაინც ვერაფერი შევიტყვეთ. ერთს ვხვდებოდით, რომ დიდი ტრაგედია ჰქონდა გადატანილი. უსენს დავაფიცე, ეს ამბავი არავის უთხრა მეთქი, მაგრამ ამაოდ, რამდენიმე დღეში მეფესთან დარბაზობა ეწყობოდა. უსენიც მიწვეული იყო და თან უამრავი საჩუქარი წაუღო მელიქ სუხრავეს. წასვლისას კიდევ გავაფრთხილე, რომ არ დამთვრალიყო



და ქალის შესახებ არ დაეწყო ლაყბობა. ეჰ, ხომ იტყვიან ყვავს ვარდი რად უნდა და ვირს რქებიო; არ ჭირდებოდა ჩემს ქმარს ამ საიდუმლოს ცოდნა, არ უნდა გამენდო მისთვის მშვენიერი უცნობი ქალის ამბავი. გატეხა ფიცი: ნადიმზე დათვრა და მეფეს უთხრა, – შენთვის ულამაზესი სარძლო მყავს და მოდი შენს ვაჟს გაუფრიგოთო. მეფემ მაშინვე ვეზირი გამოგზავნა ამალით ქალის წასაყვანად. ჯერ ვიუარე, მაგრამ ბოლოს იძულებული გავხდი გამეტანებინა მშვენიერი ქალბატონი. ქალს მოვუბოდიშე, რომ ასე მოხდა, მაგრამ მას არ გაჰკვირვებია ეს სიტუაცია. ის კი არა და აქეთ დამამშვიდა: უბედურებას და სიავეს შერჩეული ვარო. ისიც დასძინა, —

კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველია! –ო.

მოკლედ, გავაყოლე ვეზირსა და მის სამოცაკაციან ამაღას მშვენიერი უცხო ქალი. თან ცოტა ოქროს ფული და რამდენიმე ძვირფასი ქვა გავატანე, – შეიძლება გამოგადგეს მეთქი.

სასახლეში თვით მეფე შეეგება უცნობს. შეხედა და განცვიფრებულმა მხოლოდ ერთის თქმა მოახერხა: – აქ რამ მოგიყვანა, მზეო? შეიპატოიეს დარბაზში. შეიყარა ხალხი. ყველას სწადდა უცნობისათვის თვალის შევლება. მნახველები გაოცებული და აღტაცებული იყვნენ ქალის სილამაზით. მერე მელიქ მეფემ უცნობი გვერდით მოისვა და გამოჰკითხა, თუ ვინ იყო, საიდან ჩამოსულიყო და რა გადახდენოდა თავს. ქალი არც მას გამოუტყდა.

ბოლოს მეფემ დაასკვნა, – ან გაგიყვამდეა შეყვარებული და დებრესია აქეს, ან ძალიან ჭკვიანია და ჩვენ არ გვკადრულობს. ნამდვილად უნდა გაუფრიგო ჩემს ვაჟსო. მეფისწული არ ბრძანდებოდა სასახლეში; ლაშქრობაში იყო იმხანად და მეფემ განკარგულება გასცა, ქალი მოემზადებინათ ვაჟთან შესაუღლებლად. ეს მეფისწულიც არ იყო უგვანო; შესახედაობითაც და ქცევითაც ტოლს არავის უდებდა, კარგი აღზრდილი ვაჟკაცი გახლდათ და შეიძლება, კარგი წყვილიც ყოფილიყვნენ ის და უცნობი ქალბატონი.

ქალი ოქროთი მორთულ ტახტზე წამოასკუპეს, მცველები და მსახურები მიუჩინეს, ხოლო მეფემ, სტუმრებთან ერთად ქეიფი გააგრძელა. უსენიც უხვად დაასაჩუქრეს ქალის მიყვანისათვის.

და ამ არასასურველ შეუღლებას და მცველები მოესყიდა, რომ გაეპარები-
ნათ.

აქ კვლავ უნდა დავურთო თხრობას მცირე კომენტარი. მკითხვე-
ლი, რასაკვირველია, მიხვდებოდა, რომ ეს უცხო ქალი ნესტან-და-
რეჯანია. რომანის წინა თავებიდან ჩვენ ვიცით, რომ იგი მარტივი
პიროვნება არ არის; როცა ჭირდება, ეშმაკობასაც მიმართავს და
საკმაოდ გაბედულ გადაწყვეტილებებსაც იღებს.

აი, ნაწყვეტი მისი მსჯელობიდან გულანშაროს მეფის სასახლეში:

ვეცადო რას, ნუთუ დმერთმან მომარბოს ჩემსა მტერსა!
სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?
რა მისჭირდეს, მაშინ უნდან გონებანი გონიერსა!

ამგვარი აზრები სრულ კონტრასტშია ნესტან-დარეჯანის ქცევასთან;
ერთი მხრივ, ქალი ტირის, ნერვიულობს და კაცს უმანკო, სუსტი, და-
ჩაგრული არსება გეგონება. მეორე მხრივ, ეს „სუსტი არსება“ ცივად და
მიზანმიმართულად გეგმავს თავის საქციელს.

მსახურთ უთხრა, – არ გავყვები მე თქვენს უფლისწულს და, თუ არ გა-
მიშვებთ, აქვე მოვიკლავ თავს. მეფე რომ ამას შეიტყობს, ცუდ დღეს და-
გაყრით და ჯობია სასწრაფოდ გამაპაროთ აქედანო. ამასთან, – დასძინა
ფატმანმა, – ქრთამად ჩემი მიცემული ოქრო და ძვირფასი ქვები შეუთა-
ვაზებია. მონათა სიხარბე შენც მოგეხსენება; ოქრო რომ დაინახეს, მეფის
შიში დაავიწყდათ და გადაწყვიტეს ქალის გაპარება.

ისევ რუსთაველის ტაეზი მინდა მოვიყვანო. მასზე უკეთესად მაინც
ვერ ვიტყვი და ამ სტრიქონებში ყოფის იმხელა სოციალური ცოდ-
ნაა ჩადებული, რომ არ შეიძლება მათი წაუკითხაობა. განსაკუთრე-
ბით მათთვის, ვინც მიიჩნევს, რომ ბედნიერება ქონებას მოაქვს:

ნახე, თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!
ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა,
დღედ სიკვდილამდის სიხარბე შეაქმნევს კბილთა ღრჭენასა:
შესდის და გასდის, აკლია, ემდურვის ეტლთა რბენასა,
კვლა აქა სულსა დაუბამს, დაუშლის აღმაფრენასა.

მკითხველს შევახსენებ, რომ ეტლი აქაც, როგორც წინ, განგებას,
პლანეტათა განწყობას ნიშნავს.

ფატმანმა თხრობა გააგრძელა.

მოკლედ, ქრთამით დააბა უცხო ქალმა მონები. ერთმა თავისი ტანსაცმელი მისცა, სხვები გასასვლელში დადგნენ, რომ მისთვის არავის მოეკრა თვალი. ასე გამოიპარა უცხო ქალი მეფის სასახლიდან. მოდარაჯე მონებმაც აიღეს ქრთამი და ისინიც გადაიკარგნენ.

სახლში ვიყავი დამწუხრებული, როცა კარზე დარეკეს და გავიგონე, რომ ეზოდან ვილაც მეძახდა. გამოპარული ქალი აღმოჩნდა. სასახლიდან პირდაპირ ჩემთან მოსულიყო. გავეგებე, გადავეხვიე და შევიპატიე. არ შემომყვა. მითხრა, – შენი ნაჩუქარი ოქროთი და თვალ-მარგალიტით გამოვისყიდე მსახურებისგან თავი და ახლა, თუ შეგიძლია, ეგებ ცხენიც მომცე, რომ სასწრაფოდ ვუშველო თავს, ვიდრე მეფე მდევარს დამადევნებსო. ბევრი არ მიფიქრია; საჯინიბოდან საუკეთესო ბედაური გამოვუყვანე, შვეუკაზმე, ზედ შევსვი და გამოვემშვიდობე. ისიც სასწრაფოდ დაადგა გზას. მდევრებმა ბევრი ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვნეს. ჩემთანაც იყვნენ. მე ვიუარე, – არ მინახავს მეთქი. ძალიან კი დამწუხრდნენ, მაგრამ რას იზამდნენ. ასე მივეხმარე მშვენიერ უცნობს.

ახლა იმას მოგიყვები, თუ რა საქმე ჰქონდა ამ ყველაფერთან იმ კაცს, შენ რომ მოჰკალი. ეს კაცი მეფის ჭაშნაგირი იყო და ქალები უყვარდა მეტისმეტად. მე და იმას რომანი გვქონდა ერთხანს. ერთხელაც, პაემანისას გამოვუტყდი, რომ უცნობი ქალი მე გავაპარე. ვინ მექაჩებოდა ენაზე?! ახლა ძალიან ვნანობ, მაგრამ მაშინ, გულუბრყვილობით ყველაფერი ჩავუკაკლე. ერთი რამ იცოდე: კაცს უგულობა ლუპავს, ქალს კი ბოზობა. ურთიერთობის გაწყვეტა რომ დავაპირე, დამემუქრა, მეფესთან გაგთქვამ და შენც დაილუპები და მთელი შენი ოჯახიცო. წინა საღამოს რომ შემოგიტვალე, პაემანი გადავდოთ მეთქი, სწორედ მისი მოსვლის მეშინოდა. ახლა, როცა ის კაცი მკვდარია, ველარავინ გაგთქვამს და თითქოს, დიდი ტვირთისგან გაეთავისუფლდით.

ავთანდილი მთელ ამ მონათხრობს ყურადღებით უსმენდა და ბოლოს დაასკვნა, ახლა ნულარ შიშობ, აღარავინ გაგთქვამს, თუმცა,

მოყვარე მტერი ყოვლისა მტრისაგან უფრო მტერია; –ო.

მერე გაქცეული ნესტან-დარეჯანის ამბით დაინტერესდა და ფატმანს შეეკითხა: – ხომ არ იცი, საით წავიდა და რა ქმნა იმ ქალმაო? ფატმანმა ამოიოხრა და თხრობის გაგრძელება დააპირა, მაგრამ აქ რუსთაველი ჩაერთო ისევ წუთისოფლის სამდურავით:

ვა, საწუთრო, სიცრუეით თავი სატანას აღარე!

და ა.შ. და აშ. რუსთაველს, და ეს მთელ პოემას ეხება, ძალიან არ მოსწონს ეს საწუთრო, თუ წუთისოფელი, რომელიც მართლაც წუთისაა და წუთიერია. რა არის ჩვენი ცხოვრება კოსმოსის მირიადებთან შედარებით? რა არის ჩვენი ფაციფუცი და საქმიანობა ამ სამყაროში? არაფერი! მხოლოდ მტვერი, მხოლოდ ამაოებათა ამაოება! მაგრამ, საბოლოოდ მინც ერთადერთი ღმერთია ყველაფრის პატრონი და განმსჯელი. ამ განწყობით აგრძელებს ფატმანი ნესტანდარეჯანის ამბავს.

ქალი რომ წავიდა, ძალიან დაგნაღვლიანდი; არავის ნახვა არ მინდოდა, არც ქმრის და არც შვილების. უსენს ვეჩხუბე და გავებუტე. ვტიროდი, ვნერვიულობდი.

ერთ საღამოს, როცა ჯერ კიდევ ვნაღვლობდი უცხო ქალის ბედ-იღბალს, სახლის კართან ვიდექი და გამვლელ-გამომვლელს ვაკვირდებოდი. ერთი კაცი დავინახე, ღარიბულად ჩაცმული. კიდევ ორი იმნაირივე ახლდა თან. ქალაქში სასმელ-საჭმელი ემოვნათ და ბალის წინვე გაემალათ სუფრა. იქვე დამსხდარიყვნენ, თავისებურად ნადიმობდნენ და მხიარულობდნენ. როცა შეთვრნენ, გადაწყვიტეს, ერთმანეთისათვის მოეთხროთ საკუთარი თავგადასავალი. ეტყობა, გულანშაროში გაეცნოთ ერთმანეთი.

აი, რა მოყვა იმ ღარიბულად ჩაცმულმა კაცმა: – მსახური ვარ ქაჯთა მეფის. ამ ცოტა ხნის წინ ჩვენში უკურნებელი სენი გავრცელდა და ბევრი ადამიანი, მათ შორის, ჩემი ხელმწიფეც გადაიყოლა. დარჩა სამეფო ტახტზე დულარდუხტი, მეფის და, ქალი კი არის, მაგრამ ბევრ ვაჟკაცს ჯობნის. ორი მცირეწლოვანი ძმისშვილი ჰყავს, სახელად როსანი და როდია, მაგრამ თვითონ მეფობს. იმავე პერიოდში შევიტყვეთ, რომ დულარდუხტის დეიდას თავი მოეკლა უცხოობაში. ყველა დაგვანაღვლიანა ამ ამბავმა. ერთი ვეზირი იყო ჩვენთან, სახელად როშაქი. იმან გადაწყვიტა, ამ სენიანობასთან დაკავშირებით, ზღვაში გასულიყო და მეკობრეობა დაეწყო, რომ ფული ემოვნა. ასი კაცი აგვარჩია და გაგვიყოლია თან. დავიწყეთ მეკობრეობა. ვლევით და ვანადგურეთ ხომალდები, ალაფიც ბევრი ვიშოვეთ და ოქროც.

ერთხელაც, ხმელეთზე ვიყავით გასულები და იქ ვყაჩაღობდით. საღამო-ქამს ვილაც მგ ზავრი შემოგვხვდა. ისეთი სიმპათიური ჩანდა, რომ გეგონებოდათ ღამეში ანათებსო. გულანშაროს ელჩი ვარ და ქაჯეთში მივდივა-

მოლოდინი, 20X18 სმ, მუყაო, გუაში, კერძო კოლექცია, პარიზი





ქაჯების მგზავრობა, 40X28 სმ, ქალაქი,
გუაში, კერძო კოლექცია. პარიზი



რო, – გვითხრა. კიდევ გამოვესაუბრეთ და მივხვდით, რომ გადაცმული ქალი იყო. აღარ გავუშვით. დაკითხვა მოვუწყვეთ, მაგრამ ვერაფერი დავაცდენინეთ. ბოლოს რომაქმა თქვა, – მოდი, შევიპყროთ, ჩვენს მეფეს მივგვაროთ, გაეხარდებაო. შემოვბრუნდით ქაჯეთისაკენ. ქალისათვის ხელი არ დავიკარებია; ციმციმ მიგვყავდა. იმის მაგივრად, რომ გაეხარა, ქალი მთელი გზა ტიროდა. რადგანაც გულანშაროსთან ახლოს ვიყავით, რომაქს დავეთხოვე, პატარა საქმე მაქვს ქალაქში და დაგეწევით მეთქი. იმანაც გამომიშვა. თვითონ კი გზა გააგრძელეს. აი, ასე მოხვდი აქ.

ფატმანი შეყოვნდა. მერე ისევ გააგრძელა თხრობა. ეს რომ მოვისმინე, მივხვდი, ვისზე იყო საუბარი. უცხო კაცი მოვიხმე და კვლავ მოვაყოლე მშვენიერ ქალთან შეხვედრის ამბავი. ცოტა დავმშვიდდი. ორი მსახური მყავს, რომელთაც ჯადოსნობა შეუძლიათ. ისე მიდი-მოდიან, რომ ვერავინ ამჩნევს. ეს ორი გავგზავნე ამბის გასაგებად ქაჯეთში. სამი დღის მერე დაბრუნდნენ და მომახსენეს, – ქალი მიუვალ ციხეშია დატყვევებული და უფლისწულის, როსანის საცოლედ ამზადებენო. დულარდუხტი ჯერ კიდევ გლოვობდა და ქორწილისათვის არ ეცალა. თანაც ლაშქრობა წამოეწყო და იმ დროს ქალაქში არ იყო. ეს ქალაქი კი ისე ყოფილა გამაგრებული, რომ მასში, უნებართვოდ ვერავინ შეაღწევდა. სიმაგრე მაღალ კლდეზეა აგებული და მხოლოდ ვიწრო გვირაბით თუ ააღწევდი იქ კაცი. ამ გვირაბს კი თურმე ასეულები იცავენ.

ავთანდილმა, ამ ამბების გაგებით ძალიან გაიხარა. აღტაცებას ვერ მალავდა. მერე ფატმანს ჰკითხა, – კი მაგრამ, ქაჯი უხორცო არსებაა და ესენი როგორ არიან ხორციელნი? ფატმანმა საქმის ცოდნით უპასუხა: – ქაჯი ჰქვიათ, თორემ ისე, ადამიანები არიან, რომელთაც ჯადოქრობა და გრძნეული საქმე აქვთ შესწავლილი. ერთი რამ აქვთ საერთო, რომ სხვას ავნონ, ზიანი მიაყენონ. უამრავ საკვირველებას სჩადიან; ქარს ამოაგდებენ, ზღვას აშრობენ, დღეს აბნელებენ და უჩინრად მოძრაობენ. იმიტომაც ეძახიან ქაჯებსო. ავთანდილს კიდევ უფრო გაეხარდა და ღმერთს მადლობა გადაუხადა. აი ასე:

გულითა ღმერთსა აღიდებს ავთანდილ ცრემლთა მდენელი;
თქვა: "ღმერთო, გმადლობ, რომელი ხარ ჭკრთა მომალხენელი;
ყოფილი, მყოფი, უთქმელი, ყურთაგან მოუსმენელი,
წყალობა თქვენი იჩქითად არს ჩვენი გარ-მომფენელი!"

მერე ქაჯეთის ციხეში ქალის დატყვევებისა და ამასთან დაკავშირებული საკითხების კიდევ რამდენიმე დეტალს შეეხნენ. ავთანდილი ისე იყო მთელი ამ ინფორმაციით გახარებული და აღტკინებული, რომ თავი ვეღარ შეიკავა და „მას ღამე ფატმან იაშა ავთანდილთანა წოლითა; . . .

თუმცა, რუსთაველი ვექილად უდგება ავთანდილს და ამბობს, ფატმანს კი ეხვეოდა და ეალერსებოდა, მაგრამ სულ თინათინი ედგა თვალწინო. ავთანდილიც ჰკილავს საკუთარ ქცევას, – მე, ბუღბუღი, ყვაფივით ნეხვზე ვზივარო. სხვა გზა არა გვაქვს, ჩვენც უნდა შევუნდოთ ეს შეცოდება ავთანდილს, მით უმეტეს, რომ ავტორიც ამ აზრისაა. ფატმანს კი არც ჩვენი შენდობა ჭირდება და არც ავთანდილის შიდა სულიერი კონფლიქტი ანაღვლებს:

ფატმან მას ზედა იხარებს, მართ ვითა იადონია.
თუ ყვაფი ვარდსა იშოვნის, თავი ბუღბუღი ჰგონია.

მე რომ აქ რაიმე დავამატო, გასალახი ვიქნები.

დღით ფატმანმა უამრავი რამ აჩუქა თავის იმდამინდელ საყვარელს. ავთანდილმა ვაჭრის სამოსი გაიძრო და სარაინდო ჩაიცვა. მერე ერთად ისაუზმეს. ფატმანი გაკვირვებული და აღტაცებული იყო იმით, თუ როგორ მოუხდა ახალი სამოსელი ავთანდილს. ბოლოს ავთანდილი თავისთან წავიდა და დაიძინა.

სალამოს ფატმანმა შემოუთვალა, მოდი, მარტო ვარო. ავთანდილიც მივიდა. ფატმანს ბალიშები და ნოხები უკვე გაეშალა, აბაზანა მიეღო და ელოდებოდა. ავთანდილს აღარ უნდოდა ფატმანთან რომანის გაგრძელება და გადაწყვიტა გამოტყდომოდა ქალს. ჯერ გააფრთხილა: – არ გაგიკვირდეს და არ შეშინდე იმის გამო, რასაც გეტყვიო. მერე თავისი ამბავი მოუთხრო. უთხრა, ვინც იყო, საიდან მოდიოდა და რა მიზანი ჰქონდა. ტარიელზეც მოუყვა, ნესტან-დარეჯანზეც, ვეფხვის ტყავებზეცა და რიდე-ყაბაჩაზეც.

ბოლოს დახმარება სთხოვა: – მოდი, ეგებ, ის გრძნეული მონები კვლავ გავგზავნოთ ქაჯეთის ციხეში და ნესტან-დარეჯანს ჩვენი ამბავი შევატყობინოთ, იმან კი თავისი ამბები გვაცნობოსო. ფატმანს არ უყოყმანია; ამ დიდ და სერიოზულ საქმეში მონაწილეობა მისთვისაც საინტერესო იყო. მსახურს დაუძახა და დავალება მისცა.





ქაჯების მგზავრობა მთაზე, 40X28 სმ,
ქალაქი, გუამი, კერძო კოლექცია,
პარიზი

ნესტან-დარეჯანის დახსნა ტყვეობიდან

ფატმანმა წერილი მისწერა ნესტან-დარეჯანს.

მართალია, შენ ჩემთვის არ შეგიტყობინებია, სად ხარ და რას აკეთებ, მაგრამ სხვა გზებით აღმოგაჩინე. ახლა, შენი შეყვარებულის, ტარიელის ძმადნაფიცია ჩემთან ჩამოსული და შენი ამბავი აინტერესებს დაწვრილებითო. ჩემს გამოგზავნილ მსახურს შენი წერილი გამოატანე და ბარემ ისიც გაგვაგებინე, ქაჯეთის ციხეს რამდენი მეომარი იცავს, როგორ არის გამაგრებული, მეთაური ვინ არიანო. მოკლედ, სამხედრო-სადაზვერვო ინფორმაციას თხოვდა. ბოლოს ისიც მისწერა, შენი შეყვარებულისათვის რაიმე ნიშანი გამომიგზავნეო, თან ამშვიდებდა, შენი უბედობა მალე დამთავრდებაო.

ფატმანმა წერილი თავის გრძელ მსახურს გადასცა ნესტან-დარეჯანთან მისატანად. იმანაც არ დააყოვნა, ჯადოსნური მოსასხამი მოისხა და გაუჩინარდა. ქაჯეთის ციხეს რომ მიალწია, უკვე სალამოვდებოდა. ნესტან-დარეჯანის მცველთა რიცხვი კიდევ უფრო გაეზარდათ, მაგრამ გრძელ მსახურს არ გასჭირვებია ქალთან შეღწევა. ნესტან-დარეჯანი თავიდან ძალიან შეშინდა, როცა ოთახში მოულოდნელად გაჩენილი მოსასხამიანი და გრძელთმიანი ზანგი დაინახა, მაგრამ როგორც კი მოულოდნელმა სტუმარმა მოსვლის მიზეზი აცნობა, ქალი დამშვიდდა, მსახურს წერილი გამოართვა და კითხვას შეუდგა.

ჯერ ვერ დაიჯერა, რაც წერილში ეწერა; ძალიან მოულოდნელი იყო ყველაფერი. ერთი-ორი წაუტირა და ფატმანის მსახურს თხოვა მოეყოლა დაწვრილებით, ვინ იყო ეს ტარიელის ძმადნაფიცი. იმანაც მოუთხრო, თუ ვინ იყო ავთანდილი, რა მიზნით იყო ჩამოსული გულანშაროში და თვითონ რისთვის გამოგზავნეს ნესტან-დარეჯანთან. ისიც დასძინა, — ამას წინათაც ვიყავი აქ, მაგრამ მაშინ შენ ვერ შემამჩნიეო.

ახლა კი დაიჯერა ქალმა, რომ ყველაფერი სიმართლეს ჰგავდა. მიხვდა, რომ ფატმანი მის თავგადასავალს ვერავისგან შეიტყობდა, თუ არა კაცისაგან, რომელიც მართლა ტა-

რიელის გამოგზავნილი იყო. სტუმარს სთხოვა დალოდებოდა და პასუხის დასაწერად მაგისთან ჩამოჯდა.

მისწერა ფატმანს გახარებულმა, მაგრამ დანაღვლიანებულმა, – ხომ ხედავ, რა დღეში ჩავვარდიო? შენი წერილის წაკითხვა და ამბის გაგება ძალიან გამიხარდა; შენ ხომ დედასავით მომექეცი და ორჯერ დამიხსენი მოძალადეთაგან. ახლა ვზივარ ქაჯეთის ციხეში გამოკეტილი და ათასობით გუშაგი მდარაჯობს, მეფის დაბრუნებას ელოდებიან; ჯერ არ ჩამოსულა ლაშქრობიდანო.

ეს ციხე ისეა გამაგრებული და მას იმდენი მეომარი იცავს, რომ მისი აღება წარმოუდგენლად მეჩვენება. ტარიელის ძმადნაფიცს გადაეცი, არც ეცადონ შეტევას, დაილუპებიანო. მე უკვე ერთი სიკვდილი გავათავე და ახლა ჩემი შეყვარებული რომ მკვდარი ვნახო, ნამდვილად მოვიკლავ თავსო. მართალია, მე შენთვის არაფერი მიამბია, მაგრამ, ახლა, ეტყობა, შეიტყვე ჩემი და ტარიელის სიყვარულის ამბავი, ამიტომ, გთხოვ შეუთვალო, რომ საომრად წამოსვლა არ გაბედოს და თავი არ გასწიროს, მეც ნუ გამაუბედურებს, ჩემი მეყოფაო. ნიშნად მისივე ნაჩუქარი თავსაფარის ნაჭერს გიგზავნი, გადაეცი, გამიხსენოს ხოლმეო.

მერე, გადაწყვიტა ტარიელისათვისაც მიეწერა ორიოდ სიტყვა.

ამ წლების ემოციურმა დაძაბულობამ უცბად ამოხეთქა და ქალაღზე დატანილ ფრაზეზად მოჩუქურთმდა.

აღბათ ცოტაა ლიტერატურაში ასეთი ემოციური სტრიქონები. რუსთაველს ყველაფერი ძალუძს; იგი, აქ, ახალგაზრდა შეყვარებული ქალის ემოციებსა და ხასიათს სრულად ისიგრძეგანებს და უმშენიერესად აწყობს ლექსს. წაიკითხეთ, გაიხარეთ და იამაყეთ, რომ ჩვენი ენა ამგვარი გამომხატველობის საშუალებას იძლევა

და არსებობდა ხორციელი, ადამიანი, – შოთა რუსთაველი, რომელ-
მაც შეძლო ამის სრულად გამოყენება!

აი, თუნდაც ეს რად ღირს:

ჰე ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები,
ტანი კალმად მაქვს, კალამი — ნაღველსა ამონაწები,
მე გუელი შენი ქალაღდად გუელსავე ჩემსა ვაწები,
გულო, შავ-გულო, დაბმულხარ, ნუ აეხსნები, აწ ები!

ნახეთ, რა რიტმია, რა რითმა, რა ქართული, რამხელა ემოცია! ასე-
თი მარგალიტი ამ წერილში იმდენია, რომ ყველას ვერ ჩამოვთვლი.
წაიკითხეთ, ქართველებო, რუსთაველი!

ნესტან-დარეჯანი აგრძელებს.


გულახდილად გეტყვი, რომ აღარ მეგონე ცოცხალი. ახლა გავიგე, რომ
ცოცხალი ხარ, ისევ გიყვარვარ და მეძებ, ამიტომაც, უსასრულოდ ბედნიე-
რი ვარ, ღმერთს მადლობას ვწირავ. მე იმედად მხოლოდ ის მეყოფა, რომ
ვიცოდე, ამქვეყნად ხარ და გაგონდებიო. დანარჩენი რა მოგიტხრო, ქაჯე-
თის ციხეში ვზივარ, ათასეულები მდარაჯობენ და ფატმანმა, – ღმერთმა
უშველოს ამ ქალს, – გრძნეული მსახური გამომიგზავნა, რომ ჩემთვის ამ
რამდენიმე სტრიქონის მოწერის შესაძლებლობა მოეცა.

რაც თქვენს მიერ ამ ციხის აღებას შეეხება, უნდა გაცნობო, რომ ესენი უბ-
რალო მეომრები კია არა, გრძნეული ქაჯეები არიან. შენ რომ ადრე ლაშ-
ქრებს ძლევდი, ისე ამათ ვერ მოერევი. აჯობებს, არც შეეჭიდო, მოგკლავ-
ვენ და მეც გაგუბედურდები; თავი მექნება მოსაკლავი და ალბათ, კლდეზე
გადავიჩეხები ან დანას ჩავირტყამ გულში.

აქ, ნესტან-დარეჯანი უაღრესად ეზოთერიკულ ფრაზას ამბობს.
მოვუსმინოთ:

ღმერთსა შემეგდრე, ნუთუ კვლა დამხსნას სოფლისა შრომასა,
ცეცხლსა, წყალსა და მიწასა, ჰაერთა თანა ძრომასა;
მომცნეს ფრთები და აღვფრინდე, მივჭვდე მას ჩემსა ნდომასა,
დღითა და ღამით ვნედვიდე მზისა ელვათა კრთომასა.

დულარდუხტი, 22X18 სმ, მუყაო, გუაში,
ოქრო, კერძო კოლექცია, პარიზი





ქაჯეთის მეფის გარდაცვლილი დეიდა,
30X33 სმ, ტილო, ზეთი, მხატვრის
ოჯახის კოლექცია

ზედმიწევნით იცის რუსთაველმა, ჯერ პლატონის მოძღვრება სულის განშორების შესახებ, მერე მოძღვრება ელემენტებზე, მერე ის, რომ იმქვეყნად სურვილები სრულდება და ღმერთი მუდმივ შუქად ევლინება სულებს. შტაინერისტებს ვთხოვდი, ნუ დაიჩემებენ რუსთაველის ანთროპოსოფოსობას, თუმცა, ჩემთვის საკამათო არ არის, რომ შოთა რუსთაველი უმაღლეს მისტიკაშია განდობილი.

ნესტან-დარეჯანი, ეს წინააღმდეგობრივი პიროვნება, ახალგაზრდა ქალი, რომელიც თავისი სიყვარულისათვის მზად არის, ყველაფერი დათმოს და ამავე დროს, ცდილობს რაციონალური და გააზრებული დასკვნები გამოიტანოს შექმნილი მდგომარეობიდან, წერს თავის სატრფოს: ნულარ მელოდები, ინდოეთში დაბრუნდი და ქვეყანას შეეწიე, იქ უფრო საჭირო ხარო. მომიგონე ხოლმე და ამის ნიშნად, შენს ნაჩუქარ რიდეს ერთ კუთხეს ვაჭრი და გიგზავნი, რომ სამახსოვროდ გქონდესო.

რიდე როცა მოიხსნა კუთხის მოსაჭრელად, თმა გამოუჩნდა და მონამ, რომელიც ამ სცენას ესწრებოდა, გაკვირვებისაგან პირი დააფჩინა, – ისეთი მშვენიერი იყო ეს ქალი. ტარიელს მისი მნახველი ნებისმიერი კაცი გაუგებს.

წერილი და ნაჭერი ფატმანის მსახურს გადასცა და უკან გამოუშვა.

ფატმანმაც და ავთანდილმაც ძალიან გაიხარეს, როცა წერილები და ნიშანი მიიღეს. ავთანდილმა მაშინვე ფრიდონის ორი მსახური დაიბარა და ასე დაავალა: – ნურ-ად-დინთან დაბრუნდით, მოახსენეთ, რაც ნახეთ და უთხარით, არ ეწყინოს, რომ მე პირადად არ ვბრუნდები მასთან, ტარიელს უნდა შევხვდეთ. ამ მსახურებს გაატანა მთელი ნაალაფევი, რაც მეკობრეებისათვის ჰქონდა წართმეული.


რასაკვირველია, იქვე წერილიც მისწერა:

ძვირფასო ფრიდონ,

დიდო მეფე, ლომო, გულადო მებრძოლო და კარგო კაცო. წერილს გწერს შენი უმცროსი ძმა ავთანდილი და გითვლის გულითად სალამს შორეული გულანშაროდან. ბევრი ჭირი და უსიამოვნება გამოვიარე, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მოვძებნე ჩვენი საერთო ძმობილის, ტარიელის, მშვენიერი შეყვარებული.

ნესტან-დარეჯანი ქაჯეთის ციხეშია პატიმრად და უამრავი მეომარი დარაჯობს, თუმცა ქაჯები ამჟამად არ არიან ადგილზე. კარგი იქნება, შენ და შენი ძმადნაფიცი ტარიელი მყავდეთ გვერდით; კლდეებს დავანგრევდით ჩვენ სამი. იფიქრე, რომ, თუ შეძლებ, შემოგვიერთდე.





ბრძოლის შემდეგ, 20X17 სმ, მუყაო,
გუაში, კერძო კოლექცია, პარიზი

შემინდე, რომ პირადად ვერ შევძელი ჩამოსვლა, – ტარიელს უნდა ვახარო ეს ამბავი და გრძელი გზა მიდევს წინ. თუ რამეში დაგვეხმარები, კარგს იზამ. ამ ორი მსახურისათვისაც დიდ მადლობას გითვლი; კარგად მემსახურნენ, თუმცა, არ მიკვირს; შენი გამოზრდილები არიან და სხვაგვარ დამოკიდებულებას არც მოველოდი.

გითვლი სალამს,
სიყვარულითა და პატივისცემით,
შენი ავთანდილი.

წერილი დალუქა, ფრიდონის მსახურებს გადასცა, ზეპირადაც მოკითხვა დააბარა პატრონთან და ორივე გაუშვა. მერე ხომალდი გაიმზადა წასასვლელად. ავთანდილს ფატმანთან ერთად მისი ქმარიც ცრემლით ემშვიდობებოდა. ავთანდილი ტარიელთან მიილტვოდა, რომ მალე ეცნობებინა ეს სასიხარულო ამბავი. ზღვაზე არ მოუწია დიდხანს ყოფნამ, რამდენიმე დღეში მიადგა ნაპირს. საფხული დგებოდა, თითქმის მთელი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ავთანდილი ძმადნაფიცს დაშორდა. ველებზე და ბორცვებზე ვარდი უკვე გაშლილიყო, მზე თბილად ელამუნებოდა მთა-ველს. ჩქარობდა ავთანდილი. ეჭვი ჰქონდა გულში, – ამ ჩემმა ისტერიულმა ძმადნაფიცმა კიდევ არაფერი ივნოსო.

სულ მალე ტარიელის გამოქვაბული გამოჩნდა შორით. ავთანდილმა გაიფიქრა, – ეგ გამოქვაბულში არ დამიცდიდა, აქვე იქნება სადმე შამბნარშიო. არც შემცდარა; ცოტა ხნის ძებნის შემდეგ, ტარიელი ბუჩქებთან აღმოაჩინა: ხმალამოღებული იდგა და ახალმოკლულ ლომს დასცქეროდა. მისი ცხენი არსად ჩანდა. ავთანდილმა შორიდან შეუყიჟინა, დავბრუნდიო!

ავთანდილის ხმა რომ მოესმა, ტარიელმა ხმალი მოისროლა და ისიც ყიჟინით გაიქცა მეგობრის შესახვედრად. ძმურად გადაეხვივნენ და მოიკითხეს ერთმანეთი. გაიხარეს შეხვედრით. ტარიელმა ისევ ტირილი მორთო. ერთი ის, რომ ავთანდილის დაბრუნება გაუხარდა და მეორე კი, ისევ თავისმა სევდამ დარია ხელი. ავთანდილი, ტარიელის შემხედვარე, ეშმაკურად იცინოდა; იცოდა, რომ მომზადებული სიურპრიზი ამ მდგომარეობიდან გამოიყვანდა ტარიელს.

აღარ გაუწელია და ჰკითხა ტარიელს: – გინდა, ერთი სასიხარულო ამბავი გაცნობო? ტარიელმა ამოიოხრა: – ეჰ, შენი ნახვა უკვე ძალიან გამიხარდა და ამაზე მეტს რითი გა-

მასარებო? – და გააგრძელა ტირილი. ავთანდილმა რომ დაინახა, ტარიელი არ მშვიდდებოდა, მეტი აღარ დაუყოვნებია, რიდის კიდე და ნესტან-დარეჯანის წერილი დაუძრო მეგობარს. ტარიელმა შეყვარებულის ხელნაწერიც იცნო და რიდის კუთხეც. ავთანდილს, ორივე ხელიდან გამოსტაცა, ბაგეებით დაეკონა და, მერე, მეტისმეტი აღელვებისაგან, როგორც სჩვეოდა, გრძნობა დაკარგა. ავთანდილი ეცა გონდაკარგულ ძმაკაცს, ხან ასე უძახა, ხან ისე, ხან გაულაწუნა, ხან შეანჯღრია, მაგრამ ვერ მოაბრუნა. ჩაჯდა თვითონაც იქვე და ნანობდა, – უნდა შემეპარებინა, ასე პირდაპირ თქმა არ იყო საჭირო, ხომ ვიცოდი, რა შმაგიც იყო ეს ჩემი მეგობარი, მოვკალი კაცი! არ ჯობდა, ნელ-ნელა ჩამეყენებინა საქმის კურსშიო, ხომ იტყვიან: – სიჩქარეს ხშირად სიღინჯე სჯობსო.

წყაროს საძებრად გაიქცა, ეგებ წყალი ვაპკურო და ასე მოვასულიეროო. წყალი ვერსად იპოვა, მაგრამ ახალმოკლული ლომის სისხლი შეაგროვა ჯამში და ის ასხურა გულწასულს. ტარიელმა თავი წამოსწია. ჯერ კიდევ თავებრუ ეხვეოდა და ახალამოსულ მთვარესაც კი ლურჯად ხედავდა. მერე დაიწყო აზრზე მოსვლა.

მკითხველს კვლავ შევთავაზებ მცირე გადახვევას. რომანში, ამ ადგილას იმდენად ლამაზი სტრიქონები მოდის, რომ ისევ რუსთაველს უნდა დავეუთოო სიტყვა:

შამთარი ვარდთა გაახმობს, ფურცელნი შთამოსცვივიან,
ზაფხულის მზისა სიახლე დასწვაეს, გვალვასა ჩივიან,
მაგრა მას ზედა ბუღბუღნი ტურფასა ხმასა ყივიან, –
სიცხე სწვაეს, ყინვა დააზრობს, წყლულნი ორჯერვე სტკევიან.

აგრევე გული კაცისა მოსაგვარებლად ძნელია,
ჭირსა და ლხინსა ორსავე ზედა მართ ვითა ხელია,
მიწყვი წყლულდების, საწუთრო მისი აროდეს მრთელია.
იგი მიენდოს სოფელსა, ვინცა თავისა მტერია!

მე არ გამსვლია გაცემა, რომელიც ალბათ, ყველა ადამიანს უჩნდება რუსთაველის პოემის წაკითხვისას. საიდან იცოდა ამ კაცმა ამდენი? რა გონებიდან შეიძლება გაჩნდეს ჩვენი ემოციურობის ასეთი კონტა, უზადო და ზუსტი პოეტური ჩანახატი? და კიდევ ერთი: საიდან მოდის ეს იმედგაცრუება სოფლის, საწუთროს ანუ წუთის-სოფლისაგან?

მოკლედ, მოსულიერდა ტარიელი, მაგრამ წერილის წაკითხვა მაინც ვერ შეძლო: მოწოლილი ცრემლი უშლიდა ხელს. ავთანდილს თხოვა, შენ წამიკითხო. ავთანდილმაც წაუკითხა და ისიც დაუმატა, რაც წერილში არ ეწერა. ბოლოს უთხრა, – მორჩი ახლა ტირილს, მაგისი დრო არა გვაქვს, სასწრაფოდ უნდა გავემართოთ და სანამ ქაჯეთის მეფე და მთავარი ჯარი ციხესიმაგრეში არ მიბრუნებულია, ნესტან-დარეჯანი მანამ უნდა დავიხსნათო. ამ საუბარმა, მართლაც საბოლოოდ გამოაფხიზლა ტარიელი. უპირველესად ავთანდილს შესწირა მადლობა და უმწოდ დაასკვნა, შენ რაც სიკეთე გამიკეთე, იმას მე ვერ გადაგიხდი, ღმერთი მოგიზღავსო! მერე ფეხზე წამოხტა, მოწესრიგდა და ორივემ გამოქვაბულისაკენ გასწია.

ასმათი გამოქვაბულის შესასვლელთან იჯდა და ტარიელს ელოდა. ორი მხიარულად მომავალი მეგობარი რომ დაინახა, ჯერ შეცბა და ისევე, როგორც იყო, – მხოლოდ პერანგის ამარა, ისევე გაეგება კაცებს. ამათაც აღარ გააწვალეს ქალი და სასიამოვნო ამბავი აცნობეს. ავთანდილმა დასავით გადაკოცნა ასმათი და ნესტან-დარეჯანის წერილი მიაწოდა. თან დაამშვიდა:

ავთანდილ უთხრა: "ნუ გეშის, ეგე ამბავი მრთელია; ლხინი მოგვეცა, მოგეშორდა ყოველი ჭირი ძნელია, მზე მოგვეახლა, უკუნი ჩვენთვის აღარა ბნელია, ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!"

ჯერ ქალი არ გამოუხსნიათ და ავთანდილი უკვე ფილოსოფოსობას იწყებს, თითქოს ყველაფერი მოეთავებინოს.

წაიკითხა ასმათმა თავისი ახალგაზრდა ქალბატონის ხელით ნაწერი. დიდად გაიხარა და მერე, სამივემ ღმერთს მადლობა შესწირა საქმის ასე შემობრუნებისათვის. ბოლოს გამოქვაბულში შევიდნენ. კაცები საპურმარილოდ დასხდნენ, ასმათს უკვე ევახშმა და ამათ მასპინძლობდა.

ცოტა რომ ისაუბრეს და დანაყრდნენ, ტარიელს გაახსენდა, რომ გამოქვაბულის სიღრმეში დევების სიმდიდრე, აღჭურვილობა, იარაღი და ნალაფევი ეგულეობდა. ეგებ ახლა შეეტნებოთ კარები და ვნახოთ რა არის, აუცილებლად ვიპოვნიოთ რამეს, რაც გამოგვადგებაო. – უთხრა ტარიელს. ასეც მოიქცნენ: ორმოცი კარის შეღეწვა დასჭირდათ და ორმოცივე ოთახში აუწერელი სიმდიდრე და იარაღი აღმოაჩინეს. თვალ-მარგალიტიც ბევრი იყო, ოქროს მონეტები და სამკაულიც, იარაღი და აბჯარი კი წნილივით მიჯრით იყო ჩალაგებული, – როგორც ამას რუსთაველი გადმოგვცემს. ერთგან დიდი დაბეჭდილი სკივრი იპოვნეს. ამ სკივრს წარწერა ჰქონდა: – სკივრის შიგთავსი.

ქაჯების წინააღმდეგ გამოსაყენებელი საბრძოლო აღჭურვილობა:
აბჯარი – 3 კომპლექტი;

ჯაჭვ-მუზარადი – 3 კომპლექტი;

ხმალი, ძალიან ბასრი, გალესილი – 3 ცალი.

დანიშნულების გარეშე გამოყენება სასტიკად აკრძალულია!

ამოლაგეს, მოიზომეს, ხმლები გასინჯეს. აღჭურვილობა უჟანგავი ფოლადისა, ნაწრთობი და ხმალშეუვალი აღმოჩნდა, ხოლო ხმლები რკინასაც კი ბამბასავით კვეთდა. ძალიან გაიხარეს და ეს ნაპოვნი ღვთის ნიშნად მიიღეს; – ეტყობა, ღმერთი ჩვენს მხარეზეა, რადგან ასეთი ძღვენი გვიწყალობაო. მერე ერთხანს ირგებდნენ ახალ ჯავშან-მუზარადს, ხმლებს ყველას ფხა გაუსინჯეს და ერთი პირი აღჭურვილობა ფრიდონისათვის წასალეზად შეკრეს. ოქროც და თვალმარგალიტიც საკმარისად გამოზიდეს; – ვინ იცის, გზაში როგორ დაგვჭირდესო. სიმდიდრის ნაწილი იქვე დატოვეს და კარები ხელახლა დაბეჭდეს. მერე გამოქვაბულიდან გარეთ გამოვიდნენ, ღამეს გახედეს და გადაწყვიტეს მეორე დღით ადრიანად გასდგომოდნენ გზას. გამოქვაბულის წინ, მთვარის შუქზე მდგარი ორი შეკაზმული ვაჟკაცი მართლაც ულამაზესი საცქერო იყო.

სამწუხაროა, რომ არც მხატვარი იყო იმ წუთას მათ გვერდით და ჯერ არც ფოტოგრაფირება გამოეგონა კაცობრიობას, რომ ეს ორი გმირი ამ ისტორიულ ღამეში სამუდამოდ აღებეჭდა.

ღილით ადრე მიაშურეს მულაზანზარს; ფრიდონთან უნდოდათ შეეგლოთ და ქაჯებთან საომრად წაეყვანათ თან. ასმათიც ცხენზე შემოისვეს და წაიყვანეს. მულაზანზარის მისადგომებთან მეჯოგეებს გადაეყარენ. ტარიელმა გადაწყვიტა შეხუმრებოდა ფრიდონს და ავთანდილს შესთავაზა, – მოდი, ჯოგს შევესიოთ, ვითომ წალალვა გვინდაო. ნურადღინი გაიგებს, გამოგვიხტება და ჩვენ რომ გვიცნობს, გაცდებო. მართლაც ასე მოიქცნენ. შეუვარდნენ ჯოგს და ვითომ გადენა უნდოდათ, მიფანტ-მოფანტეს. მეჯოგეები აყვირდნენ, მაგრამ ამ ორთან რას გახდებოდნენ?

აფრინეს ნურადღინთან მოამბე, – თავს დაგვეხსნენო. ისიც მაშინვე გამოვიდა შეიარაღებული რაზმის თანხლებით „ყაჩაღებთან“ გასამკლავებლად. როდესაც ფრიდონი ტარიელს და ავთანდილს მიუახლოვდა, ამათ მუზარადები მოიხსნეს და შეეგებენ, – რა იყო, რა დაგიშავეთ, ამხელა რაზმით საომრად რომ მოგვდევო? ფრიდონმა რომ ძმობილები იცნო, ცხენიდან ჩამოხტა, სიყვარულით მიესალმა, თაყვანი სცა. სამივეს გაეხარდა ეს შეხვედრა. იყო ერთმანეთის გადახვევა, გადაკოცნა და მხარზე ხელის ბრაგუნა.

შეხვედრის სიხარულმა რომ ჩაიარა, ფრიდონმა უთხრა, – წერილი მივიღე და აქამდეც გელოდით; რასაკვირველია, მზადა ვარ თქვენთან ერთად საომრად წამოსასვლელადო. ესეც ძალიან გაეხარდათ სტუმრებს. მერე სამივე სასახლისკენ გაემართა. აქ ფრიდონს ქაჯებთან საბრძოლო აღჭურვილობა გადასცეს, ბოდიში მოუხადეს, რომ ამჯერად სხვა ძღვენი არაფერი ჩამოუტანიათ და საქეიფოდ დასხდნენ. იმ ღამეს მაგრად მოუღბინეს;


სვეს, ჭამეს, აბანოში დაიღობილეს ძვალ-ხორცი, ილაღობეს, ისე, როგორც სამ დიდგვაროვან ვაჟკაცს შეშვენის.

მეორე დილას მასპინძელმა თვითონ წამოიწყო: – ქეიფი და დროს ტარება კი კარგია და თქვენზე უკეთეს სტუმარს სად ვნახავ, მაგრამ, მე მგონი, სალაშქროდ ვართ წასასვლელი და მოდით, ნულარ დავაყოფნებთ, ჯარის დაბრუნებამდე ვცადოთ ქალის გამოხსნაო. ესეც დასძინა: – დიდი ჯარით იქეთ წასვლას აზრი არა აქვს, ჯობს ცოტა გავიყოლიოთ, მაგრამ, მართლაც ნარჩევი მეომრები. მე ქაჯეთში ერთხელ ნამყოფი ვარ და ვიცი, ღიად ვერ მივუდგებით, ისეთ კლდეზე უდგათ ციხესიმაგრე, რომ იმას პირდაპირი იერიშით ვერავინ დაიპყრობს, რაიმე ხრიკი უნდა ვიხმაროთო.

ტარიელსა და ავთანდილს ფრიდონისაგან წაქეზება არ დასჭირვებიათ, თვითონაც ალესილები იყვნენ და საომრად ბორგავდნენ. ასმათი ფრიდონის სასახლეში დატოვეს, გაიყოლიეს სამასი ნარჩევი მეომარი და ზღვით გაუდგნენ ქაჯეთის გზას. ფრიდონმა ეს გზები იცოდა და როცა ქაჯეთის მიდამოებს მიუახლოვდნენ, მეგობრებს შესთავაზა, – ახლა ღამით უნდა ვიაროთ, რომ ქაჯებმა არ გვიგუმანონო.

როცა მოსალამოვდა, მიადგნენ ქაჯეთის კლდეს. მოფარებულ ადგილას დაბანაკდნენ და ცდილობდნენ სიჩუმე დაეცვათ. მაღლა, ქალაქის თავს სიმაგრე მოსჩანდა. მისი ქონგურები ზღვას გადმოჰყურებდა კუმტად. ქალაქს მაღალი გალავანი ერტყა, რომელსაც სამი კარიბჭე ჰქონდა, სამივე დარაზული. ქალაქს ციხესთან ერთადერთი გვირაბი აკავშირებდა, რომელიც კლდეში იყო გამოკვეთილი და მას ასეულები იცავდნენ. ამომავალი მთვარის შუქზე ყველაფერს იდუმალების ელფერი დაჰკრავდა. გადაწყვიტეს ეთათბირათ. დაასკვნეს, რომ ამ ათასების მორევა მხოლოდ სიბრძნით, სწორი სტრატეგიითა და გააზრებული ტაქტიკით იყო შესაძლებელი.


ჯერ ფრიდონმა დაიწყო: – ამ სამასი კაცით ამხელა ჯარს, პირისპირ, ათასი წელიც რომ ვეომოთ, ვერ გავუმკლავდებით. ამიტომ, რომელიმე ჩვენგანი ციხის შიგნით უნდა მოხვდეს, რომ სხვებს კარიბჭე აუხსნასო. თავის დროზე, ბავშვობაში ბაგირზე სიარული მაქვს ნასწავლი. ყველას აჯობებს, ციხის ერთ-ერთ ბურჯზე გრძელი საბელი ავტყორცნოთ, დაჭიმოთ და ამ საბელით გადავძვრები ქონგურზე და მერე ციხის შიგნითაც შევალ. იქ დაცვას გავწყვეტ, კარს გაგიღებთ და თქვენც ჯარით შემოიჭრებითო.



მეომარი 1, 12X9 სმ, მუყაო, გუაში, მხატვრის ოჯახის კოლექცია

მეომარი 2, 12X9 სმ, მუყაო, გუაში, მხატვრის ოჯახის კოლექცია







ნაომარი ქაჯეთის ციხე, 20X15 სმ, მუყაო, გუაში, კერძო კოლექცია, პარიზი

მერე ავთანდილმა აიღო სიტყვა. – ყველაფერი ეგ კარგი, ჩემო ფრიდონ; არც შენს ვაჟკაცობაში ეპარება ვინმეს ეჭვი და არც შენს მოხერხებულობაში, მაგრამ, გესმის, აქ როგორ ისმის გუშაგების ხმა? შენ რომ ამხელა აბჯრით და შეიარაღებით ბაგირზე გახვალ, ისინი ხომ გაიგონებენ ამასო? გადაჭრინ თოკს და კარგად მეყოლე, – ჩამოგაგდებენო. მაგას აჯობებს, მე შევიპარო ციხეში. ვაჭრის ტანისამოსს გადავიცვამ, რომელიმე ალაღში გავვერევი, ამ აბჯარს ჯორს ავკიდებ, ციხეში შევალწევ, მცველებს დავხოცავ და ღიად დავიგდებთ კარიბჭესო.

ბოლოს ტარიელმა გამოთქვა თავისი მოსაზრება. ბიჭებო, ორივე ვაჟკაცები ხართ, ვიცი და, რაც თქვით, იმას იზამთ კიდევ, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, აქ ჩემი შეყვარებულის დასახსნელად ვართ მოსული, თქვენის ხომ არა? თქვენ რომ გალავანში ომს ატეხავთ, ჩემი ქალი აურზაურს გაიგონებს, გადმოდგება ფანჯრიდან და რომ ვერ დამინახავს, რას იტყვის? ხომ იფიქრებს, რომ შემეშინდა, ხომ აიყრის ჩემზე გულსო? ამიტომ, მოდით ასე ვქნათ: – ას-ასი კაცი წავიყვანოთ და სამი მხრიდან შეეუტიოთ დილის რიჟრაჟზე. გუშაგები ჯერ იმ მხარეს წავლენ, საიდანაც პირველი თავდასხმა განხორციელდება და გვირახს მოშორდებიან, მეორე და მესამე რაზმი ამით ისარგებლებს და უკვე უშუალოდ გვირახს შეუტევსო.

ფრიდონს მოეწონა ტარიელის გეგმა და ხუმრობით უთხრა, – ეჰ, რომ მცოდნოდა, ქაჯეთის ციხის დასალაშქრად მოვდიოდი, მაგ ცხენს არ გაჩუქებდი, ისეთი სწრაფია, პირველი მიჭენდება გვირახის შესასვლელთანო. სამივემ გაიცინა ამ ხუმრობაზე. მერე კიდევ ცოტა ხანს ისაუბრეს, დეტალები გაარჩიეს და დილის შეტევის სამზადისს შეუდგნენ. სამი ასეული გაინაწილეს, ცხენები გაამზადეს, მიმართულებები დააზუსტეს და ცოტა დაისვენეს.

გარიჟრაჟზე წამოიწყეს შეტევა. პირველი ასეულის მეომრებმა ჯერ ფარები გადაიფარეს, რომ აღჭურვილობა არ გამოეჩინათ და ნელი სვლით გალავნის ერთ-ერთ კარიბჭეს მიუახლოვდნენ. დაცვას არაფერი უეჭვია, – ბინდ-ბუნდში მგზავრების სიმშვიდით მიდიოდნენ მეომრები. მერე, მოულოდნელად ფარები ჩამოსწიეს, მუზარადები ჩამოიფხატეს, ცხენებს მათრახი გადაჰკრეს და ელვისებურ შეტევაზე გადავიდნენ. პირველივე ასეულმა დაძლია კარიბჭის დაცვა და ქალაქში შეიჭრა. მას დანარჩენი ორი კარიბჭიდან მეორე და მესამე ასეული მიჰყვა. სულ მალე ქალაქში სამი მხრიდან შეიჭრა ჯარი. გალავნის შიგნით გაჩაღდა ქაჯთა ხოცვა-ჟლეტა, წამოვიდა სისხლის მდინარე, დახვავდა გვამები. ეტყობა, ცის ძალები გაუწყრნენ მა-

ქაჯეთის ციხის აღება, 140X130 სმ, ტილო, ზეთი, მხატვრის ოჯახის კოლექცია

შინ ქაჯეთს: დადგა ცოდვის ტირილი, ქალაქში ქუჩები და გალავნისწინა მინდორი ვერ იტყედა განგმირულებს, იყო კენესა და გოდება. ავთანდილი და ფრიდონი მედგრად მიუძღოდნენ მეომრებს და ჰკაფავდნენ ქაჯებს. ტარიელი ისე უყიჟინებდა მტერს, რომ უკვე თავისი ხმით აგდებდა ძირს, ზოგიერთისათვის ხმლის გაჰკვრა არც დაჭირვებია. სხვებიც ენერგიულად ებრძოდნენ ქაჯებს. მზეს ჯერ ზენიტისთვის არ მიეღწია, რომ ქალაქი დაეცა. ციხის დაცვაასაც აღარ გაუწევია დიდი წინააღმდეგობა.

როდესაც ომის ყიჟინა და ორომტრიალი ოდნავ მიწყნარდა, გალავანს შიგნით ავთანდილი და ფრიდონი შეიყარნენ. გაიხარეს, რომ ცოცხალი და დაუშავებელი ნახეს ერთმანეთი. ტარიელი მოიკითხეს. ვერსად მოჰკრეს თვალი და გადაწყვიტეს იქ ექებნათ, სადაც ყველაზე მეტი დახოცილი ქაჯი ეყარა. ტარიელს, მართლაც სისხლიანი კვალი დაეტოვებინა: მტერთა აბჯარი, მუზარადი, იარაღი და გვამი ერთმანეთში იყო აღრეული. ამ სისხლიან კვალს დაადგნენ, მიხვდნენ, რომ ეს ტარიელის საქმე იქნებოდა. გვირაბის შესასვლელს მიადგნენ და კოშკისაკენ აუყენენ. აქაც იგივე სურათის შემსწრე გახდნენ: ვეფხისტყაოსანს ცოცხალი არავინ გაეშვა: გზა გვამებს დაეფარა.

როცა კოშკში შეაღწიეს, საოცარ და მშვენიერ სცენას შეესწრნენ: ტარიელს მუზარადი მოეხადა, ნესტან-დარეჯანს გადახვეოდა. ვაჟი და ქალი ერთმანეთს ნაზად ეალერსებოდნენ და ტუჩზე ჰკოცნიდნენ. ნესტან-დარეჯანმა ავთანდილი და ფრიდონი რომ დანინახა, ტარიელს ხელიდან გამოუსხლტა და მათაც, ამჯერად უკვე დასავით, გადაეხვია და ორივე გადაკოცნა. კაცები ზრდილად მიესალმნენ ქალს, ხოლო ტარიელს გამარჯვება მიულოცეს. ისევე, როგორც ეს ორნი, არც ტარიელი იყო დაშავებული ან დაჭრილი, ნაკაწრიც არ ჰქონია.

მერე შეუდგნენ გადარჩენილთა ძებნას და ალაფის შეგროვება დაავალეს მებრძოლებს. სამასიდან ასორმოცი კაცი დაეკარგათ. მსხვერპლი კი დიდი იყო, მაგრამ ქაჯეთის ციხის აღება ამად ღირდა. სამიათასი ჯორი და აქლემი შეგროვდა თვალ-მარგალიტით, ოქრო-ვერცხლითა და სხვა ალაფით სრულად დასაპალნებული.

ნესტან-დარეჯანი ტახტრევანში მოათავსეს, სამოცი კაცი ციხის მცველად დატოვეს და გზას დაადგნენ. გეზი გულანშაროსაკენ აიღეს, ოთხივეს ეწადა ფატმანთან შეხვედრა.



მუსიკოსი ფლეიტისტი, 17X19 სმ, მუყაო, აკვარელი, მხატვრის ოჯახის კოლექცია

ამბორი, 30X50 სმ, მუყაო, გუაში, კერძო კოლექცია, ვაშინგტონი





მელიქ-სუხრაგი, 16X20 სმ, ქალაქი,
გუაში, კერძო კოლექცია, პარიზი

ქორნილები

ტარიელმა გულანშაროს მეფეს მელიქ-სურხავს გზიდან მახარობელი გაუგზავნა. უთვლიდა, – რამდენიმე დღეში შენს ტერიტორიაზე გავივლით, მაგრამ გვეჩქარება და ქალაქში ვერ ჩამოგაკითხავთ. თუ არ დაგვზარდები, გზაზე შეგვეგებე და თან ფატმანი წამოიყოლე, მისი ნახვა ყველას გვენატრება, იმდენი მადლი აქვს ჩვენზე, ჩვენც გვინდა მადლობა გადავუხადოთო. ქაჯეთის ციხიდან დახსნილი ჩემი გულისწორიც თან მახლავს; ხოლო თვით ციხე დავიპყართ და შენ მინდა ჩაგაბარო. სამხედრო ნაწილები გაგზავნე და გაამაგრეო.

როდესაც ტარიელის ცნობას მოუსმინა, ზღვათა მეფემ ღმერთს მადლობა აღუვლინა. არ დაუყოვნებია, ქარავანი დაატვირთინა სანოვაგითა და საჩუქრებით და ქაჯეთის ციხიდან მომავალ გამარჯვებულთა შესახვედრად გაემართა. რასაკვირველია, ფატმანიც თან გაიყოლა, როგორც სთხოვეს. ათი დღე მოუდნენ გზას, რადგანაც ალალი გადატვირთული იყო; გულანშაროს მბრძანებელი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილის გამართვას აპირებდა და იმდენი რამ წამოეღო თან, რომ სამ ქორწილს ეყოფოდა.

ამასობაში, ტარიელი და მისი ამაღაც შევიდა გულანშაროს ტერიტორიაზე. მეორე მხრიდან მეფეც მოახლოვდა თავისი ამაღით და ქარავნით. შეეგებენ ერთმანეთს, ახალგაზრდა ვაჟკაცებმა სათანადო პატივი მიაგეს მსცოვან ზღვათა მეფეს, იმანაც სიყვარულით მიიღო სამივე. ფატმანი სიხარულით ადგილს ვერ პოულობდა, დაკოცნა ნესტან-დარეჯანი, მიეფერა, მიუაღერსა. ღმერთს მადლობა შესწირა და დაიჯერა, რომ ბოროტს მართლაც კეთილი სძლევს ადრე თუ გვიან. ნესტან-დარეჯანიც უაღრესად ბედნიერი იყო ფატმანთან შეხვედრით.

გულანშაროს მეფემ ქორწილი გადაიხადა. შვიდი დღე აქეიფა სტუმრები. ქაჯეთის ციხის საჩუქრად მიღებაც განსაკუთრებით აღნიშნა. ფანტასტიკური საჩუქრები დაურიგა ყველას.

რუსთაველი დაწვრილებით ჩამოთვლის ამ საჩუქრებს. მართალია, ეს სია ჰომეროსის გემთა ჩამონათვალთან ვერ მივა, მაგრამ, ინფორმაციისათვის, მაინც მოვიყვან, თუ მთავარი გმირებიდან ვის რა ძღვენი ერგო.

ტარიელს:

გვირგვინი, ვერ დანადები ფასისა,
იაგუნდისა ძრთელისა, ყვითლისა, მეტად ხასისა,
კვლა ერთი ტახტი ოქროსა, წითლისა მართ ხალასისა. . .

ნესტან-დარეჯანს:

ყაბაჩა. . . შექკული თვალითა,
იაგუნდითა წითლითა, ბადახშითა და ლალითა. . .

ავთანდილს და ფრიდონს:

უსაზომოდ დიდი ძღვენი,
ძვირფასისა უნაგაზი, უკეთესი თვითო ცხენი,
თითო კაბა თვალიანი, უცხო ფერთა შუქთა მფენი. . .

რასაკვირველია, დასაჩუქრებულებმა კმაყოფილებით მიიღეს ძღვენი და მეფეს მადლობა მოახსენეს. ტარიელმა ქაჯეთიდან წამოღებული მთელი ნაალაფევი ფატმანს გადასცა. სამივე გმირი შვილივით მოეფერა მეფეს და ბოლოს, – ერთი ხომალდი მოგვეცი სახლში დასაბრუნებლადო, – ესლა სთხოვეს.

მეფემ, რასაკვირველია, ხომალდი სათანადოდ გაამზადებინა, გაამართვინა, დაუტვირთა, თუმცა ისიც დასძინა, – კარგი იქნებოდა, ცოტა ხანს კიდევ დარჩენილიყავით ჩემთანო.

გმირები გულანშაროს მეფეს, ფატმანს, სხვა მასპინძლებს თბილად გამოემშვიდობნენ და მხიარულად დაიძრნენ მულაზანზარისკენ. ზღვა რამდენიმე დღეში გადალახეს და ხმელეთზე გავიდნენ. აქედანაც მახარობელი გაგზავნეს, ამჯერად ასმათთან, – მოვდივართ და ქალი მოგეყავსო. ზღვის ნაპირს მიჰყვებოდნენ და სულ მალე ნურ-ად-დინის ქვეყანას მიადგნენ. რასაკვირველია, ფრიდონს მთელი სასახლის კარი და დიდებულობა გამოეგება. ასმათიც გამოსულიყო. შეიქმნა ისევ სიხარული, ხვევნა-კოცნა და ბედნიერების ღვარღვალა ცრემლების ფრქვევა.

ამ ზარ-ზეიმში, ფრიდონმა, როგორც ეს გონიერ ხელმწიფეს ეკადრება, ასორმოცი დალუპული მეომრის მოსახსენიებელი სამგლოვიარო ცერემონია ჩაატარა. მიუსამძიმრა

ბრძოლის ველზე დახოცილთა ოჯახებს და ავთანდილისგანაც და ტარიელისგანაც მიიღო სამძიმარი.

გმირებმა მულაზანზარში ტრიუმფალური სვლა მოაწყვეს; ხუმრობაა, მეფე ინდოეთისა, მომავალი მეფე არაბეთისა და მეფე თვით მულაზანზარისა გამარჯვებული დაბრუნდნენ! იყო საზეიმო მსვლელობები, ისმოდა დაფდაფების, ბუკისა და ნალარის ხმა, იყო ცეკვა-თამაში, გართობა და მხიარულობა. საჩუქარიც უხვად დარიგდა.

ფრიდონი ხომ ასეთ სტუმრებს უბრალოდ არ გაუშვებდა; იმავე დღეს გადაუხადა ქორწილი ნესტან-დარეჯანსა და ტარიელს. დიდი, თეთრი და ძოწისფერი, წითელ-ყვითელი ძვირფასი ქვებით მორთული უძვირფასესი ტახტი დაუდგა შეუღლებულებს. აქ დააბრძანა, მათ წინ უზარმაზარი სუფრა გააშლევინა და თვითონ საჩუქრების ასარჩევად დაეთხოვა. მასპინძელი მალევე დაბრუნდა უკან. ტარიელსა და მის ცოლს ბატის კვერცხისხელა ცხრა მარგალიტი, ბევრი სხვა ძვირფასი ქვა თუ სამკაული აჩუქა. ავთანდილსაც ერთი სინი მოართვა, მარგალიტებით სავსე.

ქორწილი რვა დღეს გაგრძელდა. იყო ჭამა-სმა, ცეკვა-თამაში, ახალდაქორწინებულთათვის საჩუქრების ჩუქება და მილოცვები. მერვე დღეს ტარიელმა ფრიდონს უთხრა, – შენც ხომ იცი, ავთანდილმა რამდენი კეთილი საქმე გამიკეთა და მასთან ვალში ვარ. ახლა ჩემი ჯერი დადგა, რომ მივეხმარო, რალაც ძალიან დაღვრემილი ჩანს, ეგებ მიხვიდე, გამოელაპარაკო და გაიგო, როგორ შემძღვია მხარში დაუდგე. თუ თვითონ არაფერს გეტყვის, მაშინ ასე უთხარი, ტარიელი გთავაზობს, არაბეთს მივიდეთ, მეფეს ქალიშვილის ხელი ვთხოვოთ, სადაც ენით ვერ გავჭრით, ხმლით გავჭრათ და ბარემ ეს საქმეც მოვითავოთ თქო. ესეც გადაეცი, სანამ შენ ცოლს არ მოგაყვანილებს, ტარიელი თავის ცოლს ქმრობას არ გაუწევს თქო!

ავთანდილმა რომ ტარიელის დანაბარები მოისმინა, გაეცინა, – რად მინდა თქვენი დახმარება, მეც ქაჯების ციხიდან კი არა მყავს ქალი გამოსახსნელი; თავისივე სასახლეში მეფობს ჯანმრთელი და მოვლილი. ფრიდონს უთხრა, – ტარიელს გადაეცი, მას ჩემი არავითარი ვალი არ დარჩენია და პირიქით, მასთან ყოფნა და მის გვერდით დგომა, ჩემთვის საამაყოა. ამიტომაც, თუ ჩემი სურვილი აინტერესებს, ვეტყოდი, რომ მე მისი გამეფება გამინარდებოდა ინდოეთში. მხოლოდ ამის მერე დავბრუნდები არაბეთშიო.

ტარიელმა ავთანდილის აზრი რომ მოისმინა, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: – არ დამიწყით ახლა გადარწმუნება, ინდოეთში წადიო. ჯერ აუცილებლად არაბეთში უნდა ჩავიდე, იქაურ მეფეს ვეახლო და ბოდში მოვუხადო იმ მსახურთა დახოცვისთვის, მდინარის პირას რომ შემომაკვდნენ. გარდა ამისა, არაბეთის მეფეს ქალი უნდა ვთხოვო ავთანდილისათვის, მე ხომ ვერ მეტყვის უარსო.

ამის გაგებაზე ავთანდილი ანერვიულდა და ჩაუვარდა ფეხებში ტარიელს, მეფემ რომ ქალის გამოტანებაზე უარი გითხრას, უნდა შეებრძოლო და ნუ ამაწვეინებ სმალს ჩემს გამზრდელზე, ისედაც კმარა, რაც ვაკადრე. როსტევეანს რომ დავუპირისპირდეთ, მაშინ თინათინსაც ეწყინება და შემიძულეფსო.

ახლა უკვე ტარიელი გამხიარულდა: საჩხუბრად კი არა, სამოყვროდ და სამაყროდ მივდივართ, მეფეს შევეხვეწები ქალი მოგცეს, რომ ერთმანეთი დაამშვენოთო. შენ იმდენი სიკეთე მიყავი და ისე გამაბედნიერე, რომ ველარ გიყურებ დანალვლებულს, შენც უნდა მოგაპოვებინო შენი შეყვარებული, ეგებ მაშინ გაიხარო. მოკლედ, არაფრის გაგონება არ მინდა, ხვალ მე არაბეთისკენ უნდა დავიძრა და ვინც წამომყვებით, მომყევითო.

ავთანდილმა, როცა დაინახა ტარიელი თავისას არ იშლიდა, ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინა და გზისთვის მზადებას შეუდგა. ფრიდონმაც გადაწყვიტა გაჰყოლოდა გმირებს და ამაღლისათვის საუკეთესო მეომრების ერთი ასეული შეარჩია.

აქ რუსთაველი, რატომღაც ფსევდო-დიონისე არეოპაგელის, – მეექვსე საუკუნის ცნობილი თეოლოგის – ავტორიტეტს მოიხმობს და ამტკიცებს, რომ ღმერთი მხოლოდ სიკეთეს მოავლენს და არა ბოროტსო. ამასთან, მხოლოდ ღმერთია უზადო და სრულყოფილიო.

ახალშეუღლებულები, ფრიდონი და ავთანდილი გზას დაადგნენ. თან მოზრდილი ამაღლა გაიყოლიეს. ნესტან-დარეჯანი ტახტრევანით მიჰყავდათ. კაცები ცხენებზე ისხდნენ. გზადაგზა ნადირობით ერთობოდნენ, ლაღობდნენ, შემხვედრსა და გამვლელ-გამოვლელს თბილად ესალმებოდნენ. ვინც ეგებებოდა, ყველა პატივს მიაგებდა და ხოტბას ასხამდა გმირებს. გეზი ჯერ ტარიელის გამოქვაბულისკენ ეჭირათ და რამდენიმე დღეში მიადგნენ კიდეც ამ ადგილებს; კლდესა და კლდის ძირას მოჩუხჩუხე რუს.

აქ უკვე ტარიელმა გამოიძო თავი და მეგობრებს შესთავაზა, – ბარემ რადგან აქეთ შემოვიართ, ახლა ასმათმა გვიმასპინძლოს, ნახეთ, სად ვცხოვრობდი, რას ვჭამდი და ვსვამდი წლების განმავლობაშიო. ავიდნენ რუს თავზე გამოქვაბულში. აქაც გაიშალა სუფრა. ირმის ხორცი მიირთვეს, იმხიარულეს, ილაღეს. მერე ტარიელმა დაბეჭდილი კარები ახსნა და დევების განძი გამოაზიდვინა, რომელიც მან და ავთანდილმა გადაინახეს. ტარიელ-



მუსიკოსები საყვირებით, 16X20 სმ, მუყაო, აკვარელი, კერძო კოლექცია, ბერლინი

მა ამ სიმდიდრის დიდი ნაწილი ფრიდონის ამაღას გაუნაწილა, ისე, რომ არავინ გამორჩენია დაუსაჩუქრებელი. რაც დარჩა, – და ეს დარჩენილიც არ გახლდათ მცირე, – სულ ფრიდონს გადასცა მადლობისა და პატივისცემის ნიშნად. ფრიდონმა საჩუქარი კი მიიღო, მაგრამ ტარიელს სთხოვა, უკან ნუ გამიშვებ, კიდევ ერთ ხანს დამიტოვე შენს გვერდით; თქვენთან ყოფნა მიხარიაო. ტარიელიც დათანხმდა. ნურ-ად-დინმა კაცი გააგზავნა თავისთან, რომ აქლემები მოეყვანათ და ეს მთელი ავლადიდება მულაზანზარში წაეღოთ.

ამის შემდეგ სამივე გმირი პირდაპირ არაბეთისაკენ დაიძრა. როდესაც ქვეყნის საზღვარი გადალახეს, ტარიელმა კაცი აფრინა როსტევანთან, – მალე გეახლები, მე, ინდოეთის მეფე, პატიების სათხოვნელად მოვდივარ, ამ რამდენიმე წლის წინათ მსახურები რომ დაგიხოცე და შენც ძალიან გაწყენინეო. ძღვენი ვერ მომაქვს, მაგრამ თქვენი საყვარელი ავთანდილი მომყავს თან და მეფე ფრიდონ მულაზანზარელიც მახლავს ამალითო.

როსტევანიცა და თინათინიც ამ ცნობამ უზომოდ გაახარა. მოხუც მეფეს თითქოს ჯანი შეემატაო და თინათინიც კიდევ უფრო მშვენიერი შეიქმნა. მაშინვე გაიცა განკარგულება დაეწყოთ სამზადისი. იქვე გაემზადნენ სტუმართა შესაგებებლად დიდი ამალით. ამაღას თვით როსტევანი გაუძღვა. ყველა გახარებული იყო მაღალი სტუმრის მოლოდინითა და ავთანდილის დაბრუნებით.

როდესაც მასპინძელთა ამაღის მიერ გზაზე აყრილ მტვერს მოჰკრა თვალი, ავთანდილი ტარიელს მიუბრუნდა და სთხოვა: – აგე, ჩემი აღმზრდელი და არაბეთის მეფე მოდის ჩვენს შესაგებებლად, მაგრამ მრცხვენია და მერიდება პირისპირ შევხვდე, ნაწყენი იქნება ჩემზე და ეგებ ჯერ შენ და ფრიდონი დაელაპარაკოთ, რა ხასიათზეაო. ტარიელმა უპასუხა, – კარგია, შენ შენს მეფეს ასე რომ ეკრძალები, მომწონს ამგვარი დამოკიდებულება. ახლა, მოდი შენ გვერდზე გადაექი და მასთან შენი შერიგება მე მომანდე. ყველაფერს მოვუყვები და, წესით, უნდა შეგინდოს გაპარვაო. ასეც მოიქცნენ; ავთანდილი იქვე დარჩა კარავში. ნესტან-დარეჯანიც დატოვეს და მხოლოდ ტარიელი და ფრიდონი გაემართნენ არაბეთის მეფის შესაგებებლად.

როდესაც ტარიელი და ფრიდონი მასპინძელთა ამაღას მიუახლოვდნენ, როსტევანი ცხენიდან ჩამოხდა და სტუმრებს პირადად შეეგება. სტუმარ-მასპინძელი ზრდილად და პატივისცემით მიესალმა ერთმანეთს, მეფეებმა

მოიკითხეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ. როსტევეანი აღტაცებული დარჩა ტარიელის ტანადობა-შესახედობით. შეაქო, მოეფერა. ასევე თბილად შეეგება ფრიდონსაც, თუმცა, ვის ნახვასაც ყველაზე მეტად ნატრობდა, მას ვერ მოჰკრა თვალი. უნდოდა ეკითხა, ავთანდილი სად არისო, მაგრამ ტარიელმა დაასწრო: – ვიცი, ავთანდილის ნახვა გინდა, მეფეო, მაგრამ ერთი საკითხი მაქვს ჯერ შენთან გასარკვევი და თუ მოკლე ხნით აქვე ჩამოვვდებით, ყველაფერს აგიხსნისო.

როსტევეანი ცოტა კი გაოცდა, მაგრამ სტუმრის ნებას დაჰყვა. იქვე დასხდნენ. ტარიელმა აუხსნა, – ავთანდილი პირისპირ შეხვედრას ვერ გიბედავს და მე გეტყვიო. შენმა აღზრდილმა პირადად მე ისეთი პატივი დამდო და იმდენი სიკეთე გამიკეთა, რომ ახლა მინდა გადავუხადო და ამიტომაც, მის გულისნადებს მე გადმოგცემ. მას შენი ქალი ჰყვარებია, შენს ქალს კი ავთანდილი და გთხოვ, რომ დაქორწინების ნება მისცეო. ამ სიტყვებზე ტარიელი წამოდგა, როგორც ინდოთა წესია, ყელზე მორჩილების ნიშნად მანდილი მოიხვია და როსტევეანს დაუჩოქა. როსტევეანმა მაშინვე წამოაყენა ინდოთ მეფე და აღელვებულმა უთხრა: – შენს თხოვნას როგორ არ შევასრულებ, რაც გინდა, ის მიბრძანე; რასაც ახლა მთხოვ, საერთოდ, სათხოვნელიც კი არ იყო, ისე გავიხარეო. ჩემი ქალიშვილიც ბედნიერებით ცას ეწევა, ამას რომ გაიგებს და მე კიდევ, უკეთეს სიძეს ვერც ვინატრებო. ავთანდილი რომ მიყვარს, იმიტომ მენატრება და მეჩქარება მასთან შეხვედრა. რასაკვირველია, თანახმა ვარო.

ფრიდონი, ამის გაგონებაზე ცხენს შემოახტა და გააჭენა ავთანდილის კარვისაკენ, რომ მისთვის ეხარებინა. ტარიელმა მადლობა გადაუხადა როსტევეანს, თვითონაც ცხენს მოაჯდა და მასპინძელთა ამაღლს დინჯად წაუძღვა თავისი ბანაკისაკენ.

ავთანდილის და როსტევეანის შეხვედრა ლუკა მახარობლის მიერ გადმოცემულ ისტორიას მოგაგონებდათ დაკარგულ შვილზე. ავთანდილი ჯერ მუხლებზე დაეცა და ფეხებზე შემოეხვია როსტევეანს, მერე როსტევეანმა მსწრაფლ წამოაყენა, – ნუ მარცხვენ, საბოდიშო არაფერი გაქვს, დიდი და კეთილი საქმეები ჩაგიდენიაო. მერე მამაშვილურად გადაეხვივნენ ერთმანეთს.

ბოლოს როსტევეანმა პირდაპირ მიახალა ქალს გატანო. ამის შემდეგ როსტევეანს ნესტან-დარეჯანი წარუდგინეს. მეფე აღტაცებული დარჩა ქალის სილამაზით და ყველანი მიიწვია სასახლეში საქეიფოდა და სალაღობოდ.



დლესასწაულის მონაწილეები, 17X20 სმ, მუყაო, გუაში, კერძო კოლექცია, თბილისი

დლესასწაულის მონაწილეები, 17X20 სმ, მუყაო, გუაში, კერძო კოლექცია, თბილისი;







ორივე ამაღლა გაერთიანდა და დედაქალაქისაკენ დაიძრა. მალე სასახლეს მიაღწიეს. აქ უკვე თინათინი შემოეგებათ. ტარიელიცა და ნესტან-დარეჯანიც დიდი პატივითა და სიხარულით შეხვდნენ მეფე ქალს. ტარიელმა დრო აღარ დაკარგა, საკუთარი ხელით მიჰგვარა თინათინს ავთანდილი და სამეფო ტახტზე გვერდით მიუსვა. თინათინი გუმანით კი მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მაგრამ მაინც შეცბა, თუმცა, იმავე წამს როსტევანიც შეეშველა ტარიელს და მეფურად დალოცა სიძე-ქალიშვილი:

აწ, შვილო, ღმერთმან თქვენ მოგცეს ათას წელ დღეთა გრძელობა, სვე-სვიანობა, დიდობა, კვლა ჭირთა გარდუხდელობა, ცამცა ნუ შეგცვლის, მოგხვდების თვით მისებრ შეუცვლელობა, თქვენის ხელითა შეღწისოს მიწათა შემომყრელობა!


მშვენიერი სადღეგრძელოა!

როსტევანმა ავთანდილი მაშინვე გაამეფა კიდეც, როგორც მისი ერთადერთი ქალიშვილის მეუღლე. დიდებულებს რაც შეეხება, ავთანდილი, მათ ისედაც უყვარდათ და მის კაცურ თვისებებს ძალზე აფასებდნენ. ამიტომაც, ყველამ სიამოვნებით მიიღო ახალგამომცხვარი მეფე თინათინის გვერდით. მით უმეტეს, რომ მაყრად ინდოეთისა და მულღაზანზარის მეფეები ესწრებოდნენ ქორწილს.

ტარიელმა პირველმა მიულოცა თინათინსა და ავთანდილს შეუღლება, ხოლო თინათინს თხოვა, – მე და ავთანდილი ხომ ძმები ვართ და მინდა მომავალში მე და შენც და-ძმური ურთიერთობა გვქონდესო. აბა ვინ ეტყოდა ინდოთ მეფეს ამ შეთავაზებაზე უარს?

სასახლეში ისეთი ქეიფი გაჩაღდა, რომლის მსგავსიც აქამდე არავის ენახა. სამეფო წყვილი ტახტზე დააბრძანეს. გვერდით ხელისმომკიდე მაყარი ტარიელი და მისი მეუღლე დაუსვეს. უზარმაზარი სუფრა გაშალეს. მორეკეს უამრავი ძროხა და ცხვარი, ათუხთუხდა ქვაბები, ცხვებოდა პური და ნაზუქი, იყო იაგუნდისა და ბროლის ჯამ-ჭურჭელის ტრიალი, სიმღერა, ცეკვა-თამაში, საჩუქრისა და ძღვენის გაცემა. მოსჩქეფდა და მოდიოდა ღვინო და შარბათი. გულნაკლული და მშვიერი არავინ დარჩენილა.

სამი დღე იქეიფეს გადაბმულად. მეოთხე დღეს ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს ახალი ტახტი დაუდგეს შემადლებულ ალაგას, როგორც ინდოე-



თის მეფეს ეკადრებოდა, ხოლო ნეფე-დედოფალი იქვე, ოდნავ მოშორებით დააბრძანეს საქორწინო ტახტზე. ფრიდონიც შორიასლოს დაუსვენს მეგობრებს. ტარიელს, ნესტან-დარეჯანსა და ფრიდონს უამრავი საჩუქარი შეხვდა. როსტევანს არაფერი დანანებია სტუმრებისათვის: ყველას გულით ასაჩუქრებდა და აღარ იცოდა, როგორ ესიამოვნებინა სიძისა და მისი ძმადნაფიცებისათვის.

ამ ქეიფსა და დროს ტარებაში გავიდა მთელი თვე. ერთ დღესაც, ტარიელმა როსტევანს სთხოვა, – ახლა უკვე დრო დადგა, რომ ჩემს ქვეყანას მივაშურო. გავიგე, მტრები დაჰპატრონებიან ინდოთა ტერიტორიებს და გამიშვიო. როსტევანი მაშინვე დასთანხმდა და შესთავაზა, ავთანდილიც გაიყოლე, მოგეხმარებაო. ტარიელმა თავიდან იუარა, ახალშერთულ ცოლს როგორ მოვწყვიტო ქმარიო, მაგრამ მერე, ავთანდილმაც რომ უთხრა, – უნდა წამოგყვე, თორემ, მერე სალაპარაკო გახდება, ცოლი ისე უყვარს, რომ ძმაცაგი გასწირაო, – დაყაბულდა.

ავთანდილმა ქვეყანაში სამხედრო მობილიზაცია გამოაცხადა და სულ მალე საუკეთესო ხვარაზმული აბჯრით აღჭურვილი და კბილებამდე შეიარაღებული ოთხმოცი ათასი ცხენოსანი შეკრიბა. კაცები სალაშქროდ გაემზადნენ. ქალები გამოემშვიდობნენ ერთმანეთს. ამ ერთ თვეში ნესტან-დარეჯანი და თინათინი ერთურთს დებივით დაუახლოვდნენ და ორივეს უჭირდა განშორება. გადაწყვიტეს რეგულარული მიმოწერა ჰქონოდათ და შეძლებისდაგვარად სტუმრებოდნენ ერთმანეთს. როსტევანიც ნერვიულობდა და წუხდა ძვირფას ადამიანებთან განშორებას, მაგრამ რა ექნა, ახალგაზრდებს დიდი საქმე ჰქონდათ მოსაგვარებელი.

ტარიელმა სამხედრო აღლუმში ჩაიბარა, მერე არმიას ჩაუდგა თავში, გვერდით ავთანდილი და ფრიდონი ამოიყენა, ბაირაღები აღმართა და დაიძრა ინდოეთს სალაშქროდ.

როდესაც ინდოეთისა და არაბეთის გამყოფი მთაგრეხილი გადალახეს, წინ გრძელი ქარავანი შემოხვდათ. საინტერესო ის იყო, რომ ვაჭრები შავით იყვნენ შემოსილნი, სახე შავად შეეღებათ და ეტყობოდათ, რომ რაღაცით შეწუხებული იყვნენ. ტარიელმა ჯარს დაბანაკება უბრძანა და ვაჭართა წარმომადგენლები თავისთან მიიწვია. არ გაუმხელია თავად ვინ იყო, არაბულად ესაუბრებოდა. გამოკითხა, ვინ იყვნენ, საიდან მოდიოდნენ და რატომ ჰქონდათ სახე შავად შეღებილი.

ვაჭართა უხუცესმა ასეთი ამბავი უამბო ტარიელს: ვაჭრები ვართ ეგვიპტიდან და სავაჭროდ ინდოეთში ჩამოვედით. ინდოთა მეფე ფარსადანს ქალიშვილი ჰყავდა ერთი და მალულად ამირბარი შეჰყვარებოდა. ამ ამირბარმა სასიძო მოუკლა ფარსადანს, ხოლო ქალი, რომელსაც მეფის და ზრდიდა, ამ მამიდამ გადაჰკარგა და თვითონაც თავი მოიკლაო. ამ ამბის გაგებაზე ამირბარს დაკარგული ქალის საძებნელად წავიდა და ისიც უგზო-უკვლოდ გადაიკარგაო. ფარსადან მეფე კი ამათზე ნალველმა გადაიყოლა. ასე მოუთხრო ტარიელს ინდოეთის ამბები ვაჭართუხუცესმა.

ამ შეხვედრას ნესტან-დარეჯანიც ესწრებოდა და, როცა მამის გარდაცვალება შეიტყო, ლეჩაქი მოხდა და აქვითინდა. ტარიელიც ატირდა; მასაც დიდად ამწუხრებდა ფარსადანის სიკვდილი. კარვის ერთ კუთხეში ქალი მამას გლოვობდა და მეორეში კი ტარიელი თავის საყვარელ გამზრდელს.

როდესაც ოდნავ დამშვიდდნენ, ინდოეთის სხვა ამბებიც გამოჰკითხეს ვაჭრებს. არ იყო ეს ამბები სახარბიელო: ხატაელთა ლაშქარი შემოსეოდა დასუსტებულ ქვეყანას, ბევრი ციხე აეღოთ და ახლა, რამაზ მეფის ხელმძღვანელობით ალყა შემოერტყათ დედაქალაქისათვის. ვაჭრებმა დასძინეს, – დედოფალი კი უწვევს წინააღმდეგობას მცირე არმიით, მაგრამ, კიდევ რამდენ ხანს გაუძლებს, არ ვიცითო. ჩვენ შავები ჩავიცვით, შავად შევიღებეთ სახე-კანი და ხატაელებს თავი ეგვიპტელებად მოვაჩვენეთ, ამიტომაც, რამაზ მეფემ ალყაში გამოგვატარა; ეგვიპტის მეფესთან ცდილობს ზავის დადებას, სიტუაციის გამწვავებას ერიდება და აღარ დავუკავებიათო.

ტარიელს აღარ დაუყოვნებია. ვაჭრები დაითხოვა, დროშები აღმართა და ჯარი აყარა. სამი დღის სავალი ერთ დღეში გაიარეს და დედაქალაქს მიუახლოვდნენ.

ბორცვიდან დაბლობზე თეთრი ქალაქი მოსჩანდა. გალავანის ყველა კარიბჭე ჩარაზული იყო. ქონგურებზე ყარაული მიდი-მოდოდა. მაღლიდანვე ჩანდა ქალაქის გარშემო დაბანაკებული ხატაელთა ჯარი. ტარიელმა თავისი სამხედრო შენაერთების მეთაურებს გამოუძახა და მოკლე თათბირი ჩაუტარა. შეასხენა, – ხატაელები ერთხელ უკვე მყავს დამარცხებული, ნურაფრის შეგეშინდებათ; პირდაპირ თავს უნდა დევსხათ და გავანადგუროთ მტერიო. ავთანდილმაც მხარი აუბა, – მაგათ ვუჩვენებთ სეირსო!

დაიძრნენ. ლაშქარი უჩუმრად ეშვებოდა ქალაქისაკენ. ძირითად ბირთვის მოწყვეტილმა მოწინავე რაზმმა მტრის გუშაგები დაატყვევა და ტარიელს დასაკითხად მოჰგვარა შებოჭილნი. მანაც გამოკითხა გუშაგებს, ვინ იყვნენ და ვის ებრძოდნენ. ტყვეებმა აღიარეს, – რამაზ მეფის ჯარში ვართ და ინდოეთის დედაქალაქის აღებას ვაპირებთო. ტარიელმა გუშაგებს კიდევ გამოკითხა რამდენიმე დეტალი, მერე შეკრული ხელ-ფეხი გაასხნევინა, გაათავისუფლა და რამაზ მეფესთან გაგზავნა. დააბარა: – რეგვენო, წადით, თქვენს მე-



ნესტან-დარეჯანი და ტარიელი, 40X50 სმ, მუყაო,
გუაში, კერძო კოლექცია, ბერლინი

ფეს გადაეცით, ტარიელი მოდის დიდძალი ჯარით და დამხვდესო. უთხარით, არ უნდოდა მუხთლად მოგპარვოდა და მომზადების საშუალებას გაძლევს, შე პირბოზო თქო. დანარჩენი, აქ რაც ნახეთ, ისიც მოუყევითო, – დააბარა. ბოლოს უთხრა, – იცოდეთ:

შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდნილა დაღრეჯანია!

ჩვენ, რუსთაველის ამ ფრაზას ოდნავ განსხვავებულ კონტექსტში ვიყენებთ. ვგულისხმობთ, რომ შიში ვერ დაგვიხსნის მოსალოდნელი სიკვდილისაგან და არ უნდა შეგვეშინდეს იმისა, რაც ღმერთს ჩვენთვის დაუწესებია. სიკვდილი გარდაუვალია და შეგვეშინდება ჩვენ მისი თუ არა, ეს არაფერს ცვლის. ამიტომაც არ ეკადრება ადამიანს „დაღრეჯანი“ – შიში და ნერვიულობა სიკვდილის წინაშე. ბოლოს და ბოლოს, ერთხელ ვცხოვრობთ და არ ღირს ამ ცხოვრებაში სიკვდილისა გვეშინოდეს.

ტარიელმა უკან გაუშვა გუშაგები რამაზთან. ამათ ისე მოუსვენს, რომ სულ ერთმანეთს ასწრებდნენ დაღმართზე. მოახსენეს რამაზს ტარიელის გამოცხადება, მისი ჯარის სიძლიერე და, რასაკვირველია, დანაბარებიც, – სიტყვასიტყვით.


ამასობაში ტარიელმა გააგრძელა მტრისაკენ მარში. წინ თვითონ, ავთანდილი და ფრიდონი მიუძღვებოდნენ მოლაშქრეებს ინდოეთისა და არაბეთის შეტყუებული ალმებით. მათ უკან კი რამდენიმე ათეული ათასი ნარჩევი არაბი ცხენოსანი მოჰყვებოდა. ჯერ გზის მესამედიც არ ჰქონდათ გავლილი, რომ ქალაქის მხრიდან შესახვედრად მომავალი ხუთასამდე ცხენოსანი დალანდეს. არაბთა მოწინავე შენაერთს მაშინვე უნდოდა შეტევაზე გადასვლა, მაგრამ ტარიელმა შეაჩერა; – ესენი არ გვანან თავდამსხმელებს, უაბჯროდ მოდიანო. და მართლაც, როდესაც ცხენოსნები მოახლოვდნენ, აღმოჩნდა, რომ ეს ტარიელთან პატიების სათხოვნად წამოსული რამაზ მეფის ამაღლა იყო და მას არც იარაღი ესხა და არც აბჯარი.

რამაზი ჩამოქვეითდა, ტარიელის ცხენს შეუვარდა ფეხებში და მუხლმოყრილი შეეხვეწა ინდოთ მეფეს, მაპატიეო. ათი წელი იყავი დაკარგული, შენი არაფერი ისმოდა და დაღუპული გვეგონე. მეც გონება ამერია, ინდოეთის დაპყრობა გადავწყვიტე და გამოვილაშქრე. ახლა ვხვდები, რომ საბედისწერო შეცდომა დავუშვი და ამის მერე უკვე შენ გადაწყვიტე, მომკლავ თუ დამარჩინო. აი, ჩემი ხუთასი საუკეთესო მხედარიც თან გამოვიყოლე, თუ გსურს, ყველას დაგვაჭერი თავებო.

ტარიელი ყოყმანობდა. არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. მის წინ მიწაზე მოსისხლე მოღალატე იყო გართხმული, რომელსაც ჯერ კიდევ რამდენიმე საათის წინ მისი სამშობლოს დაპყრობა სურდა და ახლა კი დათრგუნული და დამდაბლებული პატიებას სთხოვდა.



ქორწილი, 16X20 სმ, მუყაო, გუაში,
ოქრო, კერძო კოლექცია, პარიზი



ნესტან-დარეჯანი, 30X33 სმ, ტილო, ზეთი,
ბაია წიქორიძის კოლექცია, თბილისი

აქ, ტარიელი, მართლაც ისეთი დილემის წინაშე დგას, რომ თუ რუსთაველი არ წაეხმარა, თვითონ, შეიძლება ძალზე გაეწელოს ფიქრი.

აი, რას ურჩევს ტარიელს რუსთაველი:

ბრძენთა ვინმე მოსწავლემან საკითხავი ესე ვპოვნე:

“ესეაო მამაცისა მეტის-მეტი სიგულოვნე:

ოდეს მტერსა მოერიო, ნულარ მოჰკლავ, დაიყოვნე;

გინდეს სრული მამაცობა, ესე სიტყვა დაიხსოვნე“.

ამგვარ ქცევას ყველა გამარჯვებულს ვურჩევდი.

ტარიელმა, რასაკვირველია, გაიგონა რუსთაველის მიერ მისთვის წაჩურჩულებული შეგონება და მოლბა.

— ჯანდაბა შენს თავს, არ მოგკლავ და ეს საქციელი მიპატიებიაო! რამაზსა და მის მეომრებს უზომოდ გაეხარდათ ტარიელის ასეთი გადაწყვეტილება. მოწიწებით მოხარეს თავი, ჩაუმუნლეს, უამრავი მადლობა გადაუხადეს და გაეცალნენ. ძირითად ლაშქარშიც აფრინეს შიკრიკი ამბის მისატანად: — ტარიელმა დაგვინდრო! აქაც დიდი სიხარული გამოიწვია ამ ინფორმაციამ. ხატაელთა ჯარი აშლას შეუდგა.

ტარიელს დამორჩილებული მტრის უკუქცევის შემდეგ აღარ დაუყოვნებია, თვითონაც აიყარა ლაშქრით და ქალაქს მიუახლოვდა. ხატაელთა აქა-იქ გაბნეული და წასვლის სამზადისში მყოფი მეომრები მოწიწებით უხრიდნენ თავს ინდოთ მეფეს და ხოტბას ასხამდნენ ვაჟკაცური საქციელისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ ტარიელი და მისი მხედრები გალავანს მიადგნენ, ქალაქის მცხოვრებნი კარს მაინც არ აღებდნენ. ეს იმიტომ, რომ ტარიელის მოსვლას, მით უმეტეს, ასეთ ტრიუმფალურს, — არავინ ელოდა, ქალაქელები ფიქრობდნენ, — ეს ინდური და არაბული დროშები ხრიკია და რამაზ მეფე მახეს გვიგებსო. მაგრამ როდესაც ტარიელი გალავანს ზედ მიადგა და შეუძახა, — მე მოველ, თქვენი მეფე, თან ნესტან-დარეჯანი მომყავს და კარი გამიღეთო, — აი, მაშინ დაფაცურდნენ. იცნეს ტარიელი, დახსნეს გალავანის კარები, სიხარულის სამადლობელი აღუვლინეს ღმერთს.

ტარიელი და ნესტან-დარეჯანი გალავანის ფართოდ გაღებულ კართან შეჩერდნენ. მათ შესახვედრად უამრავი ადამიანი გამოვიდა: დიდებულიც და მდაბიოც, ახალგაზრდაც და მოხუციც, ქალიც და კაციც. გამოჩნდნენ ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ნათესავეები, ნაცნობი ნაზირვეზირები, მსახურები, აღმზრდელ-ძიძები, პირისფარეშები, მეგობრები. რასაკვირველია, დედოფალმაც მოირბინა. იყო დიდი ხვევნა-კოცნა, ცრემლის ღვრა და ქვითინი. იყო სამძიმარიც ფარსადანის გარდაცვალების გამო. ნესტან-დარეჯანს მამის გახსენებაზე ერთ მომენტში ფერი დაეკარგა და კინაღამ გული წაუვიდა. ტარიელსაც არ დავიწყებოდა კარგი ვაჟკაცური ცრემ-





ქორწილი ინდოეთში ღამით, 60X80 სმ, შავი
ქალაქი, გუაში, მხატვრის ოჯახის კოლექცია

ლისღვრა და ისიც გულიანად ტიროდა. ბოლოს, ისევ დედოფალმა შეუძახა, – ხალხო რაღას ტირით, იმხიარულეთ, ასეთი ბედნიერი დღე გაგვიტენდაო. კიდევ ერთხელ გადაეხვია ტარიელს და თავის ქალიშვილს. ნესტან-დარეჯანმა დედას შესჩივლა, – ეჰ, მე რა მშობელი დაგვკარგე, შენ რა მეუღლე და ქვეყანამ კი რა მეფეო!

დედოფალმა სიძე-ქალიშვილი სამეფო ტახტზე დააბრძანა და დიდი ღვინო გამოართა. ტარიელმაცა და ნესტან-დარეჯანმაც შეიფერეს სამეფო ტახტი. ბოლო ათი წელი სულ ამ მომენტზე ოცნებობდნენ და ახლა უაღრესად ბედნიერნი იყვნენ. ხუმრობა ხომ არ არის, შვიდი სამეფოს ხელმწიფეობა? საცქერლადაც მშვენიერნი ბრძანდებოდნენ; ორივე ახალგაზრდა, კაცი – ტანადი, ქალი – ნარნარი, ერთიცა და მეორეც ლამაზი პირსახისა და ტკბილი მოსაუბრე.

როსტევანთან, ხომ ამას წინათ ზღაპრული ღვინო გადაიხადეს, მაგრამ აქაურმა, იმასაც კი გადააჭარბა; ქეიფსა და დროს ტარებას მონატრებული ინდოელი ახალ მეფე-დედოფალს საკადრისად დახვდნენ. ჯერ მეფედ კურთხევის ცერემონიალი მოაწყვეს. მერე იქვე, სამეფო ტახტის შორიანლოს ავთანდილსა და ფრიდონს დაუდგეს სავარძლები. მერე კი შეიქმნა სმა, ჰურობა, გახარება. . .

იყო ცეკვა და სიმღერა, სხვადასხვა ინსტრუმენტზე დაკვრა, ზმა-შაირის თქმა და თამაში.

რასაკვირველია, არც ღარიბ-ღატაკნი და ქვრივ-ობოლნი დავიწყებით; გახსნეს ხაზინა და შეუდგნენ ავლადიდების გასაჩუქრებას. ყველა ბედნიერი და კმაყოფილი იყო. ამ აურზაურსა და მისვლა-მოსვლაში ტარიელმა დედოფალს შეაპარა, – ეგებ რამაზ მეფეს შენც შეუნდო, შეცდა კაცი და მის მტრობას გულში ნუ ჩაიდებო. დედოფალი ისე იყო გახარებული, რომ მანაც დაივიწყა რამაზისა და მისი ჯარის მიერ მოყენებული უსიამოვნებანი და არა მარტო აპატია, არამედ თავისთან იხმო ხატაელთა მეფე, რათა ისიც შეერთებოდა საინტრონიზაციო-საქორწინო ღვინოს.

მერე ტარიელი სტუმრების დასაჩუქრებას შეუდგა. იმით დაიწყო, რომ თითო 500-იანი მერსედესი. . . ბოდიში, თვალმარგალიტით სრულად დასაპალნებული ჯორი აჩუქა ავთანდილსა და ფრიდონს. ეს არ აკმარა და სხვა ძღვენიც ბევრი მისცა თავის ძმადნაფიცებს. მერე რამაზ მეფეს გამოუძახა, ისიც დასაჩუქრა და ხარკის გადახდა მოსთხოვა. ხატაელი ძალიან კმაყოფილი იყო, რომ ასე, შედარებით მარტივად, გადაურჩა ინდოთა მეფეს და წელში მოხრილი, უკუსვლით გაეცალა ტახტს.

ამის შემდეგ ტარიელმა ასმათი იხმო: – შენ რაც ჩემთვისა და ჩემი ცოლისათვის გაქვს ჩადენილი, არ ვიცი, იმას რით გადაგიხდი და ამიტომ, მოდი ამას გთავაზობ: რომელ კაცსაც

ხელს დაადებ, იმას მოგცემ ქმრად, ინდოეთის შვიდი სამეფოდან ერთ-ერთს ჩაგაბარებ და იყავი შენთვის ტკბილადო. ასმათი თავიდან გაიპრანჭა, – აქ მირჩევნია, თქვენს გვერდით დარჩენაო, მაგრამ ტარიელმა თავისი წინადადება უფრო დაჟინებით გაუმეორა და ქალიც დამორჩილდა. იქვე შეურჩიეს შესაფერისი, უკვე ჭკუადაძვდარი, მაგრამ ჯერ კიდევ სიმპათიური, საქმრო და ჩააბარეს ასმათს.

ავთანდილი და ფრიდონი სამი დღე დარჩნენ ტარიელთან სტუმრად. იქიფეს, მოილხინეს, იმხიარულეს, საჩუქრები მიიღეს. მესამე დღეს ავთანდილს შეეტყო დანაღვლიანება და ტარიელს დაეთხოვა, ფრიდონსაც მოუნდა უკან დაბრუნება და ტარიელს დაპირდა, – ისე მომენატრები, როგორც ირემს წყაროს წყალიო. ტარიელი ორივეს ძმურად გამოემშვიდობა. ავთანდილს ძვირფასი ტანისამოსი და უნიკალური ჯამ-ჭურჭელი გაატანა როსტევანთან საჩუქრად. ნესტან-დარეჯანმაც დააბარა ავთანდილს დიდი მოკითხვა თინათინთან და იმანაც საჩუქრები, – უცხოური კაბა, თავსაბური და ერთი მსხვილი ძვირფასი თვალი გაუგზავნა. ასე გამოემშვიდობნენ ერთმანეთს.

ფრიდონსა და ავთანდილს რამდენიმე დღე ერთად მოუწიათ მგზავრობა. არაბეთის საზღვართან მათი გზები გაიყარა: ფრიდონმა მულღაზანზარისაკენ გადაუხვია, ავთანდილი კი სამშობლოში დაბრუნდა. აქ, რასაკვირველია, მას უდიდესი სიხარულით დახვდნენ.

გმირობის დღენი მალე შეცვალა მეფურმა ყოველდღიურობამ; სამივე ვაჟკაცი ტახტზე იჯდა და ბრძნულად უძღვებოდა თავის ქვეყანას. მეგობრობდნენ, ჰქონდათ სტუმრობა, მიმოსვლა და მიწერ-მოწერა. სამივე ღრმა მოხუცებულობამდე მეფობდა. გონივრული გარე და შიდა სტრატეგიით საკუთარი სახელმწიფოები გააძლიერეს, ტერიტორიები შეიმატეს, ხოლო სწორი ეკონომიკური პოლიტიკით მოსახლეობის ცხოვრების დონე აამაღლეს.

ამას რუსთაველიც გვიდასტურებს:

ყოვლთა სწორად წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს,
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქმნელნი დააშინნეს, კრავნი კრავთა ვერ უწოვდეს,
შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს.

ასე დასრულდა ეს საგმირო ამბავი.

შოთა რუსთაველი, რომელიც თავის ბოლოსიტყვაში ამბობს, რომ მან მხოლოდ გალექსა უკვე არსებული ისტორია, ცოტას ეშმაკობს. ყველა დარწმუნებულია, რომ ეს ამბავი თვით შოთა რუსთაველის შეთხზული და გალექსილია.

მხატვრის ბოლოსიტყვა

„ვეფხისტყაოსნის“ კითხვისას ყველა ადამიანს ინდივიდუალური, პირადი დამოკიდებულება უჩნდება ამ გენიალური ნაწარმოების მიმართ. ამას ემატება მსოფლიოს თითქმის ყველა ენაზე თარგმნილი, გაგებული და წარმოდგენილი, სცენები, პერსონაჟები, კოსტუმები. მოქმედებების გეოგრაფია ხომ მთელ აღმოსავლეთს მოიცავს. ეს ყველაფერი უდიდეს ფანტაზიას აღძრავს ადამიანში, განსაკუთრებით, მხატვარში.

მხატვრისათვის ძალიან საინტერესოა ამ მდიდარი ვიზუალური მასალის გადატანა ფურცელზე, ტილოზე საღებავით ან გრაფიკულად. არ ვიცი, რამდენად ემთხვევა მკითხველის წარმოდგენებს, მაგრამ შოთა რუსთაველის პორტრეტიდან დაწყებული, ქაჯეთის ციხით დამთავრებული, მხატვრები მრავალი საუკუნეა სთავაზობენ მკითხველს თავიანთ ვერსიებს ანუ დანახულს, დასანახს.

პირველი ილუსტრაციები მამუკა თავაქალაშვილმა შეასრულა მეთვრამეტე საუკუნეში, სპარსული მინიატურის სტილში და ბიზანტიურ-ქართული კედლის მხატვრობის ფაქტურით. მას მერე ბევრმა მხატვარმა დაასურათა „ვეფხისტყაოსანი“. ყველა მათგანი უაღრესად საინტერესოა, ცალკე მხატვრული ღირებულებით და ცალკე იმიტომაც, რომ ეს უკვდავი ქმნილების ილუსტრაციაა.

მიხაი ზიჩი წარმოგვიდგენს პერსონაჟებს აჭარული, მეგრული, იმერული კოსტიუმებით, უამრავი ეთნოგრაფიული დეტალით, სადაც აესტრო-უნგრეთის იმპერიის კოსტიუმებიც შეინიშნება. მისი მხატვრობა ესადაგება ისტორიულ ჟანრში კარგად გაკეთებულ პოლიგულის კინოს. მხატვრობა ვიზუალური მხარეა, შემდეგ მოდის მუსიკა, ხმები, მოძრაობა, „ვეფხისტყაოსანი“ ძალიან მოძრავია; არის ბევრი გადაადგილება, ბევრი კოსტიუმი, სახეები, მასობრივი სცენები, ცხენები. ასოციაციურად ჩნდება სპილოები, აქლემები, ისინი მოძრაობენ, ხმაურობენ, არის მტვერიც და სიმდიდრეც. მე „ვეფხისტყაოსანს“ კინოში ვხედავ, ალბათ, ამიტომაც ჩემი ნამუშევრები უფრო ამ თემაზე შესრულებული სურათებია, ვიდრე ილუსტრაცია. ჩემი წარმოდგენით, ფილმი „ვეფხისტყაოსანი“ უნდა იყოს ძალიან ფერადი, მოძრავი, მუსიკით და ხმაურით, სიჩუმით მდიდარი ფილმი, ინდური კინოსთვის დამახასიათებელი მასობრივი სცენებით, ქართული კლასიკური კინოს ტრადიციების: „გიორგი სააკაძე“, „მამელუქი“, „ბაში-აჩუკი“, ამერიკული ფილმების: „გლადიატორი“, „ტროა“, ელემენტების გათვალისწინებით გადაღებული. მას ყველაფერს დაერთვის გენიალური ტექსტი. მოკლედ რომ ვთქვათ, ეს იქნება სანახაობრივად, ვიზუალურად ულამაზესი ფილმი, რომელიც მთელ მსოფლიოს კიდევ ერთხელ დაანახებს ქართულ გენიას და ჰუმანიზმს.

ასევე, უდავოდ აღსანიშნავია სერგო ქობულაძის გენიალური ილუსტრაციები, შუა საუკუნეების იტალიური რენესანსის მხატვრობის სიყვარულით შესრულებული. აქ გვხვდება ლეონარდო და

ვინჩის და ტიეპოლოს რაკურსები. სერგო ქობულაძის ილუსტრაციები ვენეციის ბიენალეზე გრანპრით არის დაჯილდოებული. საყურადღებოა ლოკალური წითელი და ლურჯი ფერები, რომელიც სურათებს ფონად გასდევს, ეს ნამუშევრები დიდი ენერგიით არის აღსავსე.

ასევე მნიშვნელოვანია უჩა ჯაფარიძის ნახატები. ნესტან-დარეჯანი წერილის წერისას; 60-იანი წლების სტილი, მოძრაობა, სოლიკო ვირსალაძის მიერ ქართული ცეკვის აკადემიური ანსამბლისთვის შექმნილი კოსტიუმების გამოყენებით. ნესტან-დარეჯანის სახე – იმ პერიოდისთვის დამახასიათებელი სილამაზე.

ირაკლი თოიძე... დაუფიწყარი სტილი, სახე-ხატი ტარიელის და ვეფხვის ბრძოლა, კოცნა, ხელში ატაცებული ვეფხვი, ეს სურათი 60-იანი წლების კულტად იქცა.

მე, როგორც მხატვარი და მკითხველი, აღფრთოვანებული ვარ ყველა გამოცემით, ყველა მხატვრის მიერ შესრულებული ილუსტრაციები მომწონს, რადგან ისინი ეპოქისა და მხატვრის შვილები არიან.

„ვეფხისტყაოსნის“ თემა წლების მანძილზე მიფორიაქებდა მხატვრულ წარმოდგენებს. უშუალო შესრულებამდე ერთი წელი ვმუშაობდი ტექსტზე, წავიკითხე ვიქტორ ნოზაძის ნაშრომები. ამ ტომების სათაურების ჩამოთვლაც კი ერთბაშად ნათელს ხდის, თუ რა მდიდარ და ამოუწურავ მასალასთან გვაქვს საქმე. ასევე დიდი ყურადღებით წავიკითხე პავლე ინგოროყვას ნაშრომი. ეს ორი ავტორი დამეხმარა, რომ ზუსტად აღმეცვა დრო, ვითარება, კოსმოსი, სიყვარული... „ვეფხისტყაოსანი“.

2005-2007 წლებში შევასრულე 110 ნამუშევარი „ვეფხისტყაოსნის“ თემაზე. პატარა ზომის ილუსტრაციებიდან დაწყებული, დიდი ფერწერული ტილოებით დამთავრებული. ეს იმდენად დიდი და ფანტაზიების ამშლელი თემაა, რომ შეუძლებელია ბოლომდე მიიყვანო. იმდენად გამიტაცა მუშაობამ, რომ ბოლოს ისეთ სცენებსაც ვხატავდი, რომელიც პოემამი აღწერილი არ არის, მაგალითად, ქაჯეთის მეფის დის დაკრძალვა და სხვა. შევასრულე როგორც ბატალური, ასევე ჟანრული სცენები, პორტრეტები, სასიყვარულო სცენები, ისეთი მომენტები, რომლებზეც აქამდე მხატვრებს ყურადღება არ მიუქცევიათ. ნესტან-დარეჯანი კიდობანში, ცრემლი, თეთრი ლოგინი როგორც კავკასიონის დათოვლილი მთები, ცხელი ჰაერი ვეფხვის სახიდან გამოსული, ფატმანისა და ავთანდილის სასიყვარულო სცენები, ფატმანის გარდასახვანი და სხვა.

წიგნში ზოგიერთი პერსონაჟის რამდენიმე სახე შემოგთავაზეთ, რაც თქვენში მეტ ფანტაზიას გამოიწვევს. მკითხველო და მნახველო, არც თქვენ ხართ ერთი სახის.

კატალოგი



გვ.2



გვ.12



უდა



გვ.5



გვ.13



გვ.1



გვ.11



გვ.16

შესვედრა ტარიელისა და ვეფხვის,
120X140 სმ,
ტილო, ზეთი,
კერძო კოლექცია, პარიზი;

გველი და მზე,
21X9 სმ,
მუყაო, გუაში, პასტელი,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;

შოთა რუსთაველი ლირით,
20X17 სმ,
მუყაო, გუაში.
მოპარულია პარიზში გამოფენის დროს;

ნადირობა,
63X49 სმ,
ქაღალდი, აკვარელი,
ბორის გამრეკელის კოლექცია;

ტარიელის ხმლის ვადა,
35X25 სმ,
მუყაო, გუაში,
გია ტოგონიძის კოლექცია;

როსტევენი და თინათინი,
29X22 სმ,
მუყაო, გუაში, პასტელი,
გიორგი ლეჟავას კოლექცია;

როსტევენი პორტრეტი,
30X33 სმ,
ტილო, ზეთი,
დათო შენგელიას კოლექცია, თბილისი;

ავთანდილი ნადირობისას,
28X26 სმ,
მუყაო, გუაში, პასტელი,
კერძო კოლექცია, პარიზი;



გვ.18



გვ.24




გვ.31



გვ.21



გვ.28



გვ.34



გვ.23



გვ.30



გვ.35

როსტევეანი ნადირობისას,
27X26 სმ,
მუყაო, გუაში, პასტელი,
კერძო კოლექცია, პარიზი;

უცხო მოყმე,
28X26 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი;

აფთანდილი,
30X33 სმ,
ტილო, ზეთი,
მამუკა დოლიძის კოლექცია, თბილისი;

თინათინი,
30X33 სმ,
ტილო, ზეთი,
მამუკა დოლიძის კოლექცია, თბილისი;

დიდებულნი ხატაეთიდან,
25X19 სმ,
მუყაო, გუაში, პასტელი,
კერძო კოლექცია, პარიზი;

სალამო,
130X110 სმ,
ტილო, ზეთი,
კერძო კოლექცია, პარიზი;

ასმათი,
30X33 სმ,
ტილო, ზეთი,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;

აფთანდილის ხმლის ვადა,
21X18 სმ,
მუყაო, გუაში,
მანანა კარტოზიას კოლექცია;

ვეფხვი და ლომი,
22X22 სმ,
ქალაღდი, აკვარელი,
კერძო კოლექცია, პარიზი;



გვ.36



გვ.44



გვ.51



გვ.39



გვ.47



გვ.54



გვ.40



გვ.48



გვ.55

ტარიელის პორტრეტი,
30X33 სმ,
ტილო, ზეთი,
ნატაშა კობზონი-რაპოპოვიჩის კოლექცია,
მოსკოვი;

ფარსადანი,
34X25 სმ,
მუყაო, აკვარელი,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;

ნესტან-დარეჯანი,
22X19 სმ,
მუყაო, გუაში, ოქრო, პარიზი,
კერძო კოლექცია;

ხატაეთის მეფე,
50X34 სმ,
მუყაო, გუაში,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;

ხატაეთის დიდი ომი,
150X175 სმ,
ტილო, ზეთი,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;

ომის სცენები,
20X17 სმ,
მუყაო, გუაში,
ლევან კაჭარავას კოლექცია, პარიზი;


ომის სცენები,
20X17 სმ,
მუყაო, გუაში,
ლევან კაჭარავას კოლექცია, პარიზი;

მუსიკოსი,
48X38 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი;

მუსიკოსი,
48X38 სმ,
მუყაო, გუაში,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;



გვ.56



გვ.61



გვ.63



გვ.57



გვ.62



გვ.64



გვ.57



გვ.62



გვ.65

მოცეკვავე,
63X49 სმ,
ქალაღი, აკვარელი,
კერძო კოლექცია, ბერლინი;

მოცეკვავე,
63X49 სმ,
ქალაღი, აკვარელი,
ლუკა დოლიძის კოლექცია, თბილისი;

სამკლაური,
15X14 სმ,
მუყაო, გუაში,
მანანა კარტოზიას კოლექცია;

ტარიელი,
50X34 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი;

მონის პორტრეტი 1,
30X27 სმ,
ქალაღი, აკვარელი,
კერძო კოლექცია, პარიზი;

მონის პორტრეტი 2,
30X27 სმ,
ქალაღი, აკვარელი,
კერძო კოლექცია, პარიზი;

დავარი,
50X34 სმ,
მუყაო, გუაში,
ზაირა ბერელიძის კოლექცია, თბილისი;

წყლის და ცის შესაყარი ღამით,
20X18 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი;


ნესტან-დარეჯანი კიღობანში,
150X100 სმ,
ტილო, ზეთი,
ქეთი ცეცხლაძის კოლექცია, თბილისი;



გვ.66



გვ.70



გვ.88



გვ.67




გვ.7



გვ.90



გვ.68



გვ.79



გვ.91

ნურადინ ფრიდონი,
28X22 სმ,
მუყაო, გუაში, ოქრო,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;

ნურადინ ფრიდონი ცხენზე ზღვის პირას,
21X18 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი;

ნურადინ ფრიდონი,
30X33 სმ,
ტილო, ზეთი
ეკა ჯაფარიძის კოლექცია, თბილისი;

მულაზანზარი,
100X80 სმ,
მუყაო, გუაში,
პასკალ შუსტის კოლექცია, პარიზი;

თინათინის სამშობლო,
50X40 სმ,
ტილო, ზეთი,
კერძო კოლექცია, ბერლინი;

არაბეთში დაბრუნება,
20X17 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი;

ვეფხვი,
18X15 სმ,
ქალაღდი, აკვარელი,
კერძო კოლექცია, პარიზი;

ტარიელი და ვეფხვი,
63X49 სმ,
ქალაღდი, აკვარელი,
კერძო კოლექცია, პარიზი

ტარიელი და ვეფხვი,
22X26 სმ,
მუყაო, გუაში,
მხატვრის ოჯახის კოლექცია



გვ.92



გვ.103



გვ.108/109



გვ.93



გვ.105



გვ.110



გვ.95



გვ.107



გვ.112/113

ტარიელი და ვეფხვი,
50X100 სმ,
ტილო, ზეთი,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;

ტარიელი და ვეფხვი,
60X100 სმ,
ტილო, ზეთი,
მხატვრის ოჯახის კოლექცია

ავთანდილის და ტარიელის ნადირობა,
25X19 სმ,
მუყაო, გუაში, ოქრო,
ზეზვა არჩემაშვილის და ბენედიქტ რუჟეს
კოლექცია;

ავთანდილი ზღვის პირას,
15X14 სმ,
ქალაღდი, აკვარელი,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;

გულანშაროში შესვლა,
280X200 სმ,
ტილო, ზეთი,
კერძო კოლექცია, პარიზი;

ფატმანი,
30X33 სმ,
ტილო, ზეთი,
კერძო კოლექცია, პარიზი;

ფატმანის გარდასახვანი,
29X16 სმ,
მუყაო, გუაში, ოქრო,
კერძო კოლექცია, პარიზი;

ფატმანის ცეკვა,
15X12 სმ,
გუაში, მუყაო
მხატვრის ოჯახის კოლექცია;

ფატმანი და ავთანდილი,
30X22 სმ,
მუყაო, გუაში, ოქრო,
კერძო კოლექცია, ისრაელი;



გვ.116



გვ.125



გვ.133



გვ.121



გვ.129




გვ.138



გვ.122



გვ.130



გვ.139

ნესტან-დარეჯანი ტყვეობაში,
22X16 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი;

მოლოდინი,
20X18 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი;

ქაჯების მგზავრობა,
40X28 სმ,
ქალაღი, გუაში,
კერძო კოლექცია. პარიზი;

ქაჯების მგზავრობა მთაზე,
40X28 სმ,
ქალაღი, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი;

დულარდუბტი,
22X18 სმ,
მუყაო, გუაში, ოქრო,
კერძო კოლექცია, პარიზი;

ქაჯეთის მეფის გარდაცვლილი დეიდა,
30X33 სმ,
ტილო, ზეთი,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;

ბრძოლის შემდეგ,
20X17 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი;

მეომარი 1,
12X9 სმ,
მუყაო, გუაში,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;

მეომარი 2,
12X9 სმ,
მუყაო, გუაში,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;



გვ.140




გვ.143



გვ.150



გვ.141



გვ.144




გვ.151



გვ.142



გვ.149



გვ.152

ქაჯეთის ციხის აღება,
140X130 სმ,
ტილო, ზეთი,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;

ნაომარი ქაჯეთის ციხე,
20X15 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი

მუსიკოსი ფლეიტისტი,
17X19 სმ,
მუყაო, აკვარელი,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;

ამბორი,
30X50 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, ვაშინგტონი;

მელიქ-სუხრაგი,
16X20 სმ,
ქალაღდი, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი;

მუსიკოსები საყვირებით,
16X20 სმ,
მუყაო, აკვარელი,
კერძო კოლექცია, ბერლინი;

დღესასწაულის მონაწილეები,
17X20 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, თბილისი;

დღესასწაულის მონაწილეები,
17X20 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, თბილისი;

ზეიმის მონაწილე,
18X14 სმ,
მუყაო გუაში,
მხატვრის ოჯახის კოლექცია;



გვ. 154

ინდოელი ქალები,
17X20 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, პარიზი;




გვ. 157

ნესტან-დარეჯანი და ტარიელი,
40X50 სმ,
მუყაო, გუაში,
კერძო კოლექცია, ბერლინი;




გვ. 159

ქორწილი,
16X20 სმ,
მუყაო, გუაში, ოქრო,
კერძო კოლექცია, პარიზი;



გვ. 160

ნესტან-დარეჯანი,
30X33 სმ,
ტილო, ზეთი,
ბაია წიქორიძის კოლექცია, თბილისი;



გვ. 162

ქორწილი ინდოეთში ღამით,
60X80 სმ,
შავი ქალაღდი, გუაში,
ნიკა გოდერძიშვილის კოლექცია.

ნამუშევრები შესრულებულია „კაპაროლის“ (nerhaus) პროფესიული ზეთის, გუაშის, აკვარელის საღებავებით.

ნამუშევრების ელექტრონული ვერსია: გურამ წიბახაშვილი.